სს პროკრედიტ ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 1
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 4

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაცია და საქმიანობა 5
2. საოპერაციო გარემო 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება 6
4. დაშვებები და პროგნოზები 26
5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები 26
6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები 28
7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ 29
8. გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 29
9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები 30
10. საინვესტიციო საკუთრება 35
11. არამატერიალური აქტივები 35
12. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები 36
13. სხვა აქტივები 37
14. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ 37
15. კლიენტთა ანგარიშები 37
16. სხვა ნასესხები სახსრები 39
17. სხვა ვალდებულებები 40
18. სხვა დებულებები 40
19. მოგების გადასახადი 40
20. სუბორდინირებული ვალი 41
21. სააქციო კაპიტალი და აქციების პრემია 42
22. წმინდა ვალების შეთანხმება .....
23. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 42
24. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები 43
25. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 43
26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა 44
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 69
28. პირობითი ვალდებულებები 70
29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 71

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	*კონსოლიდირებული*		*ცალკე*	
		31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	*31 დეკემბერი 2017*	31 დეკემბერი 2016
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და სებ-ში არსებული ნაშთები	6	*140,141*	255,930	140,141	255,930
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში	6	*125,962*	131,547	125,962	131,547
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	*5,177*	17,043	11,277	23,143
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	*16,171*	38,033	16,168	38,032
მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები		*339*	175	339	175
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	*987,337*	856,225	987,337	856,225
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		*1,532*	-	1,571	-
საინვესტიციო ქონება	10	*7,102*	1,697	5,513	-
არამატერიალური აქტივები	11	*1,393*	1,676	1,394	1,676
მანქანა-დანადგარები დ მოწყობილობები	12	*63,152*	75,522	63,152	75,522
სხვა აქტივები	13	*10,232*	17,013	6,303	12,861
სულ აქტივები		***1,358,538***	**1,394,862**	**1,359,157**	**1,395,113**
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	14	*48,639*	2,857	48,639	2,857
კლიენტთა ანგარიშები	15	*629,059*	732,575	630,657	752,844
სხვა ნასესხები სახსრები	16	*411,946*	387,612	411,946	387,612
სუბორდინირებული სესხი	20	*64,967*	66,752	64,967	66,752
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	836	-	1,075
სხვა ვალდებულებები	17	*4,309*	3,717	4,155	3,433
სხვა ანარიცხები	18	*577*	477	577	476
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	19	*937*	3,903	937	3,904
სულ ვალდებულებები		***1,160,434***	**1,198,729**	**1,161,880**	**1,198,952**
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	21	*88,915*	88,915	88,915	88,915
საემისიო შემოსავალი	21	*36,388*	36,388	36,388	36,388
გაუნაწილებელი მოგება		*72,801*	70,830	71,974	70,857
სულ კაპიტალი		***198,104***	**196,133**	**197,277**	**196,160**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		***1,358,538***	**1,394,862**	**1,359,157**	**1,395,113**

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი		კონსოლიდირებული		*ცალკე*	
	შენიშვნები	**2017**	**2016**	**2017**	**2016**
საპროცენტო შემოსავალი	23	84,858	104,532	84,858	104,532
საპროცენტო ხარჯი	23	(32,131)	(36,215)	(32,131)	(36,215)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**52,727**	**68,317**	**52,727**	**68,317**
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	(4,911)	(13,662)	(4,911)	(13,662)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების შემდეგ		**47,816**	**54,655**	**47,816**	**54,655**
საკომისიო შემოსავალი	24	10,204	10,835	10,204	10,835
საკომისიო ხარჯი	24	(5,174)	(4,836)	(5,174)	(4,836)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი		9,520	5,570	9,520	5,570
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		(3,160)	1,265	(3,160)	1,397
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(13,177)	(16,950)	(13,104)	(16,875)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	25	(25,137)	(26,735)	(25,065)	(26,685)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,418	5,881	1,959	9,144
სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,508)	(1,637)	(1,120)	(1,107)
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე		**22,802**	**28,048**	**21,877**	**32,098**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(141)	(3,777)	(69)	(3,543)
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი		**22,661**	**24,271**	**21,808**	**28,555**

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი

		კონსოლიდირებული				*ცალკე*			
	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის		**88,915**	**36,388**	**46,559**	**171,862**	**88,915**	**36,388**	**42,302**	**167,605**
სულ სრული შემოსავალი									
წლის მოგება		-	-	24,271	24,271			28,555	28,555
სულ წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**24,271**	**24,271**	**88,915**	**36,388**	**28,555**	**28,555**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**88,915**	**36,388**	**70,830**	**196,133**	**88,915**	**36,388**	**70,857**	**196,160**
სულ სრული შემოსავალი									
წლის მოგება		-	-	22,661	22,661	-	-	21,808	21,808
სულ წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**22,661**	**22,661**	**88,915**	**36,388**	**21,808**	**21,808**
მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები, აღრიცხული კაპიტალში									
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(20,692)	(20,692)	-	-	(20,692)	(20,692)
სულ ტრანზაქციები მფლობელებთან		**-**	**-**	**(20,692)**	**(20,692)**	**-**	**-**	**(20,692)**	**(20,692)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**88,915**	**36,388**	**72,801**	**198,102**	**88,915**	**36,388**	**71,974**	**197,277**

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	კონსოლიდირებული 2017	კონსოლიდირებული 2016	*ცალკე* 2017	*ცალკე* 2016
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე		**22,802**	**28,048**	**21,877**	**32,098**
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	4,911	13,662	5,328	13,662
ცვეთა და ამორტიზაცია		6,123	6,672	6,093	6,658
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		3,160	(1,265)	3,160	(1,265)
სხვა ანარიცხების დარიცხვა (გამოთავისუფლება)		101	38	101	38
მოგება ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან		2,406	(685)	2,406	302
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		(52,727)	(68,317)	(52,727)	(68,317)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**(13,224)**	**(21,847)**	**(13,763)**	**(16,824)**
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების გაზრდა/შემცირება არაფულადი მუხლების შემდეგ:					
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		5,097	(25,500)	5,096	(25,500)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(149,841)	101,042	(150,258)	101,042
სხვა აქტივები		6,303	(3,839)	6,080	(4,987)
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		45,783	(2,118)	45,782	(2,118)
მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები		(164)	(222)	(164)	(222)
კლიენტთა ანგარიშები		(98,967)	12,233	(97,638)	7,654
სხვა ვალდებულებები		592	764	722	914
მიღებული პროცენტები		83,305	106,964	83,305	106,964
გადახდილი პროცენტები		(34,822)	(35,403)	(34,821)	(35,403)
გადახდილი მოგების გადასახადი		(5,476)	(2,470)	(5,682)	(1,966)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(161,414)**	**129,604**	**(161,339)**	**129,554**
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(971)	(5,511)	(971)	(5,511)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(120)	(1,065)	(8)	-
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი		287	1,114	99	99
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	8	(30,000)	(32,178)	(30,000)	(32,178)
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებით მიღებული შემოსავალი	8	41,866	34,995	41,866	34,995
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		**11,062**	**(2,645)**	**10,985**	**(2,595)**
გადახდილი დივიდენდები	21	(20,692)	-	(20,692)	-
სხვა ნასესხები სახსრების მიღება		82,618	136,192	82,618	136,192
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(88,034)	(102,422)	(88,034)	(102,422)
ფინანსური საქმიანობის შედეგად გასული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		**(26,108)**	**33,770**	**(26,108)**	**33,770**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(176,460)**	**160,729**	**(176,461)**	**160,729**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		293,963	113,686	293,963	113,686
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგები		38,808	19,548	38,808	19,548
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	6	**156,311**	**293,963**	**156,310**	**293,963**

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი /დირექტორი/

ნანა ჩიკვაიძე /მთავარი ბუღალტერი/

1. ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშებს. ბანკი და მისი შვილობილი კომპანია წარმოადგენენ სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მოცემული განმარტების შესაბამისად. მათი რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანაა საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 4 იანვარს, რეგისტრაციის ნომრით: 204851197.

სს პროკრედიტ ბანკი არის განვითარებაზე ორიენტირებული ბანკი, რომელიც სპეციალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. საზედამხედველო მიზნებისთვის, პროკრედიტ ბანკი საქმიანობას აწარმოებს ზოგადი საბანკო ლიცენზიით #233, ხოლო მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 21. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. ბანკი თავის კლიენტებს ემსახურება 4 ფილიალის, 5 სერვის პუნქტის და 12 თვითმომსახურების ზონის საშუალებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, და ზუგდიდში.

ბანკი ერთპიროვნულად ფლობს შვილობილ კომპანიას შპს პროკრედიტ ფროფერთი, რომელიც 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობა უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა და განკარგვაა. კომპანია ამ ქონებას იძენს აუქციონზე ბანკის იმ კლიენტებისგან, რომლებმაც აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულეს.

ბანკის უშუალო და ერთადერთი დედობილი კომპანია არის პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „დამფუძნებელი“). 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ქვემოთ წარმოდგენილი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ დამფუძნებლის მიმოქცევაში გაშვებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჯგუფს არ ჰყოლია მთავარი მაკონტროლებელი მხარე.

	კაპიტალში მონაწილეობის წილის %, 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2017	**2016**
Zeitinger Invest GmbH	16.8	18.4
KfW - Kreditanstalt für Wiederaufbau	13.2	13.6
DOEN ფონდი	12.5	13.3
IFC - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	10	10.3
TIAA-CREF -მასწავლებელთა დაზღვევის და ანუიტეტის ასოციაცია	8.6	9.9
სხვა	38.9	34.4
სულ	**100**	**100**

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები იხილეთ 29-ე შენიშვნაში.

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფი საქმიანობს საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზარზე, რომელსაც განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, თუმცა ხშირად იცვლება და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. სხვა სამართლებრივ და ფინანსურ დაბრკოლებებთან ერთად, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს მენეჯმენტის მიერ საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასებას. მომავალში არსებული ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია თანმიმდევრულად ჯგუფის შემადგენლობაში შესული კომპანიების მიერ, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

შესაბამისობის განცხადება

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აისახება რეალური (სამართლიანი) ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისა. ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) ადგენს რეალური (სამართლიანი) ღირებულების განსაზღვრის იერარქიას, რომელიც ასახავს რეალური (სამართლიანი) ღირებულების დადგენის სხვადასხვა მეთოდის შედარებით სიზუსტეს:

(ა) აქტიური ბაზარი: კოტირებული ფასი (დონე 1)
აქტიურ ბაზრებზე იდენტური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება.

(ბ) შეფასების მეთოდი დაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 2)

აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დადგენილ ფასებზე დაკვირვება, ან არააქტიურ ბაზრებზე იდენტური, ან მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება, ან ისეთი შეფასების მოდელების გამოყენება, სადაც ყველა მნიშვნელოვან რესურსზე შეიძლება დაკვირვება.

(გ) შეფასების მეთოდი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 3)

შეფასების ისეთი მოდელების გამოყენება, სადაც ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელოვანი რესურსი არ არის დაკვირვებადი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი (რეალური) ღირებულების განსაზღვრის საუკეთესო მეთოდი ხელმისაწვდომი არაა, შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის რიგით მეორე საუკეთესო მეთოდის გამოყენება. თუ შესაძლებელია, ჯგუფი სამართლიან ღირებულებას განსაზღრავს კოტირებული საბაზრო ფასების მიხედვით; სხვა შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი დონის არსებული საუკეთესო შეფასების მეთოდი.

ანგარიშგება და შეფასება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე ხდება.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გამოყენებული შეფასების მეთოდები აღნიშნულია მე-3 და 27-ე შენიშვნებში.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საინვესტიციო ობიექტებს. ჯგუფი აკონტროლებს საინვესტიციო ობიექტებს, თუ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავალი საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობის შედეგად და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ასეთ შემოსავალზე საინვესტიციო ობიექტთან მიმართებაში არსებული უფლებამოსილების გამო. კერძოდ, ჯგუფი ახდენს მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებული საინვესტიციო ობიექტების კონსოლიდაციას. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შედის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შესული კომპანიებს შორის არსებული ოპერაციები, ბალანსები და ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებულ ოპერაციებზე არარეალიზებული მოგება. ასევე არ არის შესული არარეალიზებული დანაკარგებიც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გაუფასურების ნიშნები არ არსებობს.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება კატეგორიების მიხედვით, სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდევინება ვალდებულების გადაცემისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ძირითად ბაზარზე, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, რომელზეც ჯგუფს აქვს წვდომა აღნიშნული თარიღისათვის. სამართლიანი (რეალური) ღირებულება არის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზებული ფასი და ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს.

შესაძლებლობის შემთხვევაში, ჯგუფი განსაზღვრავს ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას, აქტიურ ბაზარზე ამ ინსტრუმენტზე კოტირებული ფასების მიხედვით. ბაზარი აქტიურია, თუ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება, რაც ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას ფასების შესახებ.

აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასის არარსებობის შემთხვევაში, ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მინიმუმდე დაყვანას. არჩეული შეფასების მეთოდი მოიცავს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოცემულ გარემოებებში გაითვალისწინებდნენ.

როგორც წესი, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციის ფასი, ანუ გაცემული თუ მიღებული ანაზღაურების სამართლიანი (რეალური) ღირებულება. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება ტრანზაქციის ფასისგან და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება არც აქტიურ ბაზარზე მსგავს აქტივსა თუ ვალდებულებაზე კოტირებული ფასით და არც შეფასების მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებზეა დამყარებული, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას ასახულ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებული სხვაობის მიხედვით. ამის შემდეგ სხვაობა შესაბამისად აისახება მოგება ან ზარალში ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ მომენტისა, როცა შეფასება მთლიანად დადასტურდება დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით, ან ტრანზაქცია დაიხურება.

საბაზრო და საკრედიტო რისკის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელსაც ჯგუფი მართავს საბაზრო ან საკრედიტო რისკის წმინდა დონის გათვალისწინებით, ფასდება იმ ფასის მიხედვით, რომელიც მიღებული იქნება წმინდა „გრძელი პოზიციის“ გაყიდვიდან (ან გადახდილი იქნება წმინდა „მოკლე პოზიციის“ გადაცემისას) კონკრეტული რისკის შემთხვევაში. აღნიშნული კორექტირებები, რომლებიც პორტფელის დონეზე ხორციელდება, ნაწილდება ცალკეულ აქტივებსა და ვალდებულებებზე პორტფელში არსებული თითოეული ცალკეული ინსტრუმენტის შესაბამისი რისკის კორექტირების საფუძველზე.

ჯგუფი აღიარებს სამართლიანი ღირებულების იერარქიას შორის გადატანებს იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როცა ცვლილება მოხდა.

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლის საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ფინანსური აქტივი ან ვალდებულება, გამოკლებული ძირი თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და ვადის ბოლოს დასაფარ თანხას შორის არსებული ნებისმიერი სხვაობისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. პრემიები და დისკონტები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯი, შედის დაკავშირებული ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ტრანზაქციის ხარჯი არის ზრდადი ხარჯი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას თუ განკარგვას. ზრდადი ხარჯი ნიშნავს ისეთ ხარჯს, რომელიც არ იქნებოდა გაწეული იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ შედგებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებზე (მათ შორის გასაღების აგენტების სახით მოქმედ თანამშრომლებზე), მრჩევლებზე, ბროკერებსა და დილერებზე გაწეულ ჰონორარსა და სხვა საკომისიოს, მარეგულირებელი ორგანოების და ფასიანი ბირჟების მიერ დაწესებულ გადახდებს, გადარიცხვის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს დავალიანების პრემიას თუ დისკონტს, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ხარჯებს ან მარაგების შენახვის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდს, რათა საბალანსო ღირებულებაზე მივიღოთ მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ნიშნავს განაკვეთს, რომლის საფუძველზე ხორციელდება სამომავლო ფულადი გადახდების ან შემოსულობების (სამომავლო საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე

ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადით ან, თუ საჭიროა, უფრო მოკლე პერიოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებზე ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის პროცენტის გადაფასების მომდევნო თარიღამდე, პრემიის თუ დისკონტის გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს მოცემული ინსტრუმენტისთვის დადგენილი მცოცავი განაკვეთით, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოუკიდებელია საბაზრო განაკვეთებისგან. ასეთი პრემია ან დისკონტი ამორტიზირდება ინსტრუმენტის მთლიანი სავარაუდო ვადით. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს კონტრაგენტების მიერ გადახდილ ან მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები, სესხები და დებიტორული დავალიანება, და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. არ არსებობს „გადახდამდე დაკავებულ" კატეგორიაში შესული აქტივები. მენეჯმენტი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი შეფასების საფუძველზე.

მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამ კატეგორიას გააჩნია ორი ქვეკატეგორია: სავაჭროდ დაკავებული ფინანსური აქტივები (სავაჭრო აქტივები), მათ შორის მფლობელობაში არსებული დერივატივები და თავდაპირველი აღიარებისას მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებით აღიარება შესაძლებელია მოგების ან ზარალის საფუძველზე, როცა ის ცალკე პორტფელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, დოკუმენტურად დასაბუთებული რისკების მართვის სტრატეგიის ან საინვესტიციო სტრატეგიის მიხედვით. ანგარიშგებაში ასახული სამართლიანი (რეალური) ღირებულება ჩვეულებრივ დაკვირვებად საბაზრო ფასებს წარმოადგენს; ჯგუფი ამჯობინებს ისეთ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რომელთათვისაც საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე დაკვირვებადია. სამართლიანი ღირებულება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოითვლება მიმდინარე დაკვირებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე, შეფასების მეთოდის გამოყენებით. გამოყენებული შეფასების მეთოდი წარმოადგენს მითითებას სხვა მსგავსი ინსტრუმენტების მიმდინარე სამართლიან ღირებულებაზე და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზზე დაკვირვებადი საბაზრო პარამეტრების გამოყენებით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გარიგების ხარჯები დანახარჯის სახით აისახება მოგების, ან ზარალის ანგარიშში. შემდგომ ისინი სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში. მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელთან ერთად, ეს ინსტრუმენტები აისახება როგორც „მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან მიღებული წმინდა შედეგი".

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის აღიარება სტანდარტული ტრანზაქციებისთვის ხდება გარიგების დღეს - იმ დღეს, როცა ჯგუფი აქტივს იყიდის ან გაყიდის. მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება უქმდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა ეწურება ან როდესაც ჯგუფი გაასხვისებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან დასადგენი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ჯგუფი უშუალოდ დებიტორზე გასცემს ფულს, საქონელს ან მომსახურებას ისე, რომ მიზნად არ ისახავს დებიტორული დავალიანებით ვაჭრობას.

სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციის ხარჯები; შემდეგ ისინი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ყოველი საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და როდესაც პოტენციური გაუფასურების ნიშნები ჩანს, ჯგუფი აფასებს თავისი სესხებისა და დებიტორული დავალიანებების ღირებულებას. მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება შემცირდეს სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გამო (გაუფასურებულ სესხებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა N9). თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობა შემცირდება, შესაბამისად შემცირდება გაუფასურებისთვის გამოყოფილი რეზერვი და შემცირებული ოდენობა ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების შემცირების მაქსიმალური ზღვარი უდრის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც იარსებებდა შეფასების დღისთვის, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

სესხების აღიარება ხდება მაშინ, როცა მსესხებლებზე ხდება ძირი თანხის (კაპიტალის) წინასწარი გაცემა. ჯგუფი გააუქმებს სესხების და დებიტორული დავალიანების აღიარებას მაშინ, როდესაც (ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა ან ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს ვადა ამოეწურება, ან (ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს მიღებული ფულადი ნაკადების გადაცემის თაობაზე შეთანხმება, ამავდროულად (i) ჯგუფს ასევე გასხვისებული აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც დაუტოვებია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, თუმცა მართვის უფლებაც არ შეუნარჩუნებია.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შედის ის ფინანსური აქტივები, რომელთა დაკავება (ფლობა) განუსაზღვრელი ვადითაა გამიზნული და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროებიდან ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსებსა თუ აქციების ფასებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე.

თავდაპირველი აღიარებისას, გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ბუღალტრულად აღირიცხება რეალური ღირებულებით. შემდგომ პერიოდშიც ისინი სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ვიდრე მათი განსაზღვრა შეუძლებელი არ გახდება. ანგარიშგებაში ასახული სამართლიანი (რეალური) ღირებულება წარმოადგენს ან დაკვირვებად საბაზრო ფასებს ან იმ ღირებულებას, რომელიც ფასდება ამჟამინდელ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდით. გასაყიდად არსებული აქტივების სამართლიან (რეალურ) ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი პირდაპირ ფასდება სხვა მთლიან შემოსავლად უწყისის მუხლში „გასაყიდად არსებული აქტივის გადაფასების რეზერვი“, ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე ან მის გაუფასურებამდე. ამასთან, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც ადრე შეტანილი იყო სხვა მთლიან შემოსავალში, ამჯერად ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში, როგორც „გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივიდან მოგება ან ზარალი“. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი და გაცვლითი სავალუტო კურსის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი იმ მონეტარულ აქტივებზე, რომლებიც გადის გასაყიდად არსებულის კატეგორიაში, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. გასაყიდად არსებულ წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია მოგება–ზარალის უწყისის სხვა საოპერაციო შემოსავლების ნაწილში, როდესაც დგინდება კომპანიის უფლება თანხის მიღებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შესყიდვების და გაყიდვების სტანდარტული ტრანზაქციები აღირიცხება გარიგების შესრულების დღეს. ჯგუფი გააუქმებს გასაყიდად არსებული აქტივების აღიარებას მაშინ, როცა (ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს ვადა ამოეწურება, ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს მიღებული ფულადი ნაკადების გადაცემის თაობაზე შეთანხმება, ამავდროულად (i) ჯგუფს ასევე გადაცემული აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც დაუტოვებია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, თუმცა მართვის უფლებაც არ შეუნარჩუნებია.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფი გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლის საგანია აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძვლებზე, ამას დაემატება ტრანზაქციის ხარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გაცემასთან. ყველა ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა იმ ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძველზე და რომლებიც წარმოიქმნება იმ დროს, როცა სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივის გადაცემა არ შეესაბამება აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს.

ჯგუფი აუქმებს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა ამოეწურება.

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები შედგება მხოლოდ ჰეჯირებისთვის გამოყენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე უარყოფითი სამართლიანი ღირებულებებისგან, მაგრამ არა როგორც ჰეჯირების შეთანხმება, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39-ის თანახმად ჰეჯირების აღრიცხვის პირობებით მიხედვით.

თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ცვლილება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა დაარეგულირონ დაავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ა) ჯგუფის საქმიანობისა (საოპერაციო) და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც არის ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტა. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ბანკის საქმიანობის ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ასახავს ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ კონვერტირდება.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსები

სავალუტო ტრანზაქციების გადაყვანა საქმიანობის ვალუტაში ხდება ტრანზაქციების დღეს მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისა და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლითი კურსის მიხედვით გადაყვანის შედეგად, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული მუხლები გადაიყვანება ანგარიშგების თარიღის დახურვისას არსებული კურსით. მონეტარულ მუხლებზე დადებითი ან უარყოფითი სავალუტო სხვაობა წარმოადგენს სხვაობას საანგარიშო პერიოდის დასაწყისში საქმიანობის ვალუტაში გამოხატულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც პერიოდის განმავლობაში კორექტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და შენატანების გათვალისწინებით) და

უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი (რეალური) ღირებულება განისაზღვრა.

უცხოური ვალუტით დენომინირებული ისტორიული ხარჯით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება თავდაპირველი აღიარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

გადაანგარიშების დროს წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ სხვაობის გარდა, რომელიც წარმოიქმნება გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტების გადაანგარიშებისას, თუკი ეს სხვაობა არ არის გამოწვეული გაუფასურებით, რა შემთხვევაშიც სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული საკურსო ცვლილებები გადადის მოგების ან ზარალის კატეგორიაში.

საანგარიშო პერიოდის სავალუტო კურსი და ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული მოცემული პერიოდის საშუალო სავალუტო კურსი ჩამოთვლილია 26-ე შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ბანკნოტებსა და მონეტებს, შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე ნაშთებს, როცა შესაძლებელია მათი დისკონტირება ეროვნულ ბანკში, ფულადი ბაზრის სხვა მაღალლიკვიდურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება ადვილად იყოს კონვერტირებული გარკვეულ ფულად თანხაში, ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკით, მათ შორის ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე ნაშთებს, მათ შორის სალაროში არსებულ ბანკნოტებსა და მონეტებს და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს, უგირავნო სახაზინო თამასუქებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს და ბანკებისაგან მისაღებ თანხებს. ეროვნულ ბანკში არსებული სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი არ ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტად მის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

კლიენტებსა და ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები

კლიენტებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება ძირითადად გულისხმობს გაცემულ სესხებსა და ავანსებს. ძალიან მოკლევადიანი (ერთდღიანი) და ვადიანი ანაბრების გარდა, ბანკებისგან მისაღები დებიტორული დავალიანების ჯგუფში ასახული თანხები მოიცავს მიმდინარე ანგარიშების ნაშთებსაც.

ბანკებისგან მისაღები ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება, ასევე კლიენტებისგან მისაღები სესხები და დებიტორული დავალიანება შედის კატეგორიაში "სესხები და დებიტორული დავალიანება" და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. პრემიები და დისკონტები, მათ შორის თავდაპირველი სატრანზაქციო დანახარჯები, შედის შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. სესხების გაუფასურების აღიარება ხდება ცალკე სარეზერვო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნით, ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია, ასახულია ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

სესხებისა და ავანსების გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშო თარიღით ამოწმებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი ან სასესხო პორტფელი გაუფასურდა, რაც გავლენას ახდენს ამ ფინანსური აქტივ(ებ)ის სამომავლო ფულად ნაკადებზე, დაუყოვნებლივ ხდება შესაბამისი ზარალის აღიარება. სესხის ზომის გათვალისწინებით, ასეთი ზარალი ან ინდივიდუალურად გამოითვლება თითოეულ სესხზე, ან ერთობლივად ფასდება სასესხო პორტფელზე. სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი არ აღიარებს ზარალს მომავალში მოსალოდნელი მოვლენებიდან.

- <u>ინდივიდუალურად შეფასებული სესხები და ავანსები</u>

სესხები, რომელთა საბალანსო და გარესაბალანსო ნაწილის ჯამი აღემატება 50 000 დოლარის ექვივალენტს ლარში, ითვლება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან სესხებად და მათი გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად, ბანკის მასშტაბით დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთი სესხების შემთხვევაში ფასდება, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი. ის

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კლიენტის მიერ ჯგუფისადმი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს მსესხებლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება, სესხის პირობების დარღვევა, ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის რესტრუქტურიზაცია, რასაც ჯგუფი სხვაგვარად არ განიხილავდა, მათ შორის მსესხებლის გაკოტრების ნიშნები, გირაოს გაუფასურება ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული სხვა დაკვირვებადი მონაცემები, როგორიცაა აქტივების ჯგუფში მსესხებლების გადახდისუნარიანობის უარყოფითი ცვლილება, ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც კორელირდება ჯგუფის შემადგენლობაში არსებულ აქტივებთან მიმართებაში ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

გაუფასურების რეზერვის დადგენისას გათვალისწინებულია კლიენტზე გაცემული საერთო სესხი და უზრუნველყოფის რეალიზებადი ღირებულება.

თუკი არსებობს სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ზარალის ოდენობა ფასდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (სპეციალური გაუფასურება). თუ სესხს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის დასადგენად წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს გამოკლებული უზრუნველყოფის ამოღებისა და გაყიდვის ხარჯები.

- <u>ერთობლივად შეფასებული სესხები და ავანსები</u>

სესხების გაუფასურება ერთობლივად ფასდება ორ შემთხვევაში:

- ცალკე აღებული (ინდივიდუალური) უმნიშვნელო სესხები, რომლებიც გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ავლენს,
- ცალკე აღებული (ინდივიდუალურად) მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო სესხების ჯგუფი, რომელიც არ ავლენს გაუფასურების ნიშნებს, რათა დაიფაროს ყველა დანაკარგი, რაც უკვე გასწია ბანკმა, მაგრამ რომელიც არ იყო აღმოჩენილი სესხების ინდივიდუალურად განხილვისას.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების გაუფასურების შეფასების მიზნით, სესხები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე, ანუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილება გაუფასურების ნიშნად ითვლება. ეს მახასიათებელი მნიშვნელოვანია ასეთი აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, მსგავსი მახასიათებლების მქონე სესხებზე ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო კრედიტების (ერთიანი თანხის გაუფასურება) და ფინანსური აქტივების ჯგუფში გასული არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი სესხების (პორტფელის გაუფასურება) გაუფასურების ერთობლივი შეფასება ეყრდნობა რისკების მსგავსი მახასიათებლების და დაახლოებით მსგავსი რისკის პროფილის მქონე სასესხო პორტფელების დეფოლტის ისტორიული მაჩვენებლის რაოდენობრივ ანალიზს (მიგრაციის ანალიზი). სტატისტიკური მონაცემების ხარისხობრივი ანალიზის შემდეგ, მენეჯმენტმა დააწესა შესაბამისი განაკვეთები პორტფელის გაუფასურების რეზერვისთვის.

იმ ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადები, რომელთა გაუფასურებაც ჯამურად ფასდება, გამოითვლება ამ ჯგუფში შემავალ აქტივებზე საკონტრაქტო ფულადი ნაკადებისა და ამ ჯგუფში შემავალი აქტივების ანალოგიური საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე აქტივებზე ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული ზარალის გამოცდილება კორექტირდება არსებული დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს იმ მიმდინარე პირობების გავლენა, რომელიც არ იყო გათვალისწინებული იმ პერიოდში, რომელზეც დაფუძნებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება, და გამოირიცხოს ისტორიული პერიოდის ეფექტი, რომელიც მიმდინარე პერიოდში არ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და დაშვებები რეგულარულად გადაისინჯება ჯგუფის მიერ, რათა შეამციროს ნებისმიერი სხვაობა პროგნოზირებულ და რეალურ ზარალს შორის.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწველი ზარალი აღდგება სარეზერვო ანგარიშის კორექტირების მეშვეობით. აღდგენილი თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

როცა სესხი ჩამოიწერება შიდა პოლიტიკის მიხედვით, ის ჩამოიწერება სესხზე შესაძლო დანაკარგებისთვის გამოყოფილი შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. ასეთი სესხები ჩამოიწერება მას

შემდეგ, რაც შესრულდება ყველა აუცილებელი პროცედურა და განისაზღვრება დანაკარგის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს სესხზე შესაძლო დანაკარგისთვის გამოყოფილი რეზერვის ოდენობას მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული სესხები

რესტრუქტურიზებული სესხები, რომლებიც გაუფასურების ნიშნებს ავლებენ, ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება და მათი გაუფასურება ცალ–ცალკე ფასდება. დანაკარგის ოდენობა ფასდება, როგორც განსხვავება რესტრუქტურიზებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (სპეციალური გაუფასურება). ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული რესტრუქტურიზებული სესხების გაუფასურება ჯამურად ფასდება.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფის მიერ ვადაგადაცილებული სესხების ამოსაღებად მოპოვებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივს. ჯგუფი აღიარებს დასაკუთრებულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა მას ექნება სრული და საბოლოო უფლება უზრუნველყოფის რეალიზაციაზე და მისი რეალიზაციიდან მიღებული ზედმეტი თანხის დაკავებაზე.

თავდაპირველი აღიარებისას დასაკუთრებული აქტივები ფასდება საბალანსო ღირებულების და სამართლიანი ღირებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აისახება შენობა-ნაგებობების, სხვა ფინანსური აქტივების და სასაქონლო მატერიალური მარაგების კატეგორიაში სხვა აქტივების შემადგენლობაში, რაც დამოკიდებულია აღნიშნული აქტივების მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიებისთვის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

დასაკუთრებული აქტივების საბალანსო ღირებულება ფასდება ვადაგადაცილებული სესხის ღირებულების საფუძველზე, უზრუნველყოფის რეალიზაციის პროცესში გაწეული ხარჯების ჩათვლით. სამართლიანი ღირებულება, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, წარმოადგენს უზრუნველყოფის სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შესაბამისი სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული აქტივების კატეგორიაში გასული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღით ჯგუფი ამოწმებს, არსებობს თუ არა გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები, იგივე გაუფასურების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის გამოიყენება.

საკუთარ კაპიტალში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც გასაყიდად არსებულის კატეგორიაში გადის, აქტივების გაუფასურების დადგენისას მხედველობაში მიიღება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი (რეალური) ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება მისი შეძენის ღირებულებაზე ქვემოთ. მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი წილობრივ ინსტრუმენტზე მომავალში აღარ აღდგება მოგების ან ზარალის საფუძველზე. თუ მომდევნო პერიოდში გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შეტანილი სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ეს ზრდა ობიექტურად იქნება დაკავშირებული მოგებაში, ან ზარალში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აღდგება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული, ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ ინვესტიციების გაუფასურების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ან უარს ამბობს ამ ვალდებულებების შესრულებაზე.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

ყველა ქონება და აღჭურვილობა მოცემულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ამ აქტივის შეძენას. აქტივის შემადგენელი ნაწილების ცალკე აღიარება ხდება მაშინ, თუ მათ სხვადასხვაგვარი გამოსადეგობის პერიოდი აქვთ და სხვადასხვა ფორმით მოაქვთ სარგებელი საწარმოსთვის.

შემდგომი ხარჯები ან შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების შეფასება საიმედოდ ზუსტია. ყველა სხვა შეკეთების/გამართვის და მოვლის ხარჯები აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როცა მოხდა ამ ხარჯების გაწევა.

მიწა და მშენებარე ობიექტები ცვეთას არ ექვემდებარება. აქტივების სხვა ძირითადი კატეგორიების ცვეთა გამოითვლება ცვეთის თანაბრად დარიცხვის მეთოდით, რითაც მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებამდე მათი სავარაუდო საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირად:

- შენობები 2-3%
- ავეჯი და მოწყობილობა 20-25%
- კომპ. და სხვა მოწყობილობა 20-25%

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ექსპლუატაციის პერიოდი გადაისინჯება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველი ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით.

გასხვისების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულების შედარებით და აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული აქტივები

არამიმდინარე აქტივები, რომელთა ამოღება უფრო მეტად მოსალოდნელია რეალიზაციის, ვიდრე ექსპლუატაციის შედეგად, გასაყიდად არსებული აქტივების კატეგორიას მიეკუთვნება. გასაყიდად არსებული აქტივების სახით კლასიფიკაციამდე, აქტივები გადაფასდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისად. შესაბამისად, აქტივების გადაფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულების და სამართლიანი ღირებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მიხედვით, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის გაზრდის მიზნით, მათ შორის ქონება, რომლის სამომავლო დანიშნულება ჯერჯერობით დაუდგენელია. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილობრივად ჩანაცვლების ღირებულებას აღნიშნული ხარჯის გაწევის მომენტში, მათი აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, და არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისების ან ექსპლუატაციიდან საბოლოდ ამოღების დროს, როცა არ არის მოსალოდნელი მისი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან გასვლასა თუ გასხვისებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში ექსპლუატაციიდან გასვლის ან გასხვისების წელს.

საინვესტიციო ქონებაში გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება არ არის დაკავებული მისი მფლობელის მიერ ან გადაცემულია მეორე მხარისთვის ლიზინგის უფლებით. საინვესტიციო ქონებიდან გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება დაკავებულია მისი მფლობელის მიერ ან დაწყებულია მისი კეთილმოწყობა გაყიდვის მიზნით.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამის შეძენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ამორტიზაცია თანაბარზომიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. პროგრამის ექსპლუატაციის სავარაუდო ვადა ხუთი-რვა წელია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ყოველი საანგარიშო თარიღით. არაფინანსური აქტივების აღდგენითი ღირებულება მათი გაყიდვის ხარჯების გამოქვითვის შემდგომ სამართლიან ღირებულებასა და ექსპლუატაციის ღირებულებას შორის უფრო მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ექსპლუატაციის ღირებულების შეფასებისას, სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადის გაქვითვამდე არსებული დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს. იმ აქტივისთვის, რომელიც დამოუკიდებლად არ წარმოშობს ფულად ნაკადებს, აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულისთვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული აქტივი. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ,

როცა აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებას აღემატება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ყველა დანაკარგი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში და ექვემდებარება აღდგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აღდგენითი ღირებულების დადგენისთვის გამოყენებული შეფასებები. გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი დანაკარგის აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა, ცვეთის და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა, თუ ის არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემას, ჯგუფის კომპანიები წარმოადგენენ მხოლოდ საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებს (IAS 17). საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ყველა ქონება "საინვესტიციო ქონების" კატეგორიაში აისახება. საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება თანაზომიერად იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში. იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები აღირიცხება თანაბარზომიერად როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება უშუალოდ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ობიექტებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადების ხარჯი არის წლის განმავლობაში დასაბეგრი შემოსავლის მოსალოდნელი გადასახადი, ანგარიშგების დღეს მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, ასევე ნებისმიერი კორექტირება წინა წლებთან მიმართებით გადასახდელ გადასახადში. მიმდინარე გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოქმნილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადების რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცობილია, როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის თანახმად დაბეგვრა განხორციელდება არა დასაბეგრი მოგების მიღების დროს, არამედ მისი განაწილების დროს. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრით დაწყებულ საგადასახადო პერიოდზე ფინანსური დაწესებულებების (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) გარდა ყველა ორგანიზაციის მიმართ, რის გამოც კანონი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარს.

კორპორატიული საშემოსავლო დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი დაწესდება არა მოგების მიღების დროს, არამედ მოგების განაწილების დროს, ე.ი. მთავარი დასაბეგრი ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, განაწილებული მოგება ნიშნავს აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება ასევე ზოგიერთი სხვა ოპერაციაც, მაგალითად, არა-გაშლილი მკლავის პრინციპით უცხოეთში განხორციელებული ტრანზაქციები, სადაც დაკავშირებული მხარეები ან/და პირები გადასახადებისგან გათავისუფლებულები არიან, ითვლება განაწილებულ მოგებად, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, დასაბეგრი ობიექტი მოიცავს ისეთ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომელიც არ უკავშირდება ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და გადაცილებული ლიმიტის წარმომადგენლობით ხარჯებს.

გადახდილი გადასახადის ანაზღაურება შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის შემთხვევაში, თუ ეს მოგება განაწილდება 2019 წელს ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებული კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ითვლება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, გადახდის ფაქტობრივი თარიღის მიუხედავად, ან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, გათვალისწინებულია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და დასაბეგრ თანხებს შორის დროებითი განსხვავებებისთვის. დროებითი განსხვავებები არ ითვალისწინებს შემდეგს: „გუდვილი“, რომელიც არ იქვითება საგადასახადო მიზნებისთვის; აქტივების ან პასივების

თავდაპირველი აღიარება, რაც გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე; ასევე შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და ასოცირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებები, რომელშიც სათავო კომპანიას შეუძლია აკონტროლოს დროებითი განსხვავების შეცვლის ვადები და სავარაუდოა, რომ დროებითი განსხვავება არ შეიცვლება ახლო მომავალში. გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება 2019 წლის 1 იანვრამდე აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი სახით რეალიზაციას ან ანგარიშსწორებას, ანგარიშსწორების დროს მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მომავალში დასაბეგრი მოგების 2019 წლის 1 იანვრამდე მიღების ალბათობა, რომელზეც შეიძლება დროებითი განსხვავებების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და სუბსიდიების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველი ანგარიშგების დროს და მცირდება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზების ალბათობა.

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის 2019 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დროიდან აღარ იარსებებს გადავადებული გადასახადის აქტივები და პასივები.

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული ტრანზაქციაზე გაწეული ხარჯები. შემდგომში ნასესხები თანხები მოცემულია ამორტიზირებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება შემოსავლებსა (გამოკლებული ტრანზაქციის ხარჯები) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში სესხის ვადის/პერიოდის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ამოიწურება, ანუ როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა გაუვა.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება, თუ

- ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება;

- არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად;
- შესაძლებელია თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა.

თუ არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, იმის ალბათობა, რომ მის შესასრულებლად საჭირო გახდება სახსრების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების მთლიანი კატეგორიის გათვალისწინებით.

რეზერვები, რომელთათვისაც სახსრების გადინების დრო ცნობილია, ფასდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, თუ გადინება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში არ მოხდება. ვალდებულების მიმდინარე ღირებულების ზრდა დროის გასვლის გამო აისახება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

საკრედიტო ვალდებულებები

თავისი მიმდინარე საქმიანობის პროცესში ჯგუფი სხვადასხვა საკრედიტო ვალდებულებებს კისრულობს, როგორიცაა აუთვისებელი საკრედიტო ხაზები, აკრედიტივები და ვალდებულებების შესრულების გარანტიები, მათ შორის საკრედიტო დაზღვევის სხვა ფორმები. ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის ისეთი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჯგუფმა გარანტიის მფლობელს უნდა გადაუხადოს გარკვეული თანხა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მან განიცადა რომელიმე დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად დროულად გადახდის ვალდებულების ვერშესრულების გამო. ფინანსური გარანტიის ვალდებულება თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, შესაბამისი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით, ხოლო შემდგომ ფასდება თავდაპირველად აღიარებული თანხის, დარიცხული ცვეთის გამოკლებით, ან გარანტიაზე შესაძლო დანაკარგის რეზერვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიხედვით. ფინანსურ გარანტიებსა და სხვა საკრედიტო ვალდებულებებზე შესაძლო დანაკარგის რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა არსებობს ასეთი დანაკარგის დადგომის დიდი ალბათობა და მისი ოდენობა შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. ეს პროგნოზები განისაზღვრება მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, რომლებიც ეყრდნობა ანალოგიური ტრანზაქციებიდან მიღებულ გამოცდილებასა და წარსულში განცდილი დანაკარგების სტატისტიკას.

კონტრაქტის საფუძველზე ჯგუფი უფლებამოსილია ამოიღოს კლიენტისგან ფინანსური გარანტიის კონტრაქტით გადახდილი თანხა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება სესხების და დებიტორული დავალიანების სახით. გარანტიებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ნებისმიერი ზრდა ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში “სხვა საოპერაციო ხარჯების” სახელწოდებით.

სესხის გაცემის ვალდებულებები არ ექვემდებარება აღიარებას შემდეგი შემთხვევების გარდა:

- სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც ბანკის მიერ ასახულია მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით, აღიარებული ფინანსური ვალდებულებების სახით;
- თუ ბანკს აქვს წარსულში აქტივების გაყიდვის გამოცდილება, რომელიც გამომდინარეობს სესხის გაცემის ვალდებულებებისგან მათი წარმოქმნისთანავე, იგივე კლასის სესხის გაცემის ვალდებულებები ტარდება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები;
- სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება დაიფაროს ნაღდი ფულის სახით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის მეშვეობით;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე უფრო ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებები.

სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს აქციონერებისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც არ დაიფარება გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მანამდე, სანამ ყველა არასუბორდინირებული კრედიტორი არ დაკმაყოფილდება.

სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ სუბორდინირებული სესხის აღიარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. პრემიები და დისკონტები ჩაითვლება შესაბამისი პერიოდების მოგებაში ან ზარალში "წმინდა საპროცენტო შემოსავლის" სახელწოდებით.

სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარი კაპიტალის კატეგორიას მიეკუთვნება. ზრდადი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციებზე ოფციონების გაცემას, აღიარებულია, როგორც საკუთარი კაპიტალის შემცირება, საგადასახადო შედეგების გამოკლებით. სააქციო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის თანხასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის აღიარებულია საემისიო კაპიტალის სახით.

დივიდენდი

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება როგორც საკუთარი კაპიტალიდან გაცემული თანხები იმ პერიოდში, როდესაც ისინი დამტკიცდა ბანკის აქციონერების მიერ.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი (კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების გამოკლებით) ყველა პროცენტის მომტანი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, გარდა მოგებისა და ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში გასული ინსტრუმენტებისა, აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც "საპროცენტო შემოსავალი და "საპროცენტო ხარჯი" ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როცა ისინი წარმოიშობა.

ნასესხები სახსრები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ისეთი აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც არ ტარდება სამართლიანი (რეალური) ღირებულებით და მოითხოვს მნიშვნელოვან დროს მიზნობრივი ექსპლუატაციისთვის მოსამზადებლად, აღნიშნული აქტივის თვითღირებულების ნაწილს წარმოადგენს. ჯგუფი ახდენს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მოხერხდებოდა, ჯგუფს რომ კაპიტალური დანახარჯები არ გაეწია კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც (ა) ჯგუფი გასწევს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს ნასესხებ თანხებზე; და (გ) მიიღებს სათანადო ზომებს, რათა მოამზადოს აქტივი მიზნობრივი ექსპლუატაციისთვის ან გაყიდვისთვის.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც კვალიფიციური აქტივის მიზნობრივი ექსპლუატაციისა თუ გაყიდვის მიზნით განხორციელებული ყველა საქმიანობა დასრულდება. პროცენტი ან სხვა შემოსავალი ინვესტიციიდან არ გამოიქვითება კაპიტალიზაციისათვის არსებული ნასესხები სახსრების თანხის გამოსათვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მიიღებს სპეციალურ სესხებს კვალიფიციური აქტივის შეძენის მიზნით და გააჩნია საინვესტიციო შემოსავალი ასეთი სპეციალური სესხებით მიღებული ფულადი სახსრების დროებითი ინვესტიციიდან.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც სესხის საერთო მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად მოიაზრება, მათ შორის შესაბამისი ტრანზაქციის დანახარჯები, აისახება როგორც სამომავლო პერიოდის შემოსავალი და ამორტიზირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების სავარაუდო ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება მოხდება იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც მოხდა სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასების მიზნით. ჩამოწერილ სესხებთან დაკავშირებით მიღებული გადახდების აღიარება არ ხდება წმინდა საპროცენტო შემოსავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

როგორც წესი, საკომისიო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების გათვალისწინებით, რაც ფასდება მომსახურების საერთო მოცულობაში ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების წილის მიხედვით.

გადარიცხვების, ფულადი ტრანზაქციებისა და სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო, რომელიც მიღებულია ძირითადი ტრანზაქციის შესრულებიდან, ანგარიშში აღირიცხება ტრანზაქციის დასრულებისთანავე. ანგარიშის მომსახურების, ინტერნეტ ბანკის და სმს მომსახურების საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების კონტრაქტის საფუძველზე, როგორც წესი, დროის პროპორციულად.

სასესხო ვალდებულების საკომისიო იმ სესხებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება, გადავადებულია (შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. სინდიცირებული სესხების საკომისიო აისახება შემოსავლის სახით, თუ სინდიცირების ოპერაცია დასრულდება და ჯგუფი არ შეინარჩუნებს სასესხო პორტფელის ნაწილს, ან შეინარჩუნებს პაკეტის ნაწილს იგივე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც ტრანზაქციის სხვა მონაწილეები.

4. დაშვებები და პროგნოზები

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასა და ფინანსურ შედეგზე გავლენას ახდენს სააღრიცხვო მეთოდები, დაშვებები, პროგნოზები და მენეჯმენტის მოსაზრება, რაც აუცილებლად უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების შედგენის ეტაპზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულო ყველა დაშვება და პროგნოზი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად მაქსიმალური სიზუსტით გაკეთებულ შეფასებას. პროგნოზები და გადაწყვეტილებები ფასდება უწყვეტად და ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინს სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებით და ითვლება მიზანშეწონილად მოცემულ პირობებში. გარკვეულ მუხლებთან დაკავშირებული საბუღალტრო პოლიტიკა და მენეჯმენტის მოსაზრება განსაკუთრებით კრიტიკულია ჯგუფის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობისთვის, მათი მნიშვნელობის გამო. ეს ეხება სესხებზე შესაძლო დანაკარგებისთვის შექმნილ რეზერვებსაც.

რეალურ ზარალსა და სავარაუდო ზარალის შეფასებას შორის 10%-იანი ზრდა ან კლება გამოიწვევს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებზე დამატებითი ან უფრო დაბალი საკომისიოს დარიცხვას 1,838 ათასი ლარის (2016 წელს: 1,926 ათასი ლარი) ოდენობით.

ბანკი იყენებს სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვის სხვადასხვა განაკვეთებს რესტრუქტურიზებული და არარესტრუქტურიზებული სასესხო პორტფელისთვის. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის ეყრდნობა ინდივიდუალური სესხების დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, ვალდებულებების დაფარვებისა და სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გათვალისწინებით.

ბანკის მასშტაბით რესტრუქტურიზებულ სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვის განაკვეთების დადგენის მიზნით, ბანკმა შეაფასა სასესხო პორტფელის ხარისხი, პროკრედიტ ჯგუფში შემავალი ბანკების ისტორიული ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული მიგრაციის ანალიზი ეყრდნობა 2016 წლამდე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და შესაბამისად ასახავს როგორც საშუალო დანაკარგებს სტაბილური ზრდის და ხელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ასევე საშუალო დანაკარგებს გლობალური რეცესიის პერიოდში, პროკრედიტ ჯგუფში შემავალი თითქმის ყველა ბანკის საქმიანობის ქვეყანაში. შესაბამისად, მენეჯმენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ზარალის დასაფარავად მიგრაციის ანალიზის შედეგების გამოყენებას 60%-იანი სანდოობის დონით. არარესტრუქტურიზებული სესხების პორტფელისთვის ბანკმა განსაზღვრა სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვები ისე, რომ მიგრაციის ანალიზი დაეყრდნოს ბანკის, და არა პროკრედიტ ჯგუფის ყველა წევრის, ისტორიული ზარალის გამოცდილებას. ბანკი მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა უფრო მისაღებია, რადგან ასახავს ბანკის კონკრეტული ისტორიული ზარალის გამოცდილებას.

დამატებითი ინფორმაცია სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებთან დაკავშირებით ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ მოცემულია მე-3 და 26-ე შენიშვნაში.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები

ა) ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

მიღებული საბუღალტრო პოლიტიკა შეესაბამება წინა ფინანსური წლის საბუღალტრო პოლიტიკას. არცერთი ახალი ან შესწორებული სტანდარტის ან ინტერპრეტაციის დანერგვამ გამოიწვია ცვლილება საბუღალტრო პოლიტიკაში. ახალი მონაცემები შეტანილია 22-ე შენიშვნაში, ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში - შესწორებები ბასს 7-ში (გამოცემულია 2016 წლის 29 იანვარს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებში).

ბ) სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში

გამოცემულია გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიურ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები ***(შესწორებულია 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიურ პერიოდებში).*** ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ სამ კატეგორიად: ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული მოგებაში ან ზარალში (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ეფუძნება ფინანსური აქტივების მართვისთვის გამოყენებულ საწარმოს ბიზნესმოდელს და იმას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას (SPPI) წარმოადგენს თუ არა. თუ საწარმო სავალო ინსტრუმენტს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობს, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, მხოლოდ უნდა აკმაყოფილებდეს SPPI მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტი შეფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ საწარმო სავალო ინსტრუმენტს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და სავალო ინსტრუმენტის გაყიდვის მიზნით. ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ იგი არ შეიცავს ფულად ნაკადებს და აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნას (მაგ.: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები). ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღარ გამოიყოფა ფინანსური აქტივებიდან, მაგრამ შევა SPPI მდგომარეობის შეფასებაში.
- ინვესტიციები კაპიტალში ყოველთვის აღირიცხება რეალური ღირებულებით. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს რეალურ ღირებულებაში ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა, იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტს არ ფლობს ვაჭრობის მიზნებისთვის. თუ წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტი ვაჭრობის მიზნებისთვის არის გათვალისწინებული, რეალურ ღირებულებაში ცვლილებები უნდა აისახოს მოგება-ზარალის უწყისში.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული ბასს 39–ის მოთხოვნების უმეტესობა შეუცვლელად გადავიდა ფასს 9–ში. ძირითადი ცვლილება არის ის, რომ სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს რეალური ღირებულებით განსაზღვრული საკუთარი ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგები მოგებისა ან ზარალის საშუალებით სხვა საერთო მოგებაში.
- ფასს 9-ს შემოაქვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" (ECL) მოდელი. არსებობს „სამ საფეხურიანი" მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის კრედიტუნარიანობის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების

შემდეგ. პრაქტიკაში, ახალი წესები ნიშნავს იმას, რომ სუბიექტებმა უშუალო ზარალი, რომელიც 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლია, უნდა აღრიცხონ იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველ აღიარებაში, რომელთა კრედიტუნარიანობა გაუფასურებული არ არის (ან დებიტორული დავალიანების მოქმედების ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში). თუკი ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, გაუფასურება იზომება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით მოქმედების ვადის და არა 12-თვიანი ECL-ს მიხედვით. მოდელი ითვალისწინებს იჯარის და სავაჭრო დებიტორული დავალიანების ოპერაციულ გამარტივებას.

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შესწორდა, აღრიცხვის და რისკების მართვის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სტანდარტი ითვალისწინებს, რომ სუბიექტებს, რომლებსაც შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ, ჰეჯირების აღრიცხვისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ფასს 9-ის სააღრიცხვო მოთხოვნები ან გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება, რადგან ამჟამად სტანდარტი არ ითვალისწინებს მაკროჰეჯირების საკითხების დარეგულირებას.

2017 წელს, ჰოლდინგის მენეჯმენტმა დაიქირავა საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული მომსახურებების ფირმა, რომელიც მას დახმარებას გაუწევს ფასს 9-ის განხორციელებაში, მათ შორის შესაბამისი სისტემების, პროცესებისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავებაში. ჯგუფი ეყრდნობა ჰოლდინგის დონეზე შემუშავებულ ერთგვაროვან პოლიტიკასა და მოდელებს. ამჟამად, ჯგუფი ასრულებს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ დღეს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, რათა შეაფასოს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე სავარაუდო გავლენა ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედების შემდეგ.

ახალი სტანდარტი სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ფინანსური აქტივების შეფასებაზე, მათ შორის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ზრდაზე და ფინანსურ ვალდებულებებზე. ახალი სტანდარტი ასევე ნერგავს ინფორმაციის გამჟღავნების გაზრდილ მოთხოვნებსა და ინფორმაციის მიწოდებაში ცვლილებების შეტანას. ეს სავარაუდოდ შეცვლის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ჯგუფის საჯარო ინფორმაციის ბუნებასა და მოცულობას, განსაკუთრებით, ახალი სტანდარტის მიღების წელს.

ფასს 15, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტარქტებიდან (გამოქვეყნდა 2014 წლის 28 მაისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი უნდა აღიაროს საქონლისა თუ მომსახურების კლიენტისთვის გარიგების ფასად გადაცემის დროს. ნებისმიერი კომპლექსური (შეფუთული) პროდუქტი ან მომსახურეობა, რომელიც განსხვავებულია, ექვემდებარება ცალკ-ცალკე აღიარებას და ნებისმიერი ფასდაკლება ან დათმობა საკონტრაქტო ღირებულებაზე უნდა გამოიყოს ცალკე ელემენტებად. როდესაც ნებისმიერი მიზეზით ანაზღაურება იცვლება, საჭიროა მინიმალური თანხების აღიარება, თუ ეს თანხები ანულირების მნიშვნელოვან

რისკს არ ატარებს. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტიდან სარგებელი გამოიყენებოდა. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისში მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხდება ხანგრძლივი პერიოდით, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას, ბასს 17-ის შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით, საშემოსავლო დეკლარაციაში. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ ლიზინგს და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს. ამ ეტაპზე, ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 17, სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-მა ჩაანაცვლა ფასს 4, რომელიც ნებას რთავს კომპანიებს სადაზღვევო ხელშეკრულებები აღრიცხონ არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის შედარებით რთული იყო სხვა მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შედარებისა და განსხვავების უზრუნველყოფა. ფასს 17 არის ერთიანი პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი, რომლის მიხედვით აღირიცხება ყველა სადაზღვევო ხელშეკრულება, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებები. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებათა ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც აერთიანებს ყველა შესაძლო ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ ისე, რომ შეესაბამებოდეს დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციას; პლუს (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) იმ თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებათა ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი) გამოუმუშავებელ მოგებას. სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ სადაზღვევო დაფარვის პერიოდში და მას შემდეგ, რაც რისკისგან გაათავისუფლდებიან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ზარალის მომტანი არის ან

გახდება, სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი ახალი განცხადებების მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე:

- ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ამოქმედდება საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭო (IASB) მიერ განსაზღვრული ვადის დაწყებიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 15-ში, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 აპრილს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 2-ში, აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში, სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა - ცვლილებები ბასს 40-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები

ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები შემდეგ მუხლებს მოიცავს:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკმებერი 2016
ნაღდი ფული სალაროში	49,798	70,626
სებ-ში არსებული ნაშთები სავალდებულო რეზერვების გარდა	11,579	10,749
სებ-ის დეპოზიტების სერტიფიკატი	22,785	38,435
ნოსტრო ანგარიშები სებ-ში გახსნილი ანგარიშების გარდა	55,980	136,120
სულ ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**140,141**	**255,930**

ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. 2017 წელს, Fitch Ratings-მა დაადასტურა საქართველოს მთავრობის მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი “B” და გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი “BB-” დადებითი პროგნოზით (2016 წელს - მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “BB-”).

ქვემოთ ჩამოთვლილი ფულადი სახსრების ეკვივალენტები მიიჩნევა ნაღდ ფულად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკმებერი 2016
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები	140,141	255,930
სხვა ბანკებისგან მისაღები თანხები სამ თვემდე დაფარვის ვადით (შენიშვნა 7)	16,171	38,033
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	**156,312**	**293,963**

საქართველოს ბანკში არსებული ზემოაღნიშნული ნაშთი გამორიცხავს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არის სებ-ის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად გაანგარიშებული უპროცენტო დეპოზიტი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების მიახლოებული (სავარაუდო) რეალური ღირებულება მოცემულია 27-ე შენიშვნაში, ხოლო ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი - 26-ე შენიშვნაში.

7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკმებერი 2016
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ OECD* ქვეყნებში	446	607
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ არა OECD ქვეყნებში	15,724	37,426
სულ მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	**16,171**	**38,033**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგები Fitch Ratings–ის შეფასების მიხედვით:

'000 ლარი არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	AA	A	BBB	<BBB	ურეიტინგო	სულ
31 დეკემბერი 2017	446	-	-	15,724	-	**16,171**
31 დეკემბერი 2016	607	-	-	37,426	-	**38,033**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა ერთი დაკავშირებული მხარე ბანკი, რომლის ნაშთი 34,492 ათას ლარს შეადგენს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის არცერთი კონტრაგენტი ბანკის ნაშთი აღემატება საკუთარი კაპიტალის 10%-ს.
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხების თითოეული კლასის მიახლოებითი (სავარაუდო) რეალური ღირებულება მოცემულია 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი განხილულია 26-ე შენიშვნაში. დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

* ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

8. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არის განსაზღვრული როგორც მოგების ან ზარალის საფუძველზე რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, მიეკუთვნება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების კატეგორიას.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	4,943	16,809
ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში		
აქციები OECD ქვეყნებში მდებარე კომპანიებში	35	35
აქციები არა-OECD ქვეყნებში მდებარე კომპანიებში	199	199
სულ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში	**234**	**234**
სულ გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**5,177**	**17,043**

კომპანიებში არსებული წილი მოიცავს:

'000 ლარი	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2017	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2016
ს/ს კრედიტინფო, საქართველო	16.63%	95	16.63%	95
ს/ს საქართველოს გაერთიანებული კლირინგ ცენტრი	6.25%	54	6.25%	54
ს/ს ამერიკული აკადემია თბილისში	4.85%	50	4.85%	50
S.W.I.F.T.SCRL	0.01%	35	0.01%	35
სულ		**234**		**234**

სააქციო კაპიტალში ინვესტიციები ხორციელდება 234 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 234 ათასი). დაფინანსებულ კომპანიებს არ გამოუქვეყნებიათ უახლესი ფინანსური ინფორმაცია თავისი ოპერაციების შესახებ, მათი წილი არ არის კოტირებული და უახლესი სავაჭრო ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მენეჯმენტს არ შეუძლია სარწმუნოდ შეაფასოს წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება.

ცვლილებები გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში:

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	**16,809**	**234**	**17,043**
შესყიდვები დისკონტების გამოკლებით	29,799	-	30,000
დარიცხული პროცენტი	466	-	579
გადახდილი პროცენტი	(466)	-	(579)
გაყიდვები დისკონტების გამოკლებით	(41,665)	-	(41,866)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**4,943**	**234**	**5,177**

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
ბალანსი 2016 წლის 1 იანვრისთვის	**19,753**	**234**	**19,987**
შესყიდვები დისკონტების გამოკლებით	32,178	-	32,178
დარიცხული პროცენტი	741	-	741
გადახდილი პროცენტი	(868)	-	(868)
გაყიდვები დისკონტების გამოკლებით	(34,995)	-	(34,995)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**16,809**	**234**	**17,043**

გასაყიდად არსებული არც ერთი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

გამოქვეყნებული რეალური ღირებულებები აქტიურ ბაზარზე მოქმედი დაკვირვებადი საბაზრო ფასებია ან შეფასების ტექნიკით გაანგარიშებული ღირებულებაა, დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით. გამოიყენება შემდეგ დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდი. შეფასებისას გამოყენებული განმსაზღვრელი ფაქტორებია სახელმწიფო ობლიგაციებიდან შემოსავლიანობის მრუდის ცვლადები. გასაყიდად არსებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება მე-2 დონის რეალური ღირებულების იერარქიას ექვემდებარება.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების მოცულობა და დაუფარავი თანხა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი (დაუფარავი სესხების რაოდენობის და სესხის მოცულობის გამოკლებით) 2017 წლის 31 დეკემბერი	მთლიანი თანხა	გაუარესების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელის წილი
საბითუმო და სავაჭრო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	45,113	(1,304)	43,809	4.44%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	156,196	(3,283)	152,914	15.49%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	168,078	(2,059)	166,019	16.81%
საბითუმო და სავაჭრო სესხები სულ	**369,387**	**(6,646)**	**362,741**	**36.74%**

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	3,562	(167)	3,395	0.35%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	16,380	(656)	15,724	1.59%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	30,910	(379)	30,532	3.09%
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**50,853**	**(1,202)**	**49,651**	**5.03%**
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	14,462	(518)	13,944	1.41%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	55,695	(1,260)	54,435	5.51%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	59,727	(800)	58,927	5.97%
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**129,884**	**(2,578)**	**127,306**	**12.89%**
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	4,724	(139)	4,584	0.47%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	13,679	(241)	13,439	1.36%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	902	(10)	892	0.09%
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები სულ	**19,306**	**(390)**	**18,915**	**1.92%**
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	41,013	(707)	40,307	4.08%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	144,456	(3,342)	141,114	14.29%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	178,539	(2,122)	176,417	17.87%
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები სულ	**364,009**	**(6,171)**	**357,838**	**36.24%**
ბიზნეს სესხები სულ	**933,438**	**(16,987)**	**916,452**	**92.82%**
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	31,116	(573)	30,543	3.09%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	34,084	(606)	33,478	3.39%
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები სულ	**65,200**	**(1,179)**	**64,021**	**6.48%**
საინვესტიციო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	5,179	(153)	5,026	0.51%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	954	(11)	943	0.10%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	490	(5)	485	0.05%
სულ საინვესტიციო სესხები	**6,623**	**(169)**	**6,454**	**0.65%**
სხვა სესხები	**461**	**(49)**	**412**	**0.04%**
კერძო სესხები სულ	**72,283**	**(1,397)**	**70,886**	**7.18%**
სულ	**1,005,722**	**(18,384)**	**987,337**	**100.00%**

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების სახელშეკრულებო და დაუფარავი თანხა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

'000 ლარი (დაუფარავი სესხების რაოდენობის და სესხის მოცულობის გამოკლებით) 2017 წლის 31 დეკემბერი	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელის წილი
საბითუმო და სავაჭრო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	51,672	(2,517)	49,155	5.74%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	159,707	(3,815)	155,892	18.21%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	133,454	(1,884)	131,570	15.37%
საბითუმო და სავაჭრო სესხები სულ	**344,833**	**(8,216)**	**336,617**	**39.31%**
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	4,972	(362)	4,610	0.54%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	15,733	(826)	14,907	1.74%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	31,884	(689)	31,196	3.64%
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**52,589**	**(1,877)**	**50,712**	**5.92%**
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	16,2446	(505)	15,741	1.83%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	52,154	(798)	51,356	6.00%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	37,712	(484)	37,228	4.35%
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**106,113**	**(1,788)**	**104,325**	**12.18%**
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	5,663	(462)	5,200	0.61%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	12,833	(197)	12,637	1.48%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	1,678	(33)	1,645	0.19%
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები სულ	**20,174**	**(692)**	**19,482**	**2.28%**
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	47,473	(1,060)	46,413	5.42%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	125,851	(2,807)	123,044	14.37%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	127,472	(1,722)	125,751	14,69%
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები სულ	**300,796**	**(5,588)**	**295,208**	**34.48%**
ბიზნეს სესხები სულ	**824,504**	**(18,160)**	**806,344**	**94.17%**
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	24,376	(437)	23,939	2.80%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	13,544	(352)	13,192	1.54%

სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	704	(8)	697	0.08%
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები სულ	**38,625**	**(796)**	**37,828**	**4.42%**
საინვესტიციო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	8,965	(250)	8,715	1.02%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	1,794	(19)	1,774	0.21%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	878	(9)	868	0.10%
სულ საინვესტიციო სესხები	**11,637**	**(279)**	**11,358**	**1.33%**
სხვა სესხები	**721**	**(26)**	**695**	**0.08%**
კერძო სესხები სულ	**50,982**	**(1,101)**	**49,881**	**5.83%**
სულ	**875,486**	**(19,261)**	**856,225**	**100.00%**

ზემოთ მოცემული სესხების მოცულობის კატეგორიები ასახავს ერთ მსესხებელზე თავდაპირველად გაცემულ თანხებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს მსესხებლები ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფები, რომელთა სასესხო ნაშთი საკუთარი კაპიტალის 10%-ს აღემატება.

კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი

შესაძლო დანაკარგების რეზერვი ფარავს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებთან დაკავშირებულ რისკს. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის განსაკუთრებული რეზერვის გარდა, იმ დებიტორულ დავალიანებაზე, რომელზეც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, შეიქმნა რეზერვები იმ სასესხო პორტფელთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის დასაფარად, რომელიც გაწეულია, მაგრამ იდენტიფიცირებული არ არის. სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგნაირადა არის განაწილებული:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი გაუფასურებული სესხების რეზერვი	5,794	6,983
ინდივიდუალურად უმნიშვნელო გაუფასურებული სესხების რეზერვი	1,247	2,287
გაუფასურების ნიშნების არმქონე სესხების რეზერვი	11,343	9,991
სულ	**18,384**	**19,261**

შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შესაძლო გაუფასურების რეზერვის განაწილება სესხების კლასების მიხედვით:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიცია	სხვა	სულ
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2016 წლის 1 იანვარი	**11,298**	**2,301**	**2,573**	**1,674**	**7,906**	**1,094**	**949**	**38**	**27,834**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

წლის განმავლობაში ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო	**9,533**	**3,109**	**1,445**	**1,463**	**4,804**	**720**	**774**	**79**	**21,927**
გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის შემცირება	**(1,094)**	**(306)**	**(397)**	**(132)**	**(630)**	**(70)**	**(38)**	**-**	**(2,666)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(11,521)	**(3,228)**	**(1,833)**	**(2,313)**	**(6,492)**	**(949)**	(1,406)	**(92)**	**(27,834)**
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2016 წლის 31 დეკემბერი	**8,216**	**1,877**	**1,788**	**692**	**5,588**	**796**	**279**	**26**	**19,261**
წლის განმავლობაში ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო	**3,911**	**1,309**	**2,178**	**95**	**2,394**	**647**	**71**	**97**	**10,701**
გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის შემცირება	**(536)**	**(155)**	**(152)**	**(43)**	**(278)**	**(52)**	**(5)**	**-**	**(1,221)**
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(4,945)	(1,828)	(1,235)	(353)	(1,534)	(212)	(175)	(73)	(10,356)
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბერი	**6,646**	**1,202**	**2,578**	**390**	**6,171**	**1,179**	**169**	**49**	**18,384**

ზემოთ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო განსხვავდება მოგება-ზარალის უწყისში მითითებული თანხისგან 5,790 ლარის ოდენობით (2016 წელს: 8,265), რაც განპირობებულია ადრე ჩამოწერილი აქტივების ამოღებით.

სესხების თითოეული ჯგუფის დეტალური ანალიზი 26-ე შენიშვნაში არის მოცემული.

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიციები	სხვა	სულ
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები									
< 50,000 აშშ დოლარი	42,572	3,124	13,143	4,165	39,595	30,480	4,586	366	138,031
50,000 აშშ დოლარიდან 250,000 აშშ დოლარამდე	148,815	15,440	51,636	13,072	136,139	33,138	954	-	399,193
250,000 აშშ დოლარზე ზემოთ	167,025	30,910	58,711	902	176,990	-	490	-	435,029
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები სულ	**358,412**	**49,474**	**123,490**	**18,139**	**352,724**	**63,618**	**6,030**	**366**	**972,253**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არ-გაუფასურებული სესხები	3,657	510	1,977	481	6,667	283	464	32	14,071

კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები									
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	73	64	-	52	31	42	19	14	296
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	205	-	94	25	7	106	31	48	515
- 181 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	196	59	181	-	-	97	15	2	549
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები სულ	**474**	**123**	**275**	**77**	**39**	**245**	**65**	**63**	**1,360**
ინდივიდუალურად გაუფასურებლად მიჩნეული სესხები									
- 31 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	1,044	-	133	-	93	83	-	-	1,353
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,243	-	997	-	848	-	-	-	4,088
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	1,186	448	104	269	935	-	-	-	2,942
- 181 დღიდან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	1,955	119	2,908	175	1,843	801	63	-	7,864
- 365 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	417	179	-	165	861	169	-	-	1,791
ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	**6,845**	**747**	**4,142**	**609**	**4,578**	**1,054**	**63**		**18,038**
გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გამოკლებით	**(6,646)**	**(1,202)**	**(2,578)**	**(390)**	**(6,171)**	**(1,179)**	**(169)**	**(49)**	**(18,384)**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	**362,741**	**49,651**	**127,306**	**18,915**	**357,838**	**64,021**	**6,454**	**412**	**987,337**

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიციები	სხვა	სულ
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები									
< 50,000 აშშ დოლარი	46,819	3,988	14,987	4,642	44,695	23,973	8,603	661	148,370

50,000 აშშ დოლარიდან 250,000 აშშ დოლარამდე	152,231	13,541	49,616	12,481	120,650	12,676	1,737	-	362,933
250,000 აშშ დოლარზე ზემოთ	131,643	30,135	37,069	1,678	126,466	704	878	-	328,574
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები სულ	**330,693**	**47,665**	**101,672**	**18,801**	**291,812**	**37,354**	**11,218**	**661**	**839,876**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არ-გაუფასურებული სესხები	**3,445**	**1,668**	**1,725**	**165**	**5,675**	**287**	**232**	**18**	**13,214**
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	253	125	81	**59**	114	17	50	20	720
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,069	1,107	-	388	81	5	-	-	3,651
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	348	11	15	74	219	17	86	20	790
- 181 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	604	46	53	218	145	87	51	-	1,205
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები სულ	**1,205**	**183**	**148**	**351**	**479**	**121**	**188**	**40**	**2,715**
ინდივიდუალურად გაუფასურებლად მიჩნეული სესხები									
- 31 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	316	-	1,112	-	764	601	-	-	2,793
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,069	1,107	-	**388**	81	**5**	-	-	3,651
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	4,274	1,608	292	354	1,022	199	-	-	7,749
- 181 დღიდან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	1,893	358	1,046	115	176	57	-	-	3,644
- 365 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	937	-	118	165	**788**	169	-	1	**1,845**
ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	**9,489**	**3,073**	**2,568**	**857**	**2,831**	**862**	**-**	**1**	**19,681**
გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გამოკლებით	**(8,216)**	**(1,877)**	**(1,788)**	**(692)**	**(5,588)**	**(796)**	**(279)**	**(26)**	**(19,261)**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	**336,617**	**50,712**	**104,325**	**19,482**	**295,208**	**37,828**	**11,358**	**695**	**856,225**

30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხები კლასიფიცირდება როგორც გაუფასურებული სესხები. 30 დღეზე ნაკლები ან 30 დღით ვადაგადაცილებული სესხები არ-გაუფასურებულ სესხებად ითვლება.

ზემოთ მოყვანილი მოცულობის კატეგორიები ეხება დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებზე თავდაპირველად გაცემულ თანხებს.

სესხის საკრედიტო ხარისხი ყველაზე მეტად კლიენტის საერთო კრედიტუნარიანობის მიხედვით განისაზღვრება. ჯგუფი მსესხებლებისგან უზრუნველყოფას ითხოვს, ვინაიდან ის სესხის დამატებით გარანტიას წარმოადგენს.

რაც შეეხება კლიენტებზე გაცემულ სესხებს, რომლებიც არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება შეფასებული იყო სესხის საწყისი თარიღის მდგომარეობით, საანგარიშო თარიღის მომდევნო ცვლილებების მიხედვით კორექტირების გარეშე. ამ სესხების ამოღების შესაძლებლობა უფრო მეტად დამოკიდებულია მსესხებლების კრედიტუნარიანობაზე, ვიდრე უზრუნველყოფის ღირებულებაზე. შესაბამისად, ჯგუფი არ ახორციელებს უზრუნველყოფის ხელახალ შეფასებას საანგარიშო თარიღის მდგომარეობით. მრავალი სახის გირაოთი უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ანგარიშში აისახება მხოლოდ იმ უზრუნველყოფის მონაცემები, რომელიც ყველაზე რელევანტურია გაუფასურების შეფასებისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შესახებ უზრუნველყოფის სახეების მიხედვით 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	უძრავი ქონება	ნაღდი ფულით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფა არ არსებობს	სულ
საბითუმო და სავაჭრო სესხები	335,133	5,199	5,035	17,437	362,804
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები	42,778	1,906	4,260	707	49,651
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები	109,628	-	9,579	8,099	127,306
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები	17,475	-	818	623	18,915
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები	336,811	5	3,208	17,752	357,775
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები	61,568	-	5	2,447	64,021
საინვესტიციო სესხები	6,081	-	13	359	6,454
სხვა	412	-	-	-	412
სულ	**909,886**	**7,109**	**22,918**	**47,424**	**987,337**

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	უძრავი ქონება	ნაღდი ფულით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფა არ არსებობს	სულ

საბითუმო და სავაჭრო სესხები	332,008	3,273	768	568	336,617
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები	48,624	1,731	-	357	50,712
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები	94,214	3	3,129	6,979	104,325
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები	18,590	-	166	727	19,482
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები	279,640	490	7,065	8,012	295,208
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები	34,309	272	-	3,248	37,828
საინვესტიციო სესხები	7,521	-	-	3,837	11,358
სხვა	482	103	-	110	695
სულ	**815,387**	**5,872**	**11,128**	**23,838**	**856,225**

ზემოთ მოცემულ ცხრილში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ზედმეტი უზრუნველყოფის შესახებ.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების თითოეული კლასის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკების მართვისა და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების საპროცენტო განაკვეთის ანალიზის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

10. საინვესტიციო ქონება

კონსოლიდირებული

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**1,697**	**673**
გადარიცხვები	6,374	
დამატებები	120	1,065
გასხვისება	(188)	(29)
ცვეთა წლის განმავლობაში	(129)	(14)
ცვეთის მართვა	3	2
გადარიცხვები(დამატებები)ცვეთა	(775)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,102**	**1,697**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	8,044	1,739
დარიცხული ცვეთა	(942)	(42)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,102**	**1,697**

2017 წელს საოპერაციო ლიზინგიდან საიჯარო შემოსავალი იყო 357 ათასი ლარი (2016 წელს: 65 ათასი ლარი).

ცალკე

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
გადარიცხვები	6,374	-
დამატებები	8	-
გასხვისება	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(95)	-
ცვეთის მართვა	-	-
გადარიცხვები(დამატებები)ცვეთა	(775)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,513**	**-**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	6,382	-
დარიცხული ცვეთა	(870)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,513**	**-**

მენეჯმენტის შეფასებით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას შეესაბამება. აღნიშნულ შეფასებას რეალური ღირებულების იერარქიაში ენიჭება მესამე დონე, რადგან რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები. რეალური ღირებულება დადგინდა ბოლო ტრანზაქციებზე საბაზრო ფასების ან ანალოგიური ქონების გასაყიდი ფასების გათვალისწინებით. გაყიდვების შედარების მეთოდისთვის გამოყენებული დაკვირვებას დაუქვემდებარებელი ძირითადი მონაცემია ანალოგიური ქონების ერთი კვადრატული მეტრის ფასი. ფასები კორექტირებულია განსახილველ აქტივებსა და ანალოგებს შორის სხვაობის საფუძველზე.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	1,676	**2,287**
დამატებები	152	84
გასხვისება	(2)	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(435)	(695)
ცვეთის მართვა	2	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,393	**1,676**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,555	9,405
დარიცხული ცვეთა 31 დეკემბრის მდგომარეობით	(8,162)	(7,729)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,393	**1,676**

12. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებთან დაკავშირებული ცვლილებები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	მიწა და შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მშენებარე აქტივები	ავეჯი და ინვენტარი	საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა აღჭურვილობა	სულ
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	61,884	3,054	593	14,548	24,619	104,698
დარიცხული ცვეთა	(5,409)	(1,389)	-	(6,360)	(15,558)	(28,716)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**56,475**	**1,665**	**593**	**8,188**	**9,061**	**75,982**
გადარიცხვები	607	735	(1,342)	-	-	-
დამატებები	66	63	1,133	2,241	2,402	5,905
გასხვისება - თვითღირებულებით	-	(606)	-	(1,058)	(1,077)	(2,741)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,255)	(477)	-	(1,595)	(2,636)	(5,963)
გასხვისება - დარიცხული ცვეთა	-	425	-	857	1,057	2,339
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**55,893**	**1,805**	**384**	**8,633**	**8,807**	**75,522**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	62,557	3,246	384	15,731	25,944	107,862
დარიცხული ცვეთა	(6,664)	(1,441)	-	(7,098)	(17,137)	(32,340)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**55,893**	**1,805**	**384**	**8,633**	**8,807**	**75,522**
გადარიცხვები	(6,374)	-	-	-	-	(6,374)
დამატებები	44	-	187	532	534	1,297
გასხვისება - თვითღირებულებით	(1,725)	(1,830)	-	(726)	(2,667)	(6,947)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,168)	(412)	-	(1,781)	(2,202)	(5,563)
გასხვისება - დარიცხული ცვეთა	353	891		634	2,564	4,442
გადარიცხვა(დამატებები)ცვეთა	775	-	-	-	-	775
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47,797**	**455**	**571**	**7,292**	**7,037**	**63,152**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	54,502	1,415	571	15,536	23,813	95,836
დარიცხული ცვეთა	(6,705)	(960)	-	(8,244)	(16,776)	(32,684)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47,797**	**455**	**571**	**7,292**	**7,037**	**63,152**

13. სხვა აქტივები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივებია:

კონსოლიდირებული

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
საკრედიტო ბარათებისა და ონლაინ გადახდის სისტემის მქონე კომპანიებიდან და ფულის გადარიცხვის სააგენტოებიდან მისაღები დებიტორული დავალიანება	1,968	5,255
სხვა	71	414
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**2,039**	**5,669**
არამიმდინარე		
მფლობელობაში დაბრუნებული ქონება	3,863	4,363
სასამართლო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების დასაფარავად წინასწარ გადახდილი თანხები, რეზერვის გამოკლებით	929	1,068
წინასწარი გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის	189	52
მიმდინარე		
წინასწარი გადახდები სხვადასხვა მომსახურებაზე	1,153	2,482
გასაყიდად არსებულ კატეგორიაში გასული აქტივები	1,350	2,582

სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა	708	797
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**8,192**	**11,344**
სულ	**10,232**	**17,013**

ცალკე

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017წ.	31 დეკემბერი 2016წ.
საკრედიტო ბარათებისა და ონლაინ გადახდის სისტემის მქონე კომპანიებიდან და ფულის გადარიცხვის სააგენტოებიდან	1,968	5,255
მისაღები დებიტორული დავალიანება		
სხვა	71	414
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**2,039**	**5,669**
არამიმდინარე		
მფლობელობაში დაბრუნებული ქონება	313	398
სასამართლო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების დასაფარავად წინასწარ გადახდილი თანხები, რეზერვის გამოკლებით	929	1,068
წინასწარი გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის	189	52
მიმდინარე		
წინასწარი გადახდები სხვადასხვა მომსახურებაზე	792	2,315
გასაყიდად არსებულ კატეგორიაში გასული აქტივები	1,350	2,582
სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა	689	776
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**4,263**	**7,191**
სულ	**6,303**	**12,861**

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ თავდაპირველი აღიარების თარიღით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად არსებული აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან, აღნიშნულ პერიოდში გაწეული სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულების შეფასება კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონე, რადგან რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები. რეალური ღირებულება დადგენილია ბოლო ტრანზაქციებზე საბაზრო ფასების და ანალოგიური ქონების გასაყიდი ფასების გათვალისწინებით.

არც ერთი სხვა ფინანსური აქტივი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების სავარაუდო სამართლიანი ღირებულების შესახებ იხილეთ 27-ე შენიშვნა, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

14. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ მოიცავს ბანკთაშორისო ბაზარზე აღებულ მოკლევადიან სესხებს და სხვა ბანკების მიერ პროკრედიტ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე შენახულ თანხებს.

2017 წელს, პროკრედიტ ბანკი გერმანიამ პროკრედიტ ჯგუფს გამოუყო სახსრები მოკლევადიანი საჭიროებებისთვის.

'000 ლარი	31 დეკმებერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში საქმიანობენ	41,285	0
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში არ საქმიანობენ	7,355	2,857
სულ	**48,639**	**2,857**

სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

15. კლიენტების ანგარიშები

კლიენტების ანგარიშები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს, შემნახველ ანაბრებსა და ვადიან ანაბრებს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტების ჯგუფები კატეგორიების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
მიმდინარე ანგარიშები	**205,840**	**200,491**
- ფიზიკური პირები	55,638	55,306
- იურიდიული პირები	150,202	145,185
შემნახველი ანგარიშები	**220,504**	**246,026**
- ფიზიკური პირები	139,764	178,352
- იურიდიული პირები	80,740	67,674
ვადიანი ანაბრები	**198,715**	**283,964**
- ფიზიკური პირები	159,001	231,035
- იურიდიული პირები	39,714	52,929
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	**4,000**	**2,094**
სხვა	**629,059**	**732,575**

კატეგორია "იურიდიული პირები" მოიცავს ვალდებულებებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების მიმართ.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია კლიენტთა ანგარიშების კატეგორიები ეკონომიკური სექტორების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ფიზიკური პირები	354,404	464,693
ვაჭრობა და მომსახურება	170,712	168,360

მშენებლობა	19,177	18,600
მთავრობა	4,760	4,760
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	3,160	2,734
სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	7,079	3,403
სამთო მრეწველობა და წიაღისეულების მოპოვება	1,727	1,734
სხვა	68,039	68,291
სულ	**629,059**	**732,575**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა 78 კლიენტი (2016 წელს: 65 კლიენტი), რომელთა ნაშთი 1 000 ათას ლარს აღემატებოდა. აღნიშნული კლიენტების ერთობლივი ნაშთი შეადგენდა 171,171 ათას ლარს (2016 წელს: 174,446 ათას ლარს) ან კლიენტთა საერთო საბანკო ანგარიშების 27%-ს (2016 წელს: 24%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა ანგარიშებში შედის საბალანსო სესხების უზრუნველყოფის სახით არსებული ანაბრები 7,109 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 5,872 ათასი ლარი), აგრეთვე გარანტიებისა და აკრედიტივების ფარგლებში გამოუხმობადი ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით არსებული დეპოზიტები 45,240 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,154 ათასი ლარი). იხილეთ 28-ე შენიშვნა.

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კატეგორიის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში.

16. სხვა ნასესხები სახსრები

ვალდებულებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ჯგუფისთვის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული საშუალო და გრძელვადიანი სესხები.

'000 ლარი

ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	**დაფარვის თარიღი**	**31 დეკემბერი , 2017**	**31 დეკემბერი, 2016**
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	ივნისი, 2021	12,921	13,280
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	მაისი, 2021	12,958	13,319
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დეკემბერი, 2026	2,522	2,535
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	ოქტომბერი, 2024	15,281	-
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	აპრილი, 2022	6,196	7,783
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	ივლისი, 2022	26,239	32,261
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	თებერვალი, 2024	6,039	7,288
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	აპრილი, 2024	25,037	29,692
Oesterreichische Entwicklungsbank AG (OeEB)	მარტი, 2018	7,820	24,090

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	აგვისტო, 2022	13,921	17,170
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	მარტი, 2023	28,700	29,498
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	თებერვალი, 2018	40,193	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აგვისტო, 2027	13,065	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აგვისტო, 2027	13,065	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აპრილი, 2018	7,787	8,004
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	მაისი, 2021	25,917	27,134
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	ივნისი, 2021	18,072	18,572
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	ივლისი, 2021	26,475	26,961
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანკფურტი ამ მაინი	ივნისი 2021	20,654	26,532
ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სულ		**322,863**	**284,119**
ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით			
საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია (OPIC)	ოქტომბერი, 2017	-	12,259
GREEN FOR GROWTH FUND, SOUTHEAST EUROPE S.A., SICAV-SIF(GGF)	იანვარი, 2019	30,940	-
ევროპის ფონდი სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპისთვის S.A., SICAV-SIF (EFSE)	სექტემბერი, 2017	-	15,771
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KgaA	აპრილი, 2016	-	-
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანქფურტი ამ მაინი	აპრილი, 2019	20,807	21,387
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	აგვისტო, 2021	11,485	14,212
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KgaA	აპრილი, 2017	-	2,674
responsAbility SICAV (Lux) Microfinanz-Fonds	დეკემბერი, 2018	11,633	11,951
Credit Suisse Microfinance Fund Management Group (CSMFMC) (responsAbility Global Microfinance Fund)	დეკემბერი, 2018	6,463	6,640
responsAbility SICAV (Lux) Financial Inclusion Fund	დეკემბერი, 2018	3,878	3,984
responsAbility SICAV (Lux) Microfinance Leaders	დეკემბერი, 2018	3,878	3,984
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანქფურტი ამ მაინი	თებერვალი, 2017	-	10,631
ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		**89,083**	**103,493**
სულ ვალდებულებები		**411,946**	**387,612**

16. სხვა ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

სხვა ნასესხები სახსრების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

17. სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
კრედიტორული დავალიანება	2,081	3,305
სხვა	192	218
ფინანსური ვალდებულებები სულ	**2,273**	**3,523**

მიღებული წინასწარი გადახდები და გაცემული გარანტიებისგან შემოსული გადავადებული საკომისიოები	2,037	194
სხვა ვალდებულებები სულ	**4,309**	**3,717**

სხვა ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში.

18. სხვა დებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
გამოუყენებელი წლიური შვებულების რეზერვი	319	347
სხვა	259	130
რეზერვები სულ	**578**	**477**

რეზერვები წლის განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება:

'000 ლარი	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	**477**	**438**
რეზერვი წლის განმავლობაში	448	428
რეზერვის გამოთავისუფლება/გამოყენება	(347)	(389)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**578**	**477**

მომდევნო ერთ ან ორ წელიწადში მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება, რაც დაკავშირებულია გამოუყენებელ ყოველწლიურ შვებულებებსა და არასაბალანსო მუხლებზე რეზერვების შექმნასთან.

19. მოგების გადასახადი

ქართული კომპანიებისთვის მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთია 15%. მოცემული წლისთვის მოგება-ზარალში აღრიცხული მოგების გადასახადების ხარჯი მოიცავს:

'000 ლარი	2017	2016
მიმდინარე დარიცხული გადასახადი	3,108	4,442
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(2,967)	(665)
მოგების გადასახადის ხარჯი წლისთვის	**141**	**3,777**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნის მიხედვით, საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის მაისში განხორციელებული რეფორმის შედეგად, გადავადებული გადასახადების ნაშთების აღიარება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს რეალიზება 2018 წლის 1 ივნისამდე. მენეჯმენტმა არ შეიტანა კანონმდებლობაში ცვლილების შესაბამისი შედეგი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. გადავადებული გადასახადის თანხების შესწორება დაფიქსირდა 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში და გადავადებული გადასახადების ნაშთი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად

განისაზღვრა. შესწორება ძირითადად ეხება გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარების გაუქმებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღიარების გაუქმებასთან დაკავშირებული ეს შეფერხება არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსური ანგარიშგების თავის მომხმარებლებისთვის წარდგენაზე. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება არ შესწორდა ამ თვალსაზრისით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარების გაუქმება 2016 წელს, 2017 წლის ნაცვლად, გამოიწვევდა 2016 წელს სუფთა მოგების ზრდას 2,368 ლარის ოდენობით და 2017 წელს სუფთა მოგების შემცირებას იგივე მოცულობით.

ქვემოთ შესაბამისობაშია მოყვანილი მოსალოდნელი და ფაქტობრივი გადასახადების ხარჯები:

'000 ლარი	2017	2016
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე	**22,802**	**28,048**
გადასახადის თეორიული დარიცხვა კანონით დადგენილი 15%-იანი განაკვეთით	3,420	4,207
იმ პუნქტების საგადასახადო შედეგი, რომელიც დაქვითვას არ ექვემდებარება		
– საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილების შედეგები	(2,891)	-
– სუფთა დაუბეგრავი მოგება	(388)	(430)
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	**141**	**3,777**

ქვემოთ დეტალურადაა მოცემული ამ დროებითი განსხვავებების საგადასახადო შედეგი, რაც 15%-ს შეადგენს (2016 წელს: 15%)

'000 ლარი **გადავადებული გადასახადი:**	**31 დეკემბერი, 2017**	**აისახება მოგება–ზარალში**	**31 დეკემბერი, 2016**	**აისახება მოგება–ზარალში**	**1 იანვარი, 2016**
კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	631	(1,812)	2,443	(752)	3,195
სხვა დროებითი განსხვავება	306	(1,154)	1,460	87	1,373
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება სულ	**937**	**(2,967)**	**3,903**	**(665)**	**4,568**

არ აღინიშნება რაიმე მნიშვნელოვანი არაღიარებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადასახადები.

20. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დავყოთ:

'000 ლარი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
სუბორდინირებული ვალი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით			
საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია ("OPIC")	დეკემბერი, 2019	38,701	39,767
სუბორდინირებული სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით			
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	აპრილი, 2025	19,700	20,239
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	აპრილი, 2025	6,566	6,746
ჯამი: პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA		**26,266**	**26,985**
სულ		**64,967**	**66,752**

ამ ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული კრედიტორების მოთხოვნები სხვა კრედიტორების მოთხოვნებზეა დამოკიდებული. ვადამდელი გადახდის ვალდებულება არ არსებობს. ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ამ კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანება მხოლოდ მას შემდეგ დაიფარება, რაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნები.

სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

21. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირი იყო:

'000 ლარი (აქციების რაოდენობის გარდა)	31 დეკემბერი, 2017			31 დეკემბერი, 2016		
აქციონერი	**წილობრივი მონაწილეობა %–ში**	**აქციათა რაოდენობა**	**სააქციო კაპიტალის ოდენობა**	**წილობრივი მონაწილეობა %–ში**	**აქციათა რაოდენობა**	**სააქციო კაპიტალის ოდენობა**
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	100%	17,782,963	88,915	100%	17,782,963	88,915
სულ	**100%**	**17,782,963**	**88,915**	**100%**	**17,782,963**	**88,915**

აქციის ნომინალური ღირებულება 5.00 ლარს შეადგენს.

'000 ლარი (აქციების რაოდენობის გარდა)	გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი თანხა	საემისიო კაპიტალი თანხა
31 დეკემბერი, 2015	**17,782,963**	**88,915**	**36,388**
31 დეკემბერი, 2016	**17,782,963**	**88,915**	**36,388**
31 დეკემბერი, 2017	**17,782,963**	**88,915**	**36,388**

დივიდენდი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს აქვთ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდების მიღების და ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება ბანკის ყოველწლიურ და საერთო კრებაზე. გადასახდელი დივიდენდების მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია ბანკის გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება.

2017 წელს გამოცხადებულმა დივიდენდებმა შეადგინა 20,691 ათასი ლარი (1.16 ლარი ერთ აქციაზე) (2016 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა).

22. წმინდა ვალების შეთანხმება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჩვენი ვალის ანალიზი და ჩვენი ვალის დინამიკა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდზე. ვალის პუნქტები არის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში შეტანილი დაფინანსების პუნქტები.

	დაფინანსებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		
'000 ლარი	სხვა ნასესხები თანხები	სუბორდინირებული ვალი	სულ
წმინდა ვალი 2016 წლის 1 იანვარს	306,544	60,434	366,978
ფულადი ნაკადები	19,220	(3,271)	15,949
სავალუტო კორექტირება	46,599	6,298	52,897
სხვა არაფულადი ცვლილებები	15,249	3,291	18,540
წმინდა ვალი 2016 წლის 31 დეკემბერს	387,612	66,751	454,364
ფულადი ნაკადები	(20,739)	(3,582)	(24,321)
სავალუტო კორექტირება	30,301	(1,790)	28,511
სხვა არაფულადი ცვლილებები	17,772	3,588	18,360
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს	411,946	64,967	476,914

23. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

"წმინდა საპროცენტო შემოსავალში" შედის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები, მათ შორის ფინანსურ ინსტრუმენტებზე პრემიებისა და დისკონტების ღირებულების შემცირება ამორტიზირებული ღირებულებით.

'000 ლარი

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	79,111	99,568
ფულადი თანხები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	4,046	2,888
გასაყიდად არსებული აქტივები	1,701	2,076
საპროცენტო შემოსავალი სულ	**84,858**	**104,532**

საპროცენტო და მსგავსი ხარჯი		
კლიენტთა ანგარიშები	(13,771)	(17,675)
სხვა ნასესხები სახსრები	(14,555)	(15,236)
სუბორდინირებული ვალი	(3,587)	(3,291)
სხვა ბანკების მიმართ	(218)	(13)
საპროცენტო ხარჯი სულ	**(32,131)**	**(36,215)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**52,727**	**68,317**

2017 წელს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მოიცავდა გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის ამორტიზაციას 1,221 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,666 ათასი ლარი) (შენიშვნა 9).

24. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

'000 ლარი

საკომისიო შემოსავალი	2017	2016
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	4,577	5,596
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	2,260	2,365
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	1,554	1,069
აკრედიტივები და გარანტიები	1,249	1,018
ინტერნეტ ბანკინგის საკომისიო	318	387
SMS მომსახურების საკომისიო	131	260
სხვა საკომისიო შემოსავალი	115	140
საკომისიო შემოსავალი სულ	**10,204**	**10,835**

საკომისიო ხარჯი		
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	(3,898)	(3,598)
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	(760)	(567)
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	(294)	(355)
მომსახურების საკომისიო	(154)	(243)
აკრედიტივები და გარანტიები	(68)	(73)
საკომისიო ანაზღაურება და საკომისიო ხარჯი სულ	**(5,174)**	**(4,836)**
საკომისიო შემოსავალი სულ	**5,030**	**5,999**

პუნქტი "სხვა საკომისიო შემოსავალი" მოიცავს მესამე მხარის, მაგალითად, "ვესტერნ იუნიონის" სახელით შესრულებულ ტრანზაქციებს. "სხვა საკომისიო ხარჯები" ძირითადად საბარათე ბიზნესთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯებია.

25. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

'000 ლარი	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია	5,997	6,521
ოფისის ქირა	2,565	3,266
კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	4,366	3,877
კადრების შერჩევა, მომზადება და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	2,909	2,611
საკონსულტაციო მომსახურება	1,667	1,485
მარკეტინგი, რეკლამა და გასართობი ღონისძიებები	884	1,130
რემონტი და შეკეთება	628	1,064
ტრანსპორტი	858	872
სხვა	5,263	5,909
სულ	**25,137**	**26,735**

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს 181 ათას ლარს (2016 წელს: 239 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტური ფირმის მიერ გაწეულ აუდიტის და სხვა პროფესიულ მომსახურებებზე გადახდილი თანხა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული მთლიანი ხარჯებიდან 2,540 ათასი ლარი თანამშრომლების ტრენინგს და 2017 წელს განხორციელებულ მსგავს საქმიანობას მოხმარდა (2016 წელს: 2,255 ათასი ლარი).

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა

ჯგუფის მთლიანი რისკის პროფილის მართვა – კაპიტალის მართვა

მიზნები

ზოგადად, ჯგუფს უფლება არა აქვს, იმაზე მეტი რისკი იკისროს, ვიდრე შეუძლია. ჯგუფის კაპიტალის მართვა შემდეგ მიზნებს ისახავს:

- იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა უკიდურეს შემთხვევაშიც სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგები დაფაროს
- საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული გარე კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან ბანკის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- ჯგუფის სტაბილურ ზრდასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელების ხელშეწყობა და ბიზნეს სტრატეგიის დაცვა.

პროცესები და პროცედურები

ჯგუფის კაპიტალის მართვას არეგულირებს კაპიტალის მართვის პოლიტიკა და შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შესახებ პოლიტიკა. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ჯგუფი ოთხ კოეფიციენტს მიმართავს. მარეგულირებელი და ბაზელი III/კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულება (CRR) კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, პირველი დონის ჯგუფის კაპიტალიზაციის კოეფიციენტისა და დასაშვები რისკების კოეფიციენტის ყოველთვიურ მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება და ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტი უწევს.

კაპიტალის შიდა და გარე მოთხოვნებთან შესაბამისობა

კაპიტალის მინიმალურ გარე მოთხოვნებს აწესებენ და აკონტროლებენ საქართველოს ადგილობრივი საბანკო საზედამხედველო ორგანოები. კაპიტალის ადეკვატურობა გამოითვლება და ყოველთვიურად ეცნობება ჯგუფის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს. ეს ანგარიშები მოიცავს მუდმივი პროგნოზების გაკეთებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას როგორც არსებულ, ასე მომავალ მოთხოვნებთან (კვარტალურად).

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის კომიტეტის (ბაზელ I) ინსტრუქციების შესაბამისად დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 6.4%-ზე მეტი) *	10.21%	10.29%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 9.6%-ზე მეტი)*	14.55%	16.33%

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის კომიტეტის (ბაზელ II და III) ინსტრუქციების შესაბამისად დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 8.5%-ზე მეტი) *	14.38%	11.19%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 10.5%-ზე მეტი)*	18.28%	15.04%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (პილარ I + პილარ II)	2017

პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 11.52%-ზე მეტი) *	14.38%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 14.52%-ზე მეტი)*	18.28%

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შედარების უზრუნველსაყოფად, 2016 წლის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების რეტროსპექტული გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში ბოლოდროინდელი ცვლილებების გათვალისწინებით.

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	14.38%	14.21%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	18.28%	18.79%

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა პილარი II-ის ბუფერები, რომლებიც 2017 წლის დეკემბრიდან იქნება ხელმისაწვდომი. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის ბუფერების დაწესება, პირველი დონისთვის არის 11.52%, ხოლო მარეგულირებელი კაპიტალისთვის - სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 14.52%. არაჰეჯირებული საკრედიტო რისკი გამოირიცხება პირველი დონისთვის განსაზღვრული სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებიდან.

ამას გარდა, კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ჰოლდინგის მასშტაბით კაპიტალის ადეკვატურობის უნიფიცირებული გაანგარიშების მეთოდით ხორციელდება, ბაზელ III მოთხოვნების მიხედვით, როგორც დადგენილია ევროპის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დირექტივაში და კაპიტალის მოთხოვნების რეგულაციაში (CRR).

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის კოეფიციენტები ბაზელ III/CRR-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (RWA) *	18.4%	16.90%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	22.36%	21.87%

'000 ლარი

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	88,915	88,915
საემისიო შემოსავალი	36,388	36,388
წინა წლის გაუნაწილებელი მოგება	70,830	46,559
პირველი 9 თვის მოგება*	16,020	15,054
სხვა კორექტირების გამოკლებით*	(28)	(56)
მიმდინარე წელს გადახდილი დივიდენდების გამოკლებით	-	-

მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდების გამოკლებით*	(20,691)	(21,201)
არამატერიალური აქტივების გამოკლებით	(1,394)	(1,676)
პირველადი კაპიტალი*	**190,040**	**163,983**
ცვლილება გამოწვეული მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდის გამო, რომელიც აღემატება პირველი ცხრა თვის მოგებას		
მოგება პირველი ცხრა თვის განმავლობაში*	-	(15,054)
მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდები*	-	21,201
კორექტირებული პირველადი კაპიტალი*	**190,040**	**170,130**
სუბორდინირებული სესხები*	40,877	49,950
მეორადი კაპიტალი	**40,877**	**49,950**
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**230,917**	**220,080**

'000 ლარი

31 დეკემბრის მდგომარეობით	**2017**	**2016**
ბალანსზე რიცხული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	861,972	845,510
რისკის მიხედვით შეწონილი გარე საბალანსო აქტივები*	22,342	19,210
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ღია სავალუტო პოზიციებიდან*	5,754	1,308
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკის შედეგად*	142,825	140,363
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	**1,032,892**	**1,006,391**

ჯგუფი მართავს კაპიტალს ორი მეთოდის კომბინაციით: საკუთარი კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის გამოყენებით, რომელიც უმეტესწილად ჰოლდინგის მიერ არის გაცემული.

რაც შეეხება საკუთრი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების თანაფარდობას (ლევერეჯი), 2011 წელს აღიარებულ და არააღიარებულ კრედიტებზე შემოღებულ იქნა 1 რიგის კაპიტალის ქვედა ზღვარი (1 რიგის ლევერეჯის კოეფიციენტი), რომლის მიხედვითაც ჯგუფის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 5%–ზე ნაკლები. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა 10%-ს აღემატებოდა.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი (ICAAP)

სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობას რისკების შემცველობის მიხედვით აფასებს, ჯგუფის სპეციალური რისკის პროფილის ასახვის მიზნით, მაგალითად, საქმიანობის შედეგად წარმოშობილ პოტენციურ ზარალს ადარებს ჯგუფის დასაშვები რისკების შემცველობასთან.

ჯგუფის რისკის შემცველობის პოტენციალი განისაზღვრება როგორც საკუთარ კაპიტალს (არამატერიალური აქტივების გამოკლებით) დამატებული სუბორდინირებული ვალი, რამაც 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით 261 მილიონი ლარი შეადგინა (2016 წელს: 261 მილიონი ლარი). რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსი (RAtCR) განისაზღვრა რისკის შემცველობის პოტენციალის 60%-ის ოდენობით, ანუ 157 მილიონი ლარი* 2017 წელს (2016 წელს - 157 მილიონი *). რისკის სხვადასხვა კატეგორიაში პოტენციური დანაკარგების გამოსათვლელად გამოყენებული იქნა შემდეგი ცნებები:

- საკრედიტო რისკი (კლიენტები): ისტორიული ზარალის მაჩვენებლები გამოითვლება სასესხო პორტფელის და არასაბალანსო პორტფელის სისტემატურად განახლებული მიგრაციის ანალიზის საფუძველზე, რის მიხედვით შემდგომ გამოითვლება მიმდინარე სასესხო პორტფელზე პოტენციური დანაკარგები;
- კონტრაგენტის რისკი: კონტრაგენტის რისკის გამო პოტენციური დანაკარგები გამოითვლება კონტრაგენტის, ან მისი საქმიანობის ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის ალბათობის საფუძველზე;
- საბაზრო რისკები: ვინაიდან სავალუტო კურსის ისტორიულ მერყეობებზე კეთდება სტატისტიკური ანალიზი, არსებული სავალუტო პოზიციებისთვის ყველაზე მკვეთრი მერყეობის გამოყენებით (99% სანდოობის დონით), საპროცენტო განაკვეთის რისკი გამოითვლება 12-თვიანი საპროცენტო სარგებლის განსაზღვრის მეშვეობით ევრო/აშშ დოლარზე სტანდარტული საპროცენტო განაკვეთის რყევის და ადგილობრივი ვალუტისთვის უფრო მაღალი (ისტორიული) რყევის დონის მიხედვით (ორი პროცენტული ერთეული, ბაზელის საპროცენტო განაკვეთების რყევა);
- საოპერაციო რისკი: ბაზელ II-ის სტანდარტის მეთოდი გამოიყენება შესაბამისი ღირებულების გამოსათვლელად.

საკრედიტო რისკის დასაფარი ეკონომიკური კაპიტალის მოცულობა სტაბილური იყო 2017-2016 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით. ძირითადი პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა 2017 წელს. კონტრაგენტის, საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო რისკის ლიმიტის ათვისება დაბალ დონეზე შენარჩუნდა. საერთო ჯამში, ყველა რისკი, რომელიც რაოდენობრივად შეფასდა ჯგუფის ფარგლებში მოქმედი ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (ICAAP) შესახებ სტანდარტების მიხედვით, ჯგუფის რისკის აღების საერთო პოტენციალის 60%-ზე ნაკლებია. სხვა რისკები შეფასდა როგორიც ჯგუფისთვის არასაკმარისად რელევანტური, ან რელევანტური, მაგრამ რაოდენობრივად დაუდგენელი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების განაწილება რისკის სხვადასხვა კატეგორიებზე, ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის თანახმად, და ჯგუფის მიერ მათი ათვისების დონე 2017 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით. საოპერაციო რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალი გამოითვლება ბაზელ II-ის სტანდარტული მეთოდით.

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

რისკის ფაქტორი	დეტალური ინფორმაცია რისკზე	ლიმიტი (%) *	ლიმიტი ('000 ლარი)*	ფაქტობრივი ('000 ლარი)*	გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი %)*
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		33.0%	86,249	25,894	9.9%
კონტრაგენტის რისკი	კომერციული ბანკები	5.0%	13,068	3,422	1.3%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	26,136	7,288	2.8%
	სავალუტო რისკი	2.0%	5,227	2,067	0.8%
საოპერაციო რისკი		10.0%	26,136	11,426	4.4%
რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები		**60.0%**	**156,815**	**50,097**	**19.2%**

2016 წლის დეკემბრის ბოლოს, რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების (RAtCR) განაწილება შემდეგია:

რისკის ფაქტორი	დეტალური ინფორმაცია რისკზე	ლიმიტი (%) *	ლიმიტი ('000 ლარი)*	ფაქტობრივი ('000 ლარი)*	გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი %) *
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		33.0%	86,007	23,776	9.1%
კონტრაგენტის რისკი		5.0%	13,031	3,800	1.5%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	26,063	8,921	3.4%
	სავალუტო რისკი	2.0%	5,213	416	0.2%
საოპერაციო რისკი		10.0%	26,063	11,229	4.3%
რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები		**60.0%**	**156,377**	**48,142**	**18.5%**

ცალკეული რისკების მართვა

2017 წელს ჯგუფმა დამატებით შეიმუშავა ცალკეული რისკების მართვის პოლიტიკა და საშუალებები, რაც ხელს უწყობს ჯგუფის რისკების მართვის შემდგომ გაუმჯობესებას. კერძოდ, შემოღებულ იქნა დამატებითი პროცესები შემდეგი რისკების სამართავად:

- საკრედიტო რისკი
- კონტრაგენტის რისკი
- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საოპერაციო რისკი და
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს რისკის გამომწვევი ფაქტორების ზოგად ცოდნას და უწყვეტ ანალიზს და ჯგუფის შიგნით დისკუსიების წარმართვას მოვლენების შესაძლო განვითარებაზე/შესაძლო სცენარზე და მათ პოტენციურ უარყოფით შედეგებზე. რისკის

მართვის მიზნებში შედის იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა არსებითი რისკი დროულად იქნეს აღმოჩენილი, სრულად გაანალიზებული და სათანადოდ მართული. მაგალითად, არ უნდა მოხდეს პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება მანამ, სანამ ყველა მხარე მათ კარგად არ გაეცნობა და შეძლებს მათ სათანადო მართვას.

ცალკეული რისკისთვის გათვალისწინებული ლიმიტებიდან გადახვევა, რომელთა ფარგლებშიც ჯგუფს მოქცეული აქვს თავისი რისკების სტრატეგია, დასაშვებია მხოლოდ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის თანხმობით, მაგრამ უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მკაცრ ლიმიტებს (მაგ. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ლიმიტებს ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს).

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც იმის საშიშროება, რომ საკრედიტო ტრანზაქციის მხარე ვერ შეძლებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს ჯგუფის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა კლიენტებზე კრედიტების გაცემის შედეგად (კლასიკური საკრედიტო რისკი), შიდასაბანკო განთავსებებიდან გამომდინარე საკრედიტო და ემიტენტის რისკებიდან. საკრედიტო რისკი შემდგომ იყოფა საკრედიტო დეფოლტის რისკად და საკრედიტო პორტფელის რისკად, რისკების მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით. საკრედიტო რისკი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი:

'000 ლარი 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
შიდა საბანკო დაბანდებები		
ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვების ჩათვლით)	160,326	180,732
შიდა საბანკო დაბანდებები სულ	16,171	174,153
შიდა საბანკო დაბანდებები სულ	**176,496**	**354,885**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,005,722	875,486
გაუარესების რეზერვი	(18,384)	(19,261)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	**987,337**	**856,225**
საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	**4,943**	**16,809**
სხვა ფინანსური აქტივები	**2,039**	**5,669**
ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივი	**11,408**	**13,321**
ვალდებულებების შესრულების გარანტიები	**32,035**	**19,810**
სესხის გაცემის ვალდებულებები	**32,823**	**48,147**

კლიენტზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკი

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკს ბანკი განსაზღვრავს, როგორც კლიენტის კრედიტთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების პოტენციური შეუსრულებლობის შედეგად მიღებული ზარალის რისკს.

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკის მართვა საკრედიტო საქმიანობის პრინციპების საფუძვლიან განხორციელებას ემყარება, როგორიცაა:

- მსესხებლების გადახდისუნარიანობის ანალიზი
- საკრედიტო რისკის შეფასებების დოკუმენტირება, რათა ანალიზი გასაგები იყოს მესამე მხარეებისთვის
- ჯგუფის კლიენტების ზედმეტი დავალიანების თავიდან აცილება
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის რეგულარული მონიტორინგი
- სესხის დაფარვის მონიტორინგი, შეთანხმებების შესრულება
- ვადაგადაცილების ეფექტური მართვა
- გადაუხდელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ამოღების პროცესის მკაცრად განხორციელება
- ინვესტიციები პერსონალის მომზადებაში
- საგულდაგულოდ შემუშავებული და კარგად დოკუმენტირებული პროცესების განხორციელება
- "ოთხი თვალის პრინციპის განხორციელება"

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო სესხებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის სესხებისთვის დაკრედიტების განსხვავებული პროცესები არსებობს. პროცესები ძირითადად განსხვავდება მოვალეობების განაწილების მიხედვით; კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის, შემოწმებული ფინანსური ანგარიშების თუ დეკლარაციის ფორმების; სესხის გადაწყვეტილების ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე. ნებისმიერ საკრედიტო გადაწყვეტილებას საკრედიტო კომიტეტი იღებს.

ვადაგადაცილებულია სესხები, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო ან/და ძირი თანხის გადახდა დაგვიანებულია. ვადაგადაცილების დადგომის შემთხვევაში, ჯგუფი სესხების გადაუხდელობის მკაცრ კონტროლს იწყებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის ნებისმიერი პოტენციური საფრთხის გამოვლენის მიზნით. სესხების დაბრუნებისა და ამოღების პროცესს სპეციალიზირებული თანამშრომლები აწარმოებენ, რომელთაც, როგორც წესი, გამოცდილება საკრედიტო ან იურიდიულ სფეროში აქვთ.

ბანკი მუდმივ მონიტორინგს უწევს სასესხო პორტფელის ხარისხს. სასესხო პორტფელის ხარისხის საზომია გაუარესებული სესხების პორტფელი ("PAR"), რომელსაც ჯგუფი განმარტავს, როგორც ყველა ისეთ დაუფარავ სესხს, რომლის პროცენტის და/ან კაპიტალის ერთი ან ერთზე მეტი შენატანი 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. ამ მეთოდის

შერჩევა განპირობებულია იმით, რომ სესხებზე უმეტესწილად ფიქსირებული შენატანები ხორციელდება ძირი თანხის და პროცენტების ყოველთვიური გადახდით. გამონაკლისს სეზონური ხასიათის აგრო სესხები და საინვესტიციო სესხები წარმოადგენს შეღავათიანი პერიოდით. გაუარესებული სესხების პორტფელის განსაზღვრისას არ ხდება უზრუნველყოფის გამოქვითვა და საკრედიტო დავალიანების შემცირების სხვა რომელიმე ზომის განხორციელება.

საკრედიტო ოპერაციების ხარისხს დამატებით ბიზნეს ოპერაციების კონტროლის ჯგუფის უფროსი უზრუნველყოფს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის საკრედიტო ოპერაციების მონიტორინგზე და ჯგუფის წესებთან მათ შესაბამისობაზე.

'000 ლარი	PAR (> 30 დღით ვადაგადაცილებული სესხები)	PAR (> 30 დღით ვადაგადაცილებული ინდივიდუალური სესხები)
2017 წლის 31 დეკემბერი	**1.79%**	**1.62%**
2016 წლის 31 დეკემბერი	**2.24%**	**1.85%**

სესხების რესტრუქტურიზაციის საჭიროება ჩვეულებრივ მსესხებლის ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარეობს. სესხის რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში სესხის პარამეტრებში შედის ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხები, რომელთა პირობების ხელახალი შეთანხმება მოხდა, ვადაგადაცილებულად ან გაუფასურებულად ჩაითვლებოდა.

ჯგუფი, წარსული გამოცდილების მიხედვით, მოცემული წლის მოსალოდნელი სასესხო დეფოლტის დონის რეგულარულ ანალიზს ახორციელებს. მენეჯმენტის შეფასებით, გაწეული ზარალი სრულად დაფარულია სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვით.

ჰოლდინგის პოლიტიკის შესაბამისად, სრული უზრუნველყოფის გარეშე გაიცემა მხოლოდ ძალიან მცირე მოკლევადიანი სესხები. შედარებით მაღალი რისკის პროფილის მქონე სესხები ყოველთვის უზრუნველყოფილია მყარი გირაოთი, როგორც წესი, უძრავი ქონებით.

დაბრუნებული ქონების მართვის შესახებ ჰოლდინგის პოლიტიკის თანახმად, კლიენტების გადაუხდელობის შედეგად მიღებული ყველა აქტივი უნდა გაიყიდოს მესამე მხარეზე, უზრუნველყოფის საშუალების საბაზროზე ნაკლები ღირებულებით შეფასებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, დასაქუთრებული ქონება საჯარო აუქციონზე ყველაზე მაღალ შესაძლო ფასად იყიდება და ძირი თანხის, პროცენტის და ჯარიმის გადახდის შედეგად დარჩენილი ნაშთი კლიენტის ანგარიშზე ირიცხება. დასაქუთრებული ქონება უმეტესწილად მიწა ან შენობაა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილს სასაქონლო მატერიალური მარაგები, აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები შეადგენს.

საკრედიტო პორტფელის რისკი კლიენტებზე გაცემული სესხების შედეგად

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო პორტფელის კატეგორიები საკრედიტო რისკის შემცირების ძალიან ეფექტური ფაქტორია. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა – მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება - მოითხოვს საკრედიტო საქმიანობის მაღალი დონის სტანდარტიზაციას. საბოლოო ჯამში, ამან გამოიწვია სესხების მაღალი დივერსიფიკაცია გეოგრაფიული არეალისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით. მიუხედავად ამისა, საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება, ანუ შედარებით მსხვილი სესხები, რომელიც აჭარბებს 250 000 აშშ დოლარის ზღვარს, ჯგუფის საქმიანობის დამატებით სფეროს წარმოადგენს მისი საერთო სტრატეგიული მიზნის გათვალისწინებით. ამ კლიენტების უმრავლესობა დინამიურად მზარდი საწარმოებია, რომლებიც ჯგუფთან მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. თუმცა ასეთი ბიზნესების სირთულე მოითხოვს ბიზნესის, დასაფინანსებელი პროექტისა და დაკავშირებული მხარეების ჯეროვან ანალიზს. ფრანტ და ბექ ოფისის ფუნქციები მკაფიოდაა გამიჯნული და დოკუმენტაციისა და უზრუნველყოფის მოთხოვნებიც როგორც წესი, უფრო მკაცრია.

საერთო ჯამში, ჯგუფის საკრედიტო პორტფელი მოიცავს მსესხებელთა ჯგუფზე 348 სესხს 250 000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით (2016 წელს: 318 სესხი).

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურას რეგულარულად გადახედავს საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება, საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილზე შესაძლო რისკების გამოვლენისა (ზოგადი რისკის ფაქტორები) და ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში საკრედიტო რისკების საჭიროებისამებრ შეზღუდვის მიზნით.

ბანკის საკრედიტო პორტფელი დაჯგუფებულია საერთო რისკის ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა:

'000 ლარი **2017 წლის 31 დეკემბერი**	საბითუმო რეალიზაცია და ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	საინვესტიციო სესხები	სხვა	სულ
< 50 000 აშშ დოლარი	45,113	3,562	14,462	4,724	41,013	31,116	5,179	461	145,630
50 000 აშშ დოლარიდან 250 000 აშშ დოლარამდე	156,196	16,380	55,695	13,679	144,456	34,083	954	-	421,444
> 250 000 აშშ დოლარი	168,078	30,910	59,727	902	178,539	-	490	-	438,647
სულ	**369,387**	**50,853**	**129,884**	**19,306**	**364,009**	**65,200**	**6,623**	**461**	**1,005,722**

'000 ლარი **2016 წლის 31 დეკემბერი**	საბითუმო რეალიზაცია და ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	საინვესტიციო სესხები	სხვა	სულ
< 50 000 აშშ დოლარი	51,672	4,972	16,246	5,663	47,473	24,376	8,965	721	160,087

50 000 აშშ დოლარიდან 250 000 აშშ დოლარამდე	159,707	15,733	52,154	12,833	125,851	13,544	1,794	-	381,616
> 250 000 აშშ დოლარი	133,454	31,884	37,712	1,678	127,472	704	878	-	333,783
სულ	**344,833**	**52,589**	**106,113**	**20,174**	**300,796**	**38,625**	**11,637**	**721**	**875,486**

ჯგუფი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, რომელიც ზღუდავს კონცენტრაციის რისკს სასესხო პორტფელში და ამისათვის მოითხოვს მსხვილი სესხების (რომლებიც მარეგულირებელი კაპიტალის 10%-ს აღემატება) დამტკიცებას ჰოლდინგის საკრედიტო რისკების კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. არც ერთი მსხვილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის მინიმალური კაპიტალის 25%-ს.

შედარებით მსხვილი სესხების ანალიზსა და მონიტორინგს ახორციელებენ როგორც პასუხისმგებელი თანამშრომლები საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის გზით, რაც რისკების დროული აღმოჩენის საშუალებას იძლევა, ასევე საკრედიტო კომიტეტის მიერ ჩატარებული რეგულარული შემოწმებების გზით. დაკავშირებული მხარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება ჩვეულებრივ სესხის გაცემამდე ხდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების მონიტორინგს ბანკის საკრედიტო კომიტეტი და ბიზნეს კლიენტთა მრჩეველი ან საკრედიტო ანალიტიკოსი უზრუნველყოფს. აღნიშნული კრედიტების შემთხვევაში, კომიტეტი აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი.

- 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
- პროცენტის, ან კაპიტალის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა
- დებულებების, ან პირობების დარღვევა
- გაკოტრების საქმის აღძვრა
- კლიენტის საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის არსებობა (მაგ. კლიენტის ფულადი სახსრების დეფიციტი)
- კლიენტის საბაზრო კონიუნქტურის ცვლილება
- ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა

გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მიჩნეული ინდივიდუალური სესხები, ან ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების ჯგუფი შესაძლოა გაუფასურებულების კატეგორიაში მოხდეს, თუ ქვეყანაში ისეთი შემთხვევები შეინიშნება, როგორიცაა პოლიტიკური არეულობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაღმასვლა, სტიქიური უბედურებები ან სხვა გარე ფაქტორები.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების მიზნით დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. მომავალში მისაღებ ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოლოდინები თანხობრივად და დროის თვალსაზრისითაც კონსერვატიული უნდა იყოს, მომავალში შესაძლებელი გაურკვევლობის გათვალისწინებით. ეს კლიენტისა და მისი თავმდებ(ებ)ისგან მისაღებ ნებისმიერ წმინდა სამომავლო გადახდებს ეხება, მათ შორის

გირაოს რეალიზაციიდან ამოსაღებ მოსალოდნელ წმინდა თანხებს. გირაოს ამოღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი პირდაპირი ხარჯების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სხვა მსგავს შემთხვევებში ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და გარე სტანდარტები, როგორიცაა, სასამართლოში საქმის შეტანის დადგენილი საფასური, სააღსრულებო ხარჯი გირაოს ღირებულების პროცენტული წილის სახით და ა.შ. კლიენტისა ან/და თავმდებისგან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია შესაბამისი კლიენტის ან თავმდების გადახდისუნარიანობა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ან თავდების გადახდისუნარიანობის შესაბამისი ფინანსური ანალიზი არ არსებობს, დასაშვებია მხოლოდ უზრუნველყოფის საშუალებებიდან მისაღები ფულადი სახსრების გათვალისწინება. უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციიდან მისაღები თანხა და მოსალოდნელი დრო, რომელიც საჭიროა ამ თანხის ამოღებისთვის, დადგენილი იქნება ანალოგიური უზრუნველყოფის საშუალების იძულებითი წესით ამოღების სფეროში არსებული ბანკის გამოცდილების გათვალისწინებით. თუ ბანკს არ გააჩნია საიმედო ან მსგავსი ხასიათის შიდა მონაცემები, ბანკი გამოიყენებს გარე წყაროებიდან მიღებულ საკმარის და საიმედო ინფორმაციას, რომელიც გირაოსაგან მისაღები სამომავლო ფულადი სახსრების ვადის და ოდენობის დადგენის ვარაუდებს ადასტურებს.

2017-2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების საბალანსო ღირებულების 90%-ზე მეტი მთლიანად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. ბანკმა შეცვალა თავისი მიდგომა სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ბანკმა გამოიყენა ფუნქციების სეგრეგაცია - საოპერაციო განყოფილების პერსონალი, ზოგადად პერსონალი, რომელიც ჩართულია კლიენტების მოძიებასა და კლიენტების გადახდისუნარიანობის შეფასებაში, აღარ მონაწილეობს გირაოს შეფასებაში. გირაოს შეფასებაში სპეციალიზებული საკრედიტო რისკების განყოფილების ბექ-ოფისის პერსონალი პასუხისმგებელია გირაოს შეფასების პროცესზე და გირაოს ღირებულების შეთავაზებაზე. როგორც წესი, ყველა გირაოს შეფასება, ცალკეული საგნის ღირებულების და სესხის ოდენობის მიუხედავად, ხორციელდება პროფესიონალი გარე შემფასებლების მიერ. აქედან გამომდინარე, გირაოს შეფასების პროცესი სრულიად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროცესია. ბანკი კონტრაქტებს უფორმებს პროფესიონალ გარე შემფასებელ კომპანიებს, რომელთა მთავარი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოფაში ჩადებული საგნების სამართლიანი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არარესტრუქტურიზირებული სესხები, რომლებზეც გაუფასურების ინდივიდუალური რეზერვის შექმნა არაა საჭირო, კოლექტიური შეფასების რეზერვებით იფარება. არარესტრუქტურიზირებული სტანდარტული და არასტანდარტული რესტრუქტურიზებული სესხებისთვის სხვადასხვა სარეზერვო განაკვეთი გამოიყენება. ამასთან, სარეზერვო განაკვეთები განსხვავდება სესხის ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვადასხვა ტიპის რესტრუქტურიზირებული სესხების გამოჯვნის ძირითადი ფაქტორებია: ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა,

გადახდის პრობლემის სიმძიმე და რესტრუქტურიზაციის შემდგომი საპროცენტო განაკვეთის ნომინალური ღირებულება.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხებისთვის, რომელთა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება არსებობს, ანუ რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაშია ვადაგადაცილებული (ასევე უმნიშვნელო რესტრუქტურიზებული სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ არის, მაგრამ კვალიფიცირდება, როგორც გაუფასურებული); გაუფასურება განისაზღვრება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

შიდა საბანკო განთავსებებიდან და ემიტენტთან დაკავშირებული რისკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი

რისკების მართვის კონცეპტუალური საფუძველი

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკის მართვის მიზანია ჯგუფისთვის ისეთი დანაკარგების თავიდან აცილება, რომლებსაც იწვევს ფინანსური კონტრაგენტის (მაგ. კომერციული ბანკის), ან ემიტენტის მიერ ჯგუფის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვერ შესრულება ან შეუსრულებლობა. ამ ტიპის რისკი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ძირითადი რისკი – გაცემული თანხის დაკარგვის რისკი იმის გამო, რომ კონტრაგენტი ვერ ახერხებს ძირი თანხის დროულად და სრულად გადახდას;
- ჩანაცვლების რისკი – იმ თანხის დაკარგვის რისკი, რომელიც უდრის მიმდინარე გარიგების ეკვივალენტური გარიგებით ჩანაცვლებაზე გაწეულ ხარჯს;
- ანგარიშსწორების რისკი – დანაკარგის რისკი, რომელიც გამოწვეულია დაკავშირებული მხარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით;
- ემიტენტის რისკი - ფასიანი ქაღალდების ემიტენტის დეფოლტისა და გადახდისუუნარობის შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობა;
- საბაზრო ფასის რისკი - ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ვარდნით გამოწვეული ზარალის რისკი, რადგან ამ დროს საპროცენტო განაკვეთები იზრდება.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი განსაკუთრებით წარმოიქმნება მაშინ, როცა საჭიროა ჯგუფის მიერ ლიკვიდური აქტივების მარაგის დაბანდება, სავალუტო ოპერაციების შესრულება, ან გარკვეული რისკების პოზიციების ჰეჯირება. ჭარბი ლიკვიდურობის განთავსება ხდება ბანკთაშორისო ბაზარზე მოკლევადიან, ჩვეულებრივ სამ თვემდე ვადის მქონე ინსტრუმენტებში. სავალუტო ოპერაციებიც მოკლე ვადებში, როგორც წესი, ორ დღეში სრულდება. ვადიან კონტრაქტებს, რომლებიც სავალუტო რისკისგან ჯგუფის დასაცავად გამოიყენება, შეძლება ერთ წლამდე ვადა ჰქონდეს. ამას გარდა, იმის გამო, რომ ჯგუფი ცდილობს თავისი საკრედიტო საქმიანობა დააფინანსოს ფიზიკური პირების ანაბრებით, არსებობს ასევე რისკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკებისგან მოითხოვს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშზე

სავალდებულო რეზერვი ჰქონდეთ, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კლიენტების ანაბრების მოცულობაზე, ან სხვა სახსრებზე, რომლებსაც ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იყენებს.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკები იმართება ჯგუფის კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის მიერ (რომელშიც ემიტენტის რისკიც შედის), რომელიც აღწერს კონტრაგენტის/ემიტენტის შერჩევისა და ლიმიტის განსაზღვრის პროცესს, ასევე ჯგუფის სახაზინო პოლიტიკის მიერ, რომელიც მიუთითებს დასაშვებ ოპერაციებს და მოიცავს მათი დამუშავების წესებს. ფაქტიურად, მისაღები კონტრაგენტები არიან მხოლოდ სისტემური მნიშვნელობის მქონე დიდი საერთაშორისო ბანკები, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში საქმიანობისთვის – კარგი რეპუტაციის და ფინანსური მდგომარეობის მქონე ადგილობრივი ბანკები. როგორც წესი, ჯგუფი მინიმალური კაპიტალის 10%-მდე ზღვარს აწესებს ბანკებისთვის, რომლებიც არა OECD ქვეყნებში საქმიანობენ და 25%-მდე ზღვარს - OECD ქვეყნებში მოქმედი ბანკებისთვის, 3-თვიანი მაქსიმალური დარჩენილი ვადით. უფრო მაღალი ლიმიტები და უფრო ხანგრძლივი ვადები უნდა დამტკიცდეს ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) უზრუნველყოფს თითოეული კონტრაგენტის საგულდაგულო ანალიზს, რომელსაც, როგორც წესი, ახორციელებს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება, კომპლაიენსის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის (AML) ქვეგანყოფილებებთან თანამშრომლობით. კონტრაგენტის დამტკიცების შემთხვევაში დგინდება მაქსიმალური სესხის ლიმიტი.

კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის თანახმად, ჯგუფმა არ უნდა შეასრულოს სპეკულაციური კომერციული საქმიანობა. თუმცა, ლიკვიდურობის მართვის მიზნით ჯგუფს უფლება აქვს იყიდოს და მფლობელობაში იქონიოს ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები, სადეპოზიტო სერტიფიკატები). ამასთან დაკავშირებული ემიტენტის რისკი იმართება ჯგუფის სახაზინო პოლიტიკის დებულებებით. სხვა მოთხოვნებთან ერთად, პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ფასიანი ქაღალდები სასურველია გამოშვებული იყოს საქართველოს მთავრობის ან ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში – საერთაშორისო და/ან მულტინაციონალური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ძალიან მაღალი საკრედიტო რეიტინგი აქვთ (საერთაშორისო AA- ან კიდევ უფრო მაღალი რეიტინგი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კონტრაგენტების და ემიტენტების ტიპები, რომლებთანაც ჯგუფი ოპერაციებს ახორციელებს.

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი	2017	%-ში	2016	%-ში
საბანკო ჯგუფები	**16,171**	**9%**	**38,033**	**16%**
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში საქმიანობენ	446	**0%**	607	0%
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში არ საქმიანობენ	15,724	**9%**	37,426	16%
საქართველოს ეროვნული ბანკი	**160,326**	**88%**	**192,598**	**82%**
სავალდებულო რეზერვი	125,962	69%	131,548	56%
სხვა რისკები	34,364	19%	61,050	26%
საქართველოს მთავრობა	**4,943**	**3%**	**4,943**	**2%**
სახაზინო ვალდებულებები	4,943	3%	4,943	2%
კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი სულ	**181,440**	**100%**	**235,573**	**100%**

ვალდებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ძირითადად მოიცავს სავალდებულო რეზერვის შექმნის მოთხოვნას, რომელიც ჯგუფის კონტრაგენტის და ემიტენტის რისკის 68%-ს (2016 წელს: 52%) შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ არსებული რისკები ვალუტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

'000 ლარი **2017 წლის 31 დეკემბერი**	**ლარი**	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**სულ**
ეროვნული ბანკი	**34,364**	**30,121**	**95,841**	**160,326**
სავალდებულო რეზერვი	-	30,121	95,841	125,962
ნაშთები სებ-ში, სავალდებულო რეზერვების გარდა	11,579	-	-	11,579
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	22,785	-	-	22,785
საქართველოს მთავრობა	**4,943**	-	-	**4,943**
	39,306	**30,121**	**95,841**	**165,268**

'000 ლარი **2016 წლის 31 დეკემბერი**	**ლარი**	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**სულ**
ეროვნული ბანკი	**60,743**	**17,985**	**113,870**	**192,598**
სავალდებულო რეზერვი	-	17,919	113,629	131,548
ნაშთები სებ-ში, სავალდებულო რეზერვების გარდა	10,442	66	241	10,749
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	50,301	-	-	50,301
საქართველოს მთავრობა	**4,943**	-	-	**4,943**
	65,686	**17,985**	**113,870**	**197,541**

ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა ჯგუფის კონკრეტულ მახასიათებლებს შეესაბამება. სასესხო პორტფელი შეიცავს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე დიდი რაოდენობით გაცემულ მოკლე- და საშუალო ვადიან კრედიტებს. სესხების უმეტესობა არის გრაფიკიანი ვადიანი სესხები, ხოლო დეფოლტის განაკვეთი დაბალია. ამის გამო, ფულადი სახსრების ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და პროგნოზირებადი. ფინანსური ბაზრების ინსტრუმენტების გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. ყველა ეს ფაქტორი

ზღუდავს ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციების შესაძლებლობას და ამართლებს შედარებით მარტივი და სწორხაზოვანი LRM სისტემის გამოყენებას.

ლიკვიდურობის რისკი ვიწრო მნიშვნელობით (გადახდისუუნარობის რისკი) ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ვეღარ შეძლებს მიმდინარე და სამომავლო გადახდის ვალდებულების სრულად ან დროულად შესრულებას. ფართო მნიშვნელობით კი (დაფინანსების რისკი) გულისხმობს საფრთხეს, რომ ვერ მოხდება დამატებითი დაფინანსების მოპოვება, ან მხოლოდ გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით მოხდება დაფინანსება.

ALCO განსაზღვრავს ჯგუფის ლიკვიდურობის სტრატეგიას და ადგენს ლიკვიდურობის რისკის ლიმიტებს. სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ყოველდღიურად მართავს ჯგუფის ლიკვიდურობას. მას ევალება ALCO-ს გადაწყვეტილებების შესრულება. სტრატეგიებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან შესაბამისობას მუდმივად აკონტროლებს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება.

ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გარდა, ამ სფეროში ჯგუფი იყენებს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკისა და სახაზინო პოლიტიკის სტანდარტებს. ორივე პოლიტიკა ჯგუფმა თავდაპირველად 2009 წელს დანერგა. აღნიშნული პოლიტიკა ყოველწლიურად განახლდება და შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილ ჯანსაღი ლიკვიდურობის რისკის მართვის პრინციპებს საბანკო ზედამხედველობის სფეროში - ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია 575/2013 [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება - CRR] და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2013/36/EU [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დირექტივა - CRD IV]. ლიმიტიდან გადახვევა და პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ჰოლდინგის ALCO-ს და ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ლიკვიდურობის რისკს ყოველდღიურად მართავს ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რომლის საშუალებითაც სამომავლო ლიკვიდურობის მდგომარეობის მაქსიმალურად ზუსტი სურათი იქმნება. იგი მოიცავს დაშვებებს ანაბრებისა და სესხების დინამიკის შესახებ და ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლების უკეთ პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

ლიკვიდურობის რისკების შეფასების ძირითადი მეთოდები მოიცავს პროგნოზული ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს, რომელიც აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადების სტრუქტურას ასახავს და მომავალში დაფინანსების საჭიროებას გარკვეული დაშვებების საფუძველზე აფასებს. დაშვებები იწყება სამომავლო ლიკვიდურობის შეფასებით ნორმალურ ფინანსურ გარემოში და თანდათან უფრო მკაცრდება, რათა ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობის ანალიზი მოხდეს უარყოფითი სცენარის მიხედვით (სტრეს-ტესტები). ვადებს შორის განსხვავებების ანალიზზე დაყრდნობით, ლიკვიდურობის რისკის ძირითადი მაჩვენებლები და წინასწარი

გაფრთხილების ინდიკატორები გამოითვლება ყოველდღიურად და ყოველთვიურად და ექვემდებარება საფუძვლიან მონიტორინგს. მოკლევადიანი ლიკვიდურობის მთავარი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის საკმარისი ლიკვიდურობის ინდიკატორი (SLI), რომელიც ადარებს მომდევნო 30 დღის აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობას. ეს მაჩვენებელი 1–ზე მეტი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფს საკმარისი სახსრები აქვს, რომ მომდევნო 30 დღეში მოსალოდნელი ვალდებულებები გაისტუმროს. ამას ემატება წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები, განსაკუთრებით მაღალლიკვიდური აქტივების ინდიკატორი, რომელიც თანაფარდობაში მოჰყავს მაღალლიკვიდურ აქტივებს კლიენტთა დეპოზიტებთან.

ჯგუფი ასევე აანალიზებს თავის ლიკვიდურობის მდგომარეობას უფრო სტრუქტურული თვალთახედვითაც, და ითვალისწინებს უფრო გვიანდელი ვადების ლიკვიდურობის დეფიციტს და პოტენციური ლიკვიდურობის დამატებით წყაროებს. ამის შესაბამისი ძირითადი მაჩვენებელი არის ლიკვიდურობის პოზიცია. ეს ანალიზი ასევე ითვალისწინებს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძლება აითვისოს ოდნავ გვიან, და სხვა აქტივებს, რომელთა ლიკვიდაციას გარკვეული დრო სჭირდება.

ამ წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორების საგულდაგულო მონიტორინგის გარდა, ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს მაღალიკვიდური აქტივების, უარყოფითი მოკლევადიანი ლიკვიდობის დისბალანსის, მეანაბრეების კონცენტრაციის და ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის (როგორც დადგენილია ბაზელ III-ში) შესახებ ანგარიშგების მაჩვენებლებს. თუ რომელიმე საკონტროლო მაჩვენებელი გაიზრდება, სათანადო ზომებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პროკრედიტ ბანკის ALCO-თან და ჰოლდინგის ALCO–სა ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტთან შეთანხმებით.

ჯგუფის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად სტრესულ სიტუაციებშიც კი, ლიკვიდურობის პოტენციური საჭიროებების სხვადასხვა სცენარი დგინდება. ხორციელდება შედეგების ანალიზი და ამის საფუძველზე ჯგუფის ლიკვიდურობის რეზერვის ოდენობა განისაზღვრება ALCO–ს მიერ. ამ სტრეს-ტესტის შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის დამატებითი ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ბანკი ასევე მიზნად ისახავს ფინანსური სახსრების დივერსიფიცირებას. ხორციელდება ანაბრების კონცენტრაციის მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რამდენიმე მსხვილ მეანაბრეზე დამოკიდებულება.

ჯგუფი ასევე ცდილობს მინიმუმდე დაიყვანოს თავისი დამოკიდებულება ბანკთაშორისო ბაზარზე. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ბანკთაშორისი ვალდებულებების მთლიანი თანხა არ უნდა აჭარბებდეს ყველა არსებული საკრედიტო ხაზის 40%-ს და

ერთდღიანი დაფინანსება არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი ვალდებულებების 4%-ს. უფრო მაღალი ლიმიტები უნდა დამტკიცდეს ჰოლდინგის ALCO–ს მიერ.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია არადისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა განსაზღვრულია, როგორც პერიოდი საბალანსო უწყისის თარიღსა და აქტივისა თუ ვალდებულების სახელშეკრულებო ვადას შორის, ან აქტივისა თუ ვალდებულებისთვის ნაწილობრივი გადახდის ვადა ხელშეკრულების მიხედვით.

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები							
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	223,072	4,993	9,287	15,597	9,380	3,774	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	16,171	-	-	-	-	-	16,171
აუთვისებელი უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	32,170	52,657	90,447	211,432	545,134	274,730	1,206,570
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	116	125	-	257	5,140	234	5,872
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	37,061	-	-	-	-	37,061
სხვა ფინანსური აქტივები	2,039	-	-	-	-	-	2,039
ფინანსური აქტივები სულ	**273,568**	**94,836**	**99,734**	**227,286**	**559,653**	**278,739**	**1,533,815**
ფინანსური ვალდებულებები							
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	7,355	-	-	-	-	-	7,355
კლიენტთა ანგარიშები	439,252	23,210	43,163	72,493	43,598	17,543	639,258
სხვა ნასესხები სახსრები	4,339	65,293	19,741	70,185	287,735	49,758	497,051
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	36,955	-	-	-	-	36,955
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	43,443	-	-	-	-	-	43,443
სესხის გაცემის ვალდებულებები	32,823	-	-	-	-	-	32,823
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,273	-	-	-	-	-	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	73	514	-	38,628	25,752	64,967
ფინანსური ვალდებულებები სულ	**529,484**	**125,530**	**63,419**	**142,678**	**369,961**	**93,053**	**1,324,125**
ლიკვიდურობის დეფიციტი	**(255,916)**	**(30,694)**	**36,315**	**84,608**	**189,692**	**185,686**	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**(255,916)**	**(286,610)**	**(250,295)**	**(165,687)**	**24,005**	**209,691**	

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 – 3 თვე	3 – 6 თვე	6 – 12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები							
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	335,330	8,720	11,082	16,671	12,781	2,894	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	38,033	-	-	-	-	-	38,033

გამოუყენებელი უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	26,468	-	-	-	-	-	26,468
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	27,251	51,156	81,873	188,297	501,163	212,821	1,062,561
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8,114	209	4,105	245	5,606	234	18,513
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	33,528	-	-	-	-	33,528
სხვა ფინანსური აქტივები	5,669	-	-	-	-	-	5,669
ფინანსური აქტივები სულ	**440,865**	**93,613**	**97,060**	**205,213**	**519,550**	**215,949**	**1,572,250**
ფინანსური ვალდებულებები							
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	2,857	-	-	-	-	-	2,857
კლიენტთა ანგარიშები	473,563	45,965	58,419	87,881	67,371	15,254	748,453
სხვა ნასესხები სახსრები	4,571	31,610	18,152	39,977	303,279	33,512	431,101
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	33,353	-	-	-	-	33,353
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	33,131	-	-	-	-	-	33,131
სესხის გაცემის ვალდებულებები	48,147	-	-	-	-	-	48,147
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,523	-	-	-	-	-	3,523
სუბორდინირებული სესხი	-	461	1,537	1,592	49,749	28,846	82,185
ფინანსური ვალდებულებები სულ	**565,792**	**111,389**	**78,108**	**129,450**	**420,399**	**77,612**	**1,382,750**
ლიკვიდურობის დეფიციტი	**(124,927)**	**(17,776)**	**18,952**	**75,763**	**99,151**	**138,337**	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**(124,927)**	**(142,703)**	**(123,751)**	**(47,988)**	**51,163**	**189,500**	

ჯგუფი არ იყენებს ზემოხსენებულ ვადიანობის ანალიზს, რომელიც მოიცავს სამომავლო სახელშეკრულებო პროცენტს ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით. ამის ნაცვლად, ჯგუფი მონიტორინგს უწევს მოსალოდნელ დარჩენილ ვადებს (დარიცხული პროცენტის, გაუფასურების რეზერვის და გადავადებული საკომისიოების გარდა) და ამის შედეგად მიღებულ მოსალოდნელ ლიკვიდურობის დეფიციტს:

'000 ლარი **2017 წლის 31 დეკემბერი**	**1 თვემდე ვადით**	**1 - 3 თვე**	**3 - 6 თვე**	**6 - 12 თვე**	**1 წელზე მეტი**	**სულ**
აქტივები						
ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთი სებ–ში	186,775	-	-	-	-	186,775
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	65,691	-	-	-	-	65,691
გამოუყენებელი გამოუხმობადი და უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
სახაზინო ვალდებულებები	6,995	15,790	-	-	4,760	27,545
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	12,933	35,252	61,886	148,303	741,947	1,000,321
ვალუტის დერივატივები	-	37,061	-	-	-	37,061
სულ აქტივები	**272,394**	**88,103**	**61,886**	**148,303**	**746,707**	**1,317,393**
ვალდებულებები						
მიმდინარე ვალდებულებები ბანკების მიმართ	1,145	-	-	-	-	1,145
მიმდინარე ვალდებულებები კლიენტების მიმართ	46,424	21,102	31,652	42,203	280,652	422,033
პირობითი ვალდებულებები ფინანსური და სხვა გარანტიების ფარგლებში	2,172	-	-	-	-	2,172
გამოუყენებელი გამოუხმობი საკრედიტო ვალდებულებები	3,282	-	-	-	-	3,282

ვალდებულებები დაკავშირებული ბანკების მიმართ	-	55,591	12,876	25,752	157,087	251,306
ვალდებულებები გარეშე ბანკების მიმართ	5,150	-	-	-	-	5,150
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	414	10,779	2,733	37,057	147,741	198,724
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	30,529	13,877	20,815	27,754	184,563	277,539
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	64,380	64,380
ვალუტის დერივატივები	-	36,955	-	-	-	36,955
სულ ვალდებულებები	**89,117**	**138,304**	**68,077**	**132,766**	**834,423**	**1,262,687**
მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი	**183,277**	**(50,201)**	**(6,192)**	**15,537**	**(87,716)**	
მოსალოდნელი კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**183,277**	**133,076**	**126,884**	**142,422**	**54,705**	

'000 ლარი **2016 წლის 31 დეკემბერი**	**1 თვემდე ვადით**	**1 - 3 თვე**	**3 - 6 თვე**	**6 - 12 თვე**	**1 წელზე მეტი**	**სულ**
აქტივები						
ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთი სებ–ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	212,923	-	-	-	-	212,923
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	167,950	-	-	-	-	167,950
გამოუყენებელი გამოუხმობი და უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	26,468	-	-	-	-	26,468
სახაზინო ვექსელები	26,996	19,404	3,901	-	4,760	55,061
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9,218	33,560	54,797	129,576	625,881	853,032
ვალუტის დერივატივები	-	33,528	-	-	-	33,528
სულ აქტივები	**443,555**	**86,492**	**58,698**	**129,576**	**630,641**	**1,348,962**
ვალდებულებები						
მიმდინარე ვალდებულებები ბანკების მიმართ	1,353	-	-	-	-	1,353
მიმდინარე ვალდებულებები კლიენტების მიმართ	49,345	22,430	33,645	44,859	298,316	448,595
პირობითი ვალდებულებები ფინანსური და სხვა გარანტიების ფარგლებში	1,657	-	-	-	-	1,657
გამოუყენებელი გამოუხმობადი საკრედიტო ვალდებულებები	4,815	-	-	-	-	4,815
ვალდებულებები დაკავშირებული ბანკების მიმართ	-	10,587	7,940	-	148,221	166,748
ვალდებულებები გარეშე ბანკების მიმართ	150	-	-	-	-	150
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	3,429	18,622	5,846	33,322	156,153	217,372
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	30,529	13,877	20,816	27,754	184,563	277,539
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	66,170	66,170
ვალუტის დერივატივები	-	33,353	-	-	-	33,353
სულ ვალდებულებები	**91,278**	**98,869**	**68,247**	**105,935**	**853,423**	**1,217,752**
მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი	**352,277**	**(12,377)**	**(9,549)**	**23,641**	**(222,782)**	
მოსალოდნელი კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**352,277**	**339,900**	**330,351**	**353,992**	**131,210**	

მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი რაოდენობრივად ასახავს ლიკვიდურობის საჭიროებას დროის გარკვეულ მონაკვეთში, თუ მას უარყოფითი ღირებულება აქვს, ხოლო

პოტენციურად ჭარბ ლიკვიდურობას, თუ მისი ღირებულება დადებითია. ეს გამოთვლა მოიცავს წინა დროითი მონაკვეთების ჭარბი ლიკვიდურობის დადებით მონაცემებსაც. საოპერაციო დონეზე დეფიციტის ანგარიში ლიკვიდურობის რისკის შესაბამისი ვალუტების მიხედვით ნაწილდება (ლარი, აშშდ და ევრო). აღნიშნულის მიზანია საკმარისი ლიკვიდურობის შენარჩუნება, რათა მომავალი თვის განმავლობაში ყველა მოსალოდნელი ვალდებულებები დაიფაროს. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ ბანკის ხელმისაწვდომი აქტივები ყოველთვის უნდა აჭარბებდეს მის მოსალოდნელ ვალდებულებებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შეესაბამებოდა ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებულ საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებლის ლიმიტს, რომელიც 1–ს შეადგენს.

კლიენტების მიერ თავისი ანაბრების უეცრად გატანის შემთხვევაში, ჯგუფში საკმარისი ფინანსური სახსრების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი აკონტროლებს მაღალლიკვიდური აქტივების თანაფარდობას კლიენტების ანაბრებთან. ეს თანხები მაღალლიკვიდური აქტივების სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად. 2017 წლის ბოლოსთვის მაღალლიკვიდური აქტივების მაჩვენებელი იყო 23% (2016 წელს: 41%), რაც 15%-იან საკონტროლო მაჩვენებელს აღემატება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი ასევე მიმართავს სტრეს-ტესტის გამოთვლებს, რათა უზრუნველყოს ლიკვიდურობა. ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და ALCO–ს მიერ განისაზღვრება ჯგუფის ლიკვიდურობის რეზერვის დონე. ცალკეული სტრეს-ტესტის შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის სარეზერვო ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფის მიზანია დაფინანსებისთვის ძირითადად კლიენტთა ანგარიშები გამოიყენოს.. დაფინანსების ამ წყაროს ემატება ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული დაფინანსება, როგორიცაა GGF, OPIC, CEB, OeEB, responsAbility და EIB, რომლებიც საგანგებოდ გამოჰყოფენ სახსრებს მიზნობრივი ფინანსური პროგრამებისთვის (მაგ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება). დაფინანსების სახსრების კიდევ უფრო მეტად დივერსიფიკაციის მიზნით ჯგუფი ასევე ინარჩუნებს ურთიერთობას სხვა ბანკებთან, განსაკუთრებით მოკლევადიანი ლიკვიდურობის ხაზებისთვის. გარდა ამისა, მოკლე და გრძელვადიანი დაფინანსებით ბანკს პროკრედიტ ჰოლდინგი და პროკრედიტ ბანკი გერმანია უზრუნველყოფს.

კლიენტთა ანგარიშების დივერსიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად ჯგუფმა შემოიღო კონცენტრაციის მაჩვენებელი, რომლის მიზანიცაა იმის უზრუნველყოფა, რომ ათი უმსხვილესი ანაბარი არ აჭარბებდეს მთლიანი ანაბრების 15%-ს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის დაფინანსების წყაროების სავარაუდო განაწილება 2017-2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც ზემოთ

აღინიშნა, კლიენტთა ანგარიშები დაფინანსების ამკარად ყველაზე დიდი წყაროა. დაფინანსების სხვა მთავარი წყაროებია ჰოლდინგის მიერ კონტროლირებული კომპანიების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებები.

%-ში	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ვალდებულებები ბანკების მიმართ	0.6%	0.2%
კლიენტების ანაბრები	54.3%	61.4%
ვალდებულებები ჰოლდინგის მიერ კონტროლირებული კომპანიების მიმართ	24.2%	16.4%
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	20.6%	21.7%
სხვა ვალდებულებები	0.4%	0.3%

საერთო ჯამში, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი დაფინანსების წყაროები საკმარისადაა დივერსიფიცირებული, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის სახსრები უმეტესწილად უზრუნველყოფილია დიდი რაოდენობით კლიენტთა ანაბრებით.

დაფინანსების რისკი

ბიზნეს გეგმა, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება, წარმოადგენს ჯგუფისთვის საშუალოვადიანი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრის საფუძველს როგორც კაპიტალის, ისე ვალის დასაფინანსებლად. საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჰოლდინგს აქვს ლიკვიდურობის რეზერვი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საგანგებო შემთხვევაში.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაფინანსების რისკი დაბალია, კლიენტთა ანაბრებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ ჯგუფს კვლავ მიუწვდება ხელი სხვადასხვა საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

საბაზრო ფასის რისკი

ჯგუფის საბაზრო ფასის რისკი განისაზღვრება როგორც სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია დენომინირებული. თუ აქტივები და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია გამოხატული, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მას ემუქრება სავალუტო კურსში პოტენციურად არასახარბიელო ცვლილებების საფრთხე.

ჯერ კიდევ განვითარებადი ფინანსური ბაზრის, ისტორიულად მაღალი ინფლაციისა და მერყევი სავალუტო კურსის გამო საქართველოში კერძო დანაზოგების დიდი ნაწილი აშშ დოლარში ან ევროშია გამოხატული. ამასთანავე, აშშ დოლარში ხელმისაწვდომი სესხები შედარებით დაბალი საპროცენტო (ნომინალური) განაკვეთებით და უფრო ხანგრძლივი ვადით (ლარში მოცემულ სესხებთან შედარებით) ჯერაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში მოქმედი მრავალი ბიზნესის დაფინანსებაში. ამის შედეგად უცხოურ ვალუტას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის საქმიანობისთვის.

სავალუტო რისკის მართვას არეგულირებს პროკრედიტ ჰოლდინგის უცხოური ვალუტის რისკის მართვის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ჯგუფმა პირველად 2009 წელს დანერგა და ის ყოველწლიურად განახლდება. პოლიტიკასთან შესაბამისობა მუდმივად კონტროლდება ჯგუფის დონეზე ჰოლდინგის საფინანსო რისკების გუნდის მიერ, ხოლო გადაწყვეტილებას პოლიტიკაში ცვლილებების შეტანისა და გამონაკლისის დაშვების შესახებ იღებს პროკრედიტ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი და ALCO.

ჯგუფის სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ვალდებულია, მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს სავალუტო კურსების ცვლილებას და სავალუტო ბაზრებს. სახაზინო ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ასევე ყოველდღიურად მართავს ჯგუფის სავალუტო პოზიციებს. როგორც წესი, ყველა სავალუტო პოზიცია უნდა შენარჩუნდეს შეძლებისდაგვარად დაბალ დონეზე დღის ბოლოსთვის, გრძელი და მოკლე პოზიციები სპეკულაციური მიზნებისთვის დაუშვებელია. სახაზინო პოლიტიკის მიხედვით, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის (დერივატივების) გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ჰეჯირების მიზნით ჯგუფის პოზიციების დასახურად, ასევე ლიკვიდურობის მიზნებისთვის. დასაშვები უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებია ვადიანი სავალუტო ოპერაციები (მათ შორის ფორვარდული საანგარიშსწორებო ოპერაციები) და სავალუტო სვოპები. ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკებს ყოველდღიურად მართავს და აკონტროლებს სახაზინო ბექ ოფისი და ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება.

უცხოური ვალუტის ბაზრებზე მიმდინარე მოვლენები და სავალუტო პოზიციები სისტემატურად ეცნობება ჯგუფის ALCO-ს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები სახაზინო საქმიანობის თაობაზე. სავალუტო პოლიტიკიდან გამონაკლისის დაშვების საჭიროების ან ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფის ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება ამის შესახებ ატყობინებს პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO–ს ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს სათანადო ზომების რეკომენდაციით.

ჯგუფის მიზანია სავალუტო პოზიციების შეძლებისდაგვარად დაბალ საფეხურზე შენარჩუნება და იმის უზრუნველყოფა, რომ ღია სავალუტო პოზიცია ყოველთვის ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. სავალუტო რისკის მართვის მიზნით ჯგუფმა დააწესა ორი დონის კონტროლი: წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები და ლიმიტები. როდესაც ვერ ხერხდება პოზიციების ჩამოყვანა სავალდებულო კაპიტალის 5%-ზე ქვემოთ ერთ

რომელიმე ვალუტაში, ან 7.5%-ზე ქვემოთ ყველა ვალუტაში ერთობლივად, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ბანკის ALCO–ს და პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO–ს სათანადო ზომების მიღებასთან ერთად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ჯგუფის მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია არ გადააჭარბოს საზედამხედველო კაპიტალის 10%–ს. გამონაკლისი ლიმიტებში, ან სტრატეგიულ პოზიციებში უნდა დამტკიცდეს პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO–ს ან ზოგადი რისკის მართვის კომიტეტის მიერ.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციები ზემოხსენებულ ლიმიტებს არ აჭარბებდა.

წლის განმავლობაში გამოყენებული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2017	საშუალო კურსი 2016	საანგარიშო თარიღი მიმდინარე კურსი 31 დეკემბერი 2017	საანგარიშო თარიღი მიმდინარე კურსი 31 დეკემბერი 2016
USD 1	2.5059	2.3667	2.5752	2.6468
EUR 1	2.8292	2.6172	3.0884	2.7940

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ფულადი აქტივების და ვალდებულებების განაწილება ძირითად საოპერაციო ვალუტებზე:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	ევრო	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	ადგილობრივი ვალუტა	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	50,755	155,382	1,257	58,710	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	1,482	678	-	14,010	16,171
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	4,943	4,943
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	65,133	726,792	-	195,412	987,337
სხვა ფინანსური აქტივები	830	194	1	1,015	2,039
ფინანსური აქტივები სულ	**118,200**	**883,047**	**1,257**	**274,089**	**1,276,593**
ღია ფორვარდული პოზიცია (აქტივები)	**33,528**	**-**	**-**	**-**	**-**
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	3	7,196	156	-	7,355
კლიენტთა ანგარიშები	95,599	385,912	1,117	146,430	629,059
სხვა ნასესხები სახსრები	58,488	394,743	-	-	453,231
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,294	14	-	965	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	64,967	-	-	64,967
სულ ფინანსური ვალდებულებები	**155,385**	**852,832**	**1,273**	**147,395**	**1,156,885**
ღია ფორვარდული პოზიცია (ვალდებულებები)	**-**	**36,955**	**-**	**-**	**-**
წმინდა პოზიცია	**(124)**	**(6,740)**	**(15)**	**126,693**	**119,814**
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	5,199	17,576	-	20,668	**43,443**
სესხის გაცემის ვალდებულებები	7,248	14,031	-	11,543	**32,823**

25. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი 2015 წლის 31 დეკემბერი	ევრო	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	ადგილობრივი ვალუტა	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,850	267,096	2,425	84,107	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	2,179	691	-	35,163	38,033
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	16,809	16,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	27,439	699,835	-	128,951	856,225
სხვა ფინანსური აქტივები	961	694	-	4,014	5,669
ფინანსური აქტივები სულ	**64,429**	**968,316**	**2,425**	**269,044**	**1,304,214**
ღია ფორვარდული პოზიცია (აქტივები)	**33,528**	**-**	**-**	**-**	**-**
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	-	2,703	-	154	2,857
კლიენტთა ანგარიშები	93,007	482,660	2,243	154,665	732,575
სხვა ნასესხები სახსრები	2,809	384,803	-	-	387,612
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,266	16	-	1,240	3,522
სუბორდინირებული ვალი	-	66,752	-	-	66,752
ფინანსური ვალდებულებები სულ	**98,082**	**936,934**	**2,243**	**156,059**	**1,193,318**
ღია ფორვარდული პოზიცია (ვალდებულებები)	**-**	**33,353**	**-**	**-**	**-**
წმინდა პოზიცია	**(125)**	**(1,971)**	**182**	**112,985**	**111,071**
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	3,459	19,323	-	10,349	**33,131**
სესხის გაცემის ვალდებულებები	7,109	30,294	-	10,744	**48,147**

ვალუტის კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული მაქსიმალური სავარაუდო ზარალის დადგენის მიზნით, ხორციელდება შვიდი წლის სიძველის ისტორიული სავალუტო ცვლილებების ანალიზი და ყველაზე მკვეთრი სხვაობა (99% და 95%–იანი სანდოობის დონით - ერთწლიანი ფლობის პერიოდი) მიმდინარე სავალუტო პოზიციების მიმართ გამოიყენება:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	95% სანდოობა	99% სანდოობა
მაქსიმალური დანაკარგი (რისკს დაქვემდებარებული ღირებულება)	(1,799)	(2,048)
საშუალო დანაკარგი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში	(1,276)	(1,395)

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	95% სანდოობა	99% სანდოობა
მაქსიმალური დანაკარგი (რისკს დაქვემდებარებული ღირებულება)	(361)	(413)
საშუალო დანაკარგი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში	(261)	(285)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებების გამო. სესხების საშუალო ვადა ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე კლიენტთა ანაბრების ვადა, რის გამოც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფს ექმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის

რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ჯგუფის მოკლევადიანი სესხების უმრავლესობა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო გრძელვადიანი სესხები მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით გაიცემა.
იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირებისთვის (ჰეჯირებისთვის) განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია მხოლოდ მყარ ვალუტაში, მაგ. ევროსა და აშშ დოლარში, ჯგუფი იძულებულია მკაცრად აკონტროლოს საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს და მართავს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ძირითადი მაჩვენებლით ფასდება პოტენციური გავლენა ყველა აქტივისა და ვალდებულების ეკონომიკურ ღირებულებაზე. ეს მაჩვენებელი გამოიყენება იმ პოტენციური ზარალის გასაანალიზებლად, რასაც ჯგუფი განიცდის აქტივებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთების ძალიან არასახარბიელო მერყეობის (შოკის) შემთხვევაში. ევროსა და აშშ დოლარისთვის დაშვება არის საპროცენტო განაკვეთის მრუდის პარალელური გადაწევა +/- 200 ბპს-ით. ადგილობრივი ვალუტის შემთხვევაში შოკის განმარტება გამომდინარეობს გასული შვიდი წლის განმავლობაში ისტორიული საპროცენტო განაკვეთის მერყეობიდან. არარეალიზებული, სულ 12 თვის საპროცენტო მოგების ზეგავლენა არ უნდა აჭარბებდეს მისი სავალდებულო კაპიტალის 10%-ს ყველა ვალუტაში. ანგარიშგებისთვის განკუთვნილი სავალდებულო ოდენობა არის 5%, რაც გამაფრთხილებელი ნიშნის ფუნქციას ასრულებს ადრეულ ეტაპზევე. ამასთან, რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი უტარდება ყველა აქტივისა და ვალდებულების ეკონომიკურ ღირებულებაზე პოტენციურს გავლენას (ეკონომიკური ღირებულების გავლენა).

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოლიტიკიდან ყოველგვარი გადახვევა და საპროცენტო განაკვეთის ლიმიტების დარღვევა უნდა დამტკიცდეს პროკრედიტ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციას მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი უწევს. ეს მაჩვენებლებიც ეცნობება პროკრედიტ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს.

რისკის გადაფასების თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის რისკის მონიტორინგისა და შეზღუდვის გარდა, ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯების მქონე თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადების შესაბამისობაში მოყვანას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო თანხები საბალანსო ღირებულებით, რომელიც კლასიფიცირდება

სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების, ან ვადის ამოწურვის თარიღის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე დადგება.

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	ერთ თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 -12 თვე	1 -5 წელი	5 წელზე მეტი	უფრო ცენ ტო	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	156,018	15,790	-	-	-	-	94,295	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	16,171	-	-	-	-	-	-	16,171
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	4,760	-	418	5,177
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	49,871	51,385	83,661	180,296	399,778	214,426	7,921	987,337
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	2,039	2,039
ფინანსური აქტივები სულ	**222,060**	**67,175**	**83,661**	**180,296**	**404,538**	**214,426**	**104,672**	**1,276,827**
ვალდებულებები								
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	5,150	-	-	-	-	-	2,204	7,355
კლიენტთა ანგარიშები	234,094	20,428	39,575	67,861	43,097	12,233	211,771	629,059
სხვა ნასესხები სახსრები	33,490	74,819	61,963	34,298	201,138	43,909	3,615	453,231
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	2,273	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	38,628	-	-	-	25,752	587	64,967
სულ ვალდებულებები	**272,734**	**133,875**	**101,538**	**102,159**	**244,235**	**81,893**	**220,450**	**1,156,885**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიარობა	**(50,674)**	**(66,699)**	**(17,877)**	**78,137**	**160,303**	**132,532**		

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	ერთ თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 -1 2 თვე	1 -5 წელი	5 წელზე მეტი	უფრო ცენ ტო	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	172,879	19,404	-	-	-	-	195,195	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	38,033	-	-	-	-	-	-	38,033
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7,964	-	3,901	-	4,760	-	418	17,043
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	22,266	37,374	65,819	156,398	340,711	227,771	5,886	856,225
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	5,669	5,669
ფინანსური აქტივები სულ	**241,143**	**56,778**	**69,720**	**156,398**	**345,471**	**227,771**	**207,167**	**1,304,448**
ვალდებულებები								

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	150	-	-	-	-	-	2,707	2,857
კლიენტთა ანგარიშები	266,894	46,961	55,926	87,940	68,453	18,154	188,246	732,574
სხვა ნასესხები სახსრები	12,212	51,064	71,609	16,707	200,062	32,093	3,866	387,613
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	3,523	3,523
სუბორდინირებული სესხი	-	39,702	-	-	-	26,468	582	66,752
სულ ვალდებულებები	**279,256**	**137,727**	**127,535**	**104,647**	**268,515**	**76,715**	**198,924**	**1,193,319**
წმინდა საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარობა	**(38,113)**	**(80,949)**	**(57,815)**	**51,751**	**76,956**	**151,056**		

რაოდენობითი თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები ამჟამად შეზღუდულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი (ეკონომიკურ ღირებულებაზე ზეგავლენა მიმდინარე ღირებულებით), რომელიც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთის შოკით +/- 200 ბპს ევროში/აშშ დოლარში და ყველაზე უარესი ისტორიული სცენარით ადგილობრივ ვალუტაში, არ უნდა აღემატებოდეს სავალდებულო კაპიტალის 15%-ს ყველა ვალუტაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ამ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. კუმულაციური საპროცენტო მოგების ეფექტი 12 თვის განმავლობაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

	ზეგავლენა მოგება–ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)			
	სავარაუდო უარყოფითი შემთხვევის სცენარი		სტრესის სცენარი	
	2%	-2%	5%	-5%
აშშ დოლარი	- 1,233	1,233	- 3,084	3,084
ევრო	405	- 405	1,012	- 1,012
ლარი	2,038	- 2,038	5,096	- 5,096
	3,676	**3,676**	**9,191**	**9,191**

კუმულაციური საპროცენტო მოგების ზეგავლენა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

	ზეგავლენა მოგება–ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)			
	სავარაუდო უარყოფითი შემთხვევის სცენარი		სტრესის სცენარი	
	2%	-2%	5%	-5%
აშშ დოლარი	- 1,680	1,680	- 4,199	4,199
ევრო	759	- 759	1,897	- 1,897
ლარი	2,173	- 2,173	5,431	- 5,431
	4,611	**4,611**	**11,527**	**11,527**

ჯგუფი აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს თავის ფინანსური ინსტრუმენტებზე თითოეულ ძირითად ვალუტაში. ქვემოთ ცხრილში მოცემულია საშუალო საპროცენტო განაკვეთები მენეჯმენტის მიერ განხილულ ანგარიშებზე დაყრდნობით:

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერი % წლიური	ევრო	აშშ დოლარი	ადგილობრივი ვალუტა
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6.59
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	6.57	7.51	10.85
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	1.22	3.08	-
კლიენტთა ანგარიშები	0.65	1.80	2.56
სხვა ნასესხები სახსრები	2.50	3.81	-
სუბორდინირებული სესხი	-	5.92	-

2016 წლის 31 დეკემბერი % წლიური	ევრო	აშშ დოლარი	ადგილობრივი ვალუტა
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6.28
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	7.33	8.34	11.33
ფინანსური ვალდებულებები			
კლიენტთა ანგარიშები	1.36	2.39	3.11
სხვა ნასესხები სახსრები	2.50	3.88	-
სუბორდინირებული სესხი	-	5.54	-

ქვეყნის რისკი

ქვეყნის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მოახერხოს გარკვეულ აქტივებზე უფლების განხორციელება უცხოურ ქვეყანაში (ქონების ჩამორთმევის რისკი), ან რისკი იმისა, რომ უცხო ქვეყანაში მოქმედი კონტრაგენტი ვერ მოახერხებს ვალდებულების შესრულებას ამ უცხო ქვეყანაში არსებული კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური რისკების გამო, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს კრედიტზე (გადაცემის და კონვერტირებადობის რისკი). ჯგუფის საქმიანობიდან და ჯგუფის სამოქმედო ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტავს ქვეყნის რისკს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქვეყნისთვის დამახასიათებელმა მნიშვნელოვანმა გარე მაკროეკონომიკურმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ან მარეგულირებელმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ჯგუფის მოგებაზე, კაპიტალსა თუ ლიკვიდურობაზე. კერძოდ, ის მოიცავს ჯგუფის საქმიანობაში მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ინტერვენციის რისკს ნაციონალიზაციის ან ქონების კონფისკაციის ფორმით, ანდა მნიშვნელოვან საბაზრო თუ მარეგულირებელი ორგანოების ინტერვენციას.

ჯგუფის საქმიანობის სტრატეგია არის ადგილობრივ ბაზარზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომ იგი ჩვეულებრივ არ მონაწილეობს საერთაშორისო ტრანზაქციებში და არ იღებს თავის თავზე ქვეყნის რისკებს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსური რისკის მართვისთვის ჯგუფს

შეიძლება დასჭირდეს საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელება, მაგ. მაღალრეიტინგული საერთაშორისო და მულტინაციონალური ორგანიზაციების ობლიგაციებში ჭარბი ლიკვიდურობის დაბანდების მიზნით.

ფართო მნიშვნელობით ქვეყნის რისკის საკითხები განხილულია ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, კონტრაგენტის/ემიტენტის და საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკასა და მეთოდოლოგიებში. საერთაშორისო რისკებს აკონტროლებენ ჯგუფის და პროკრედიტ ჯგუფის რისკების მართვის თანამშრომლები, ჯგუფს ქვეყნის რისკი მხოლოდ შეზღუდულად ემუქრება

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები და ინფორმაციის გამჟღავნების წესები ითვალისწინებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების დადგენას. სამართლიანი ღირებულება დადგენილია შეფასების და ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით. ჯგუფი სამართლიან (რეალურ) ღირებულებას განსაზღვრავს ქვემოთ მოცემული სამართლიანი (რეალური) ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც აღნიშნული შეფასებების ფორმირებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას ასახავს:

- დონე 1: ანალოგიურ ინსტრუმენტზე აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).

- დონე 2: საწყისი მონაცემები პირველი დონისთვის დადგენილი კოტირებული ფასების გარდა, რომელთა დაკვირვება შესაძლებელია პირდაპირ (მაგ., ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ., კოტირებების საფუძველზე მიღებული ფასი). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: აქტიურ ბაზარზე კოტირებული ანალოგიური ინსტრუმენტების ფასები; არააქტიურ ბაზრებზე კოტირებული ანალოგიური ინსტრუმენტების ფასები, ან სხვა შეფასების მეთოდები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს.

- დონე 3: არადაკვირვებადი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდები მოიცავს არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ საწყის პარამეტრებს და არადაკვირვედად საწყის პარამეტრებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება ანალოგიურ ინსტრუმენტებზე კოტირებული ფასების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების თუ დაშვებების გამოყენება ინსტრუმენტებს შორის არსებული სხვაობის ასახვის მიზნით.

ჯგუფის შეფასებით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულების ფინანსური აქტივების, მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულების ფინანსური პასივების და გასაყიდად

არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხვდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეში, შეფასების მოდელების გამოყენების გამო.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. თუმცა გაურკვევლობის და შეფასების სუბიექტურობის გათვალისწინებით, სამართლიანი (რეალური) ღირებულება არ უნდა განიმარტებოდეს როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი აქტივის ან ვალდებულების გადაცემის ღირებულება.

ჯგუფმა სამართლიანი ღირებულება დაადგინა შეფასების მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია სამართლიანი ღირებულების დადგენა, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. გამოყენებული შეფასების მეთოდი დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელზე.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება უდრის მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე არაკოტირებადი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა სავარაუდო ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელთა მიღება ივარაუდება ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების დისკონტირებით, იგივე საკრედიტო რისკით და დარჩენილი ვადით. თუ დაკვირვებადი საბაზრო განაკვეთები არ არის საკმარისი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელისთვის საწყის მონაცემებად გამოიყენება ჰოლდინგის სახაზინო განაკვეთები. ჰოლდინგის სახაზინო განაკვეთები განისაზღვრება კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დამოკიდებულია ვალუტებსა და დაფარვის ვადებზე, რისკის მარჟის ჩათვლით, რომელიც, თავის მხრივ, თითოეული ბანკისთვის დადგენილი შიდა რისკის რეიტინგზეა დამოკიდებული. ეს შიდა განაკვეთები რეგულარულად უნდა შედარდეს მესამე მხარეების გარიგებების ფასებს.

სადაც შესაძლებელია, სესხებისა და ავანსების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო ოპერაციებს. თუ დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები არ არსებობს, სამართლიანი ღირებულება ფასდება ჯგუფის სამართლიანი ღირებულების საკუთარი მოდელის გამოყენებით, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკა. ბანკებისა და კლიენტების ანაბრების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკისა და მსგავსი ვადისა და პირობების ანაბრებზე შეთავაზებული განკვეთების გამოყენებით. მოთხოვნამდე გადახდას დაქვემდებარებული ანაბრების სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც არის საანგარიშგებო თარიღისთვის გადასახდელი თანხა.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების მიმოხილვა ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რაც განისაზღვრება ჯგუფის ბიზნესის შესაბამისად.

'000 ლარი		2017		2016	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 2	140,141	140,141	255,930	255,930
სავალდებულო სარეზერვო ანაბრები სებ-ში	დონე 2	125,962	125,962	131,547	131,547
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	დონე 2	16,171	16,171	38,033	38,033
კლიენტებზე გასაცემი სესხები და ავანსები	დონე 3	987,337	983,815	856,225	860,122
სხვა ფინანსური აქტივები	დონე 3	2,039	2,039	5,669	5,669
ფინანსური აქტივები სულ		**1,271,651**	**1,268,128**	**1,287,406**	**1,291,302**
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	დონე 2	48,639	48,639	2,857	2,857
კლიენტთა ანგარიშები					
მიმდინარე ანგარიშები	დონე 2	205,840	205,840	200,491	200,491
შემნახველი ანგარიშები	დონე 2	220,504	220,504	246,026	246,026
ვადიანი ანგარიშების	დონე 3	198,715	198,683	283,964	286,026
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	დონე 2	4,000	4,000	2,094	2,094
სხვა ნასესხები სახსრები	დონე 3	411,946	400,994	387,612	366,080
სხვა ფინანსური ვალდებულებები	დონე 3	2,273	2,273	3,523	3,523
სუბორდინირებული სესხი	დონე 3	64,967	62,836	66,752	60,723
ფინანსური ვალდებულებები სულ		**1,156,885**	**1,143,768**	**1,193,318**	**1,167,819**

28. პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს კრედიტის გაცემის პირობითი ფინანსური ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულებები ითვალისწინებს საკრედიტო რესურსების გაცემას დამტკიცებული სესხების ან ოვერდრაფტის სახით. ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს თავისი კლიენტების მიერ მესამე მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ფიქსირებული ლიმიტი და მათი ვადა უმეტესწილად ხუთ წლამდე გრძელდება.

საკრედიტო ვალდებულებების, ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გაცემისას ბანკი იყენებს რისკების მართვის იგივე პოლიტიკასა და პროცედურებს, რაც კლიენტებზე კრედიტებისა და ავანსების გაცემის შემთხვევაში.

'000 ლარი **31 დეკემბერი**	**2017**	**2016**
ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივი	11,408	13,321
ვალდებულებების შესრულების გარანტიები	32,035	19,810
სესხის გაცემის ვალდებულებები		
- ერთი წლის ან ნაკლები დაფარვის თავდაპირველი ვადით	22,484	29,921
- ერთი წელზე მეტი დაფარვის თავდაპირველი ვადით	10,338	18,226
სულ	**76,265**	**81,278**

ზემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს პირობითი ვალდებულებებისა და გარანტიების ნომინალურ ძირ თანხებს, ანუ რისკს დაქვემდებარებულ თანხებს, ჯგუფის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულების და კლიენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვალდებულებებისა და გარანტიების მნიშვნელოვან ნაწილს ვადა შეუწყდება მათი ათვისების გარეშე; ამიტომ მთლიანი სახელშეკრულებო თანხები არ წარმოადგენს მომავალი ლიკვიდურობის მოთხოვნებს. თანხისა და გადინების მოცულობის შეფასება არ გამოიყენება. რეზერვები კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და ვალდებულებების შესრულების გარანტიებზე მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

როდესაც ჯგუფი მოიჯარეა, მომავალი მინიმალური იჯარა არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარის პირობებში შემდეგნაირად გადაიხდება:

'000 ლარი	**2017**	**2016**
– არა უგვიანეს ერთი წლისა	453	979
– ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	320	320

სულ	773	1,299

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად ხასიათდება ცვლილებებით კანონმდებლობაში, ნორმატიული დოკუმენტების ოფიციალური კომენტარებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ ზედმეტი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის უფლება, თუ იმ წლის ბოლოდან, როცა დარღვევა მოხდა, გასულია სამი წელი.

აღნიშნული გარემოება საქართველოში იწვევს საგადასახადო რისკს, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, მისი ოფიციალური კომენტარებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების არსებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ორგანო თავის ინტერპრეტაციას წარმატებით გაიტანს.

სასამართლო პროცესები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფის წინააღმდეგ შეიძლება აიძრას სასამართლო საქმე ან სარჩელი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმეებისა ან სარჩელებისგან გამომდინარე საბოლოო პასუხისმგებლობა არ მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მისი სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის უშუალო და ერთადერთი დედობილი კომპანიაა ს.ს. პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

მხარეები დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა კავშირის შინაარს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. მენეჯმენტის ძირითადი პერსონალი მოიცავს ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორებსა და მათ ახლო ოჯახის წევრებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი მიმდინარე ნაშთები აქვს:

'000 ლარი	კონტრაქტით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი	2015	2014
აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ			
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	-0.45%-1.35 %	34,569	31,189
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ			
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	0.0%	554	533
კლიენტის ანგარიშები			
- ძირითადი მენეჯმენტი	0.0%-4.5%	309	260
სხვა ნასესხები თანხები			
– დედობილი კომპანია	1.22%-4.7%	170,452	109,944
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	1.22%-4.35%	82,745	58,550
სუბორდინირებული სესხი			
- დედობილი კომპანია	7.9%	26,266	26,985

2016-2015 წლების 31 დეკემბრის მოგება-ზარალის უწყისში შეტანილია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამომდინარე შემდეგი თანხები:

'000 ლარი	2017	2016
საპროცენტო ხარჯი		
– დედობილი კომპანია	7,856	6,167
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,184	1,534
- ძირითადი მენეჯმენტი	-	10
საკომისიო ხარჯი		
– დედობილი კომპანია	-	1,951
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	16	11
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
– დედობილი კომპანია		
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	612	431
- ძირითადი მენეჯმენტი		
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2,107	1,713
– დედობილი კომპანია	2,743	2,758
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	7,856	6,167

ტრანზაქციები, რომლის შედეგად შეიქმნა შემდეგი ნაშთები, განხორციელებულია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და მათზე იგივე პირობები ვრცელდება, რაც მსგავსი ტიპის იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან ან სხვა თანამშრომლებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე. ტრანზაქციები დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ დეფოლტის ჩვეულებრივ რისკთან და არ მოიცავდა სხვა არასასურველ მახასიათებლებს.

JSC ProCredit Bank

International Financial Reporting Standards
Consolidated and Separate Financial Statements and
Independent Auditors' Report
31 December 2017

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181036988
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.08.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82545962265818

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაათ აგვისტოს მე,მამა მოსია ნოტარიუსი ანჟელა მანიას შემცვლელი პირი ქ. თბილისში, სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია ვადასტურებ მოცემული ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა 34.00 ლარი; დღგ 6.12 ლარი – ერთი ეგზემპლარისათვის თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი ნანა მოსია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეტანის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს პროკრედიტ ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 1
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 4

კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაცია და საქმიანობა....5
2. საოპერაციო გარემო....5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება....6
4. დაშვებები და პროგნოზები....26
5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები....26
6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები....28
7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ....29
8. გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები....29
9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები....30
10. საინვესტიციო საკუთრება....35
11. არამატერიალური აქტივები....35
12. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები....36
13. სხვა აქტივები....37
14. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ....37
15. კლიენტთა ანგარიშები....37
16. სხვა ნასესხები სახსრები....39
17. სხვა ვალდებულებები....40
18. სხვა დებულებები....40
19. მოგების გადასახადი....40
20. სუბორდინირებული ვალი....41
21. სააქციო კაპიტალი და აქციების პრემია....42
22. წმინდა ვალების შეთანხმება....
23. წმინდა საპროცენტო შემოსავალი....42
24. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები....43
25. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები....43
26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა....44
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება....69
28. პირობითი ვალდებულებები....70
29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან....71

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი

	შენიშვნები	კონსოლიდირებული		ცალკე	
		31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	*31 დეკემბერი 2017*	31 დეკემბერი 2016
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და სებ-ში არსებული ნაშთები	6	*140,141*	255,930	140,141	255,930
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში	6	*125,962*	131,547	125,962	131,547
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	*5,177*	17,043	11,277	23,143
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	*16,171*	38,033	16,168	38,032
მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები		*339*	175	339	175
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	*987,337*	856,225	987,337	856,225
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		*1,532*	-	1,571	-
საინვესტიციო ქონება	10	*7,102*	1,697	5,513	-
არამატერიალური აქტივები	11	*1,393*	1,676	1,394	1,676
მანქანა-დანადგარები დ მოწყობილობები	12	*63,152*	75,522	63,152	75,522
სხვა აქტივები	13	*10,232*	17,013	6,303	12,861
სულ აქტივები		***1,358,538***	1,394,862	1,359,157	1,395,113
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	14	*48,639*	2,857	48,639	2,857
კლიენტთა ანგარიშები	15	*629,059*	732,575	630,657	752,844
სხვა ნასესხები სახსრები	16	*411,946*	387,612	411,946	387,612
სუბორდინირებული სესხი	20	*64,967*	66,752	64,967	66,752
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	836	-	1,075
სხვა ვალდებულებები	17	*4,309*	3,717	4,155	3,433
სხვა ანარიცხები	18	*577*	477	577	476
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	19	*937*	3,903	937	3,904
სულ ვალდებულებები		***1,160,434***	1,198,729	1,161,880	1,198,952
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	21	*88,915*	88,915	88,915	88,915
საემისიო შემოსავალი	21	*36,388*	36,388	36,388	36,388
გაუნაწილებელი მოგება		*72,801*	70,830	71,974	70,857
სულ კაპიტალი		***198,104***	196,133	197,277	196,160
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		***1,358,538***	1,394,862	1,359,157	1,395,113

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი

	შენიშვნები	კონსოლიდირებული 2017	კონსოლიდირებული 2016	ცალკე 2017	ცალკე 2016
საპროცენტო შემოსავალი	23	84,858	104,532	84,858	104,532
საპროცენტო ხარჯი	23	(32,131)	(36,215)	(32,131)	(36,215)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**52,727**	**68,317**	**52,727**	**68,317**
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	(4,911)	(13,662)	(4,911)	(13,662)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების შემდეგ		**47,816**	**54,655**	**47,816**	**54,655**
საკომისიო შემოსავალი	24	10,204	10,835	10,204	10,835
საკომისიო ხარჯი	24	(5,174)	(4,836)	(5,174)	(4,836)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი		9,520	5,570	9,520	5,570
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		(3,160)	1,265	(3,160)	1,397
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(13,177)	(16,950)	(13,104)	(16,875)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	25	(25,137)	(26,735)	(25,065)	(26,685)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,418	5,881	1,959	9,144
სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,508)	(1,637)	(1,120)	(1,107)
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე		**22,802**	**28,048**	**21,877**	**32,098**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(141)	(3,777)	(69)	(3,543)
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი		**22,661**	**24,271**	**21,808**	**28,555**

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	კონსოლიდირებული				ცალკე			
		სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის		88,915	36,388	46,559	171,862	88,915	36,388	42,302	167,605
სულ სრული შემოსავალი									
წლის მოგება		-	-	24,271	24,271			28,555	28,555
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	24,271	24,271	88,915	36,388	28,555	28,555
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		88,915	36,388	70,830	196,133	88,915	36,388	70,857	196,160
სულ სრული შემოსავალი									
წლის მოგება		-	-	22,661	22,661	-	-	21,808	21,808
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	22,661	22,661	88,915	36,388	21,808	21,808
მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები, აღრიცხული კაპიტალში									
გამოცხადებული დივიდენდები	21	-	-	(20,692)	(20,692)	-	-	(20,692)	(20,692)
სულ ტრანზაქციები მფლობელებთან		-	-	(20,692)	(20,692)	-	-	(20,692)	(20,692)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		88,915	36,388	72,801	198,102	88,915	36,388	71,974	197,277

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

პროკრედიტ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ცალკე ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	კონსოლიდირებული 2017	კონსოლიდირებული 2016	ცალკე 2017	ცალკე 2016
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე		22,802	28,048	21,877	32,098
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	4,911	13,662	5,328	13,662
ცვეთა და ამორტიზაცია		6,123	6,672	6,093	6,658
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		3,160	(1,265)	3,160	(1,265)
სხვა ანარიცხების დარიცხვა (გამოთავისუფლება)		101	38	101	38
მოგება ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან		2,406	(685)	2,406	302
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		(52,727)	(68,317)	(52,727)	(68,317)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		(13,224)	(21,847)	(13,763)	(16,824)
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების გაზრდა/შემცირება არაფულადი მუხლების შემდეგ:					
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		5,097	(25,500)	5,096	(25,500)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(149,841)	101,042	(150,258)	101,042
სხვა აქტივები		6,303	(3,839)	6,080	(4,987)
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		45,783	(2,118)	45,782	(2,118)
მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები		(164)	(222)	(164)	(222)
კლიენტთა ანგარიშები		(98,967)	12,233	(97,638)	7,654
სხვა ვალდებულებები		592	764	722	914
მიღებული პროცენტები		83,305	106,964	83,305	106,964
გადახდილი პროცენტები		(34,822)	(35,403)	(34,821)	(35,403)
გადახდილი მოგების გადასახადი		(5,476)	(2,470)	(5,682)	(1,966)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(161,414)	129,604	(161,339)	129,554
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(971)	(5,511)	(971)	(5,511)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(120)	(1,065)	(8)	-
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი		287	1,114	99	99
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	8	(30,000)	(32,178)	(30,000)	(32,178)
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებით მიღებული შემოსავალი	8	41,866	34,995	41,866	34,995
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		11,062	(2,645)	10,985	(2,595)
გადახდილი დივიდენდები	21	(20,692)	-	(20,692)	-
სხვა ნასესხები სახსრების მიღება		82,618	136,192	82,618	136,192
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(88,034)	(102,422)	(88,034)	(102,422)
ფინანსური საქმიანობის შედეგად გასული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		(26,108)	33,770	(26,108)	33,770
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(176,460)	160,729	(176,461)	160,729
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		293,963	113,686	293,963	113,686
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგები		38,808	19,548	38,808	19,548
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	6	156,311	293,963	156,310	293,963

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2018 წლის 3 მაისს.

დავით გაბელაშვილი /დირექტორი/

ნანა ჩიკვაიძე /მთავარი ბუღალტერი/

1. ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშებს. ბანკი და მისი შვილობილი კომპანია წარმოადგენენ სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მოცემული განმარტების შესაბამისად. მათი რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანაა საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 4 იანვარს, რეგისტრაციის ნომრით: 204851197.

სს პროკრედიტ ბანკი არის განვითარებაზე ორიენტირებული ბანკი, რომელიც სპეციალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. საზედამხედველო მიზნებისთვის, პროკრედიტ ბანკი საქმიანობას აწარმოებს ზოგადი საბანკო ლიცენზიით #233, ხოლო მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 21. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. ბანკი თავის კლიენტებს ემსახურება 4 ფილიალის, 5 სერვის პუნქტის და 12 თვითმომსახურების ზონის საშუალებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, და ზუგდიდში.

ბანკი ერთპიროვნულად ფლობს შვილობილ კომპანიას შპს პროკრედიტ ფროფერთი, რომელიც 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობა უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა და განკარგვაა. კომპანია ამ ქონებას იძენს აუქციონზე ბანკის იმ კლიენტებისგან, რომლებმაც აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულეს.

ბანკის უშუალო და ერთადერთი დედობილი კომპანია არის პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „დამფუძნებელი“). 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ქვემოთ წარმოდგენილი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ დამფუძნებლის მიმოქცევაში გაშვებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჯგუფს არ ჰყოლია მთავარი მაკონტროლებელი მხარე.

	კაპიტალში მონაწილეობის წილის %, 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2017	2016
Zeitinger Invest GmbH	16.8	18.4
KfW - Kreditanstalt für Wiederaufbau	13.2	13.6
DOEN ფონდი	12.5	13.3
IFC - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	10	10.3
TIAA-CREF -მასწავლებელთა დაზღვევის და ანუიტეტის ასოციაცია	8.6	9.9
სხვა	38.9	34.4
სულ	100	100

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები იხილეთ 29-ე შენიშვნაში.

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფი საქმიანობს საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზარზე, რომელსაც განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, თუმცა ხშირად იცვლება და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. სხვა სამართლებრივ და ფინანსურ დაბრკოლებებთან ერთად, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს მენეჯმენტის მიერ საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასებას. მომავალში არსებული ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია თანმიმდევრულად ჯგუფის შემადგენლობაში შესული კომპანიების მიერ, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

შესაბამისობის განცხადება

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აისახება რეალური (სამართლიანი) ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისა. ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) ადგენს რეალური (სამართლიანი) ღირებულების განსაზღვრის იერარქიას, რომელიც ასახავს რეალური (სამართლიანი) ღირებულების დადგენის სხვადასხვა მეთოდის შედარებით სიზუსტეს:

(ა) აქტიური ბაზარი: კოტირებული ფასი (დონე 1)
აქტიურ ბაზრებზე იდენტური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება.

(ბ) შეფასების მეთოდი დაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 2)

აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დადგენილ ფასებზე დაკვირვება, ან არააქტიურ ბაზრებზე იდენტური, ან მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება, ან ისეთი შეფასების მოდელების გამოყენება, სადაც ყველა მნიშვნელოვან რესურსზე შეიძლება დაკვირვება.

(გ) შეფასების მეთოდი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 3)

შეფასების ისეთი მოდელების გამოყენება, სადაც ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელოვანი რესურსი არ არის დაკვირვებადი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი (რეალური) ღირებულების განსაზღვრის საუკეთესო მეთოდი ხელმისაწვდომი არაა, შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის რიგით მეორე საუკეთესო მეთოდის გამოყენება. თუ შესაძლებელია, ჯგუფი სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს კოტირებული საბაზრო ფასების მიხედვით; სხვა შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი დონის არსებული საუკეთესო შეფასების მეთოდი.

ანგარიშგება და შეფასება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე ხდება.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გამოყენებული შეფასების მეთოდები აღნიშნულია მე-3 და 27-ე შენიშვნებში.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საინვესტიციო ობიექტებს. ჯგუფი აკონტროლებს საინვესტიციო ობიექტებს, თუ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავალი საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობის შედეგად და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ასეთ შემოსავალზე საინვესტიციო ობიექტთან მიმართებაში არსებული უფლებამოსილების გამო. კერძოდ, ჯგუფი ახდენს მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებული საინვესტიციო ობიექტების კონსოლიდაციას. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შედის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შესული კომპანიებს შორის არსებული ოპერაციები, ბალანსები და ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებულ ოპერაციებზე არარეალიზებული მოგება. ასევე არ არის შესული არარეალიზებული დანაკარგებიც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გაუფასურების ნიშნები არ არსებობს.

საბაზრო და საკრედიტო რისკის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელსაც ჯგუფი მართავს საბაზრო ან საკრედიტო რისკის წმინდა დონის გათვალისწინებით, ფასდება იმ ფასის მიხედვით, რომელიც მიღებული იქნება წმინდა „გრძელი პოზიციის“ გაყიდვიდან (ან გადახდილი იქნება წმინდა „მოკლე პოზიციის“ გადაცემისას) კონკრეტული რისკის შემთხვევაში. აღნიშნული კორექტირებები, რომლებიც პორტფელის დონეზე ხორციელდება, ნაწილდება ცალკეულ აქტივებსა და ვალდებულებებზე პორტფელში არსებული თითოეული ცალკეული ინსტრუმენტის შესაბამისი რისკის კორექტირების საფუძველზე.

ჯგუფი აღიარებს სამართლიანი ღირებულების იერარქიას შორის გადატანებს იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როცა ცვლილება მოხდა.

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლის საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ფინანსური აქტივი ან ვალდებულება, გამოკლებული ძირი თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და ვადის ბოლოს დასაფარ თანხას შორის არსებული ნებისმიერი სხვაობისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. პრემიები და დისკონტები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯი, შედის დაკავშირებული ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ტრანზაქციის ხარჯი არის ზრდადი ხარჯი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას თუ განკარგვას. ზრდადი ხარჯი ნიშნავს ისეთ ხარჯს, რომელიც არ იქნებოდა გაწეული იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ შედგებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებზე (მათ შორის გასაღების აგენტების სახით მოქმედ თანამშრომლებზე), მრჩევლებზე, ბროკერებსა და დილერებზე გაწეულ ჰონორარსა და სხვა საკომისიოს, მარეგულირებელი ორგანოების და ფასიანი ბირჟების მიერ დაწესებულ გადახდებს, გადარიცხვის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს დავალიანების პრემიას თუ დისკონტს, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ხარჯებს ან მარაგების შენახვის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდს, რათა საბალანსო ღირებულებაზე მივიღოთ მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ნიშნავს განაკვეთს, რომლის საფუძველზე ხორციელდება სამომავლო ფულადი გადახდების ან შემოსულობების (სამომავლო საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე

ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადით ან, თუ საჭიროა, უფრო მოკლე პერიოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებზე ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის პროცენტის გადაფასების მომდევნო თარიღამდე, პრემიის თუ დისკონტის გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს მოცემული ინსტრუმენტისთვის დადგენილი მცოცავი განაკვეთით, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოუკიდებელია საბაზრო განაკვეთებისგან. ასეთი პრემია ან დისკონტი ამორტიზირდება ინსტრუმენტის მთლიანი სავარაუდო ვადით. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს კონტრაგენტების მიერ გადახდილ ან მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები, სესხები და დებიტორული დავალიანება, და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. არ არსებობს „გადახდამდე დაკავებულ" კატეგორიაში შესული აქტივები. მენეჯმენტი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი შეფასების საფუძველზე.

მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამ კატეგორიას გააჩნია ორი ქვეკატეგორია: სავაჭროდ დაკავებული ფინანსური აქტივები (სავაჭრო აქტივები), მათ შორის მფლობელობაში არსებული დერივატივები და თავდაპირველი აღიარებისას მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებით აღიარება შესაძლებელია მოგების ან ზარალის საფუძველზე, როცა ის ცალკე პორტფელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, დოკუმენტურად დასაბუთებული რისკების მართვის სტრატეგიის ან საინვესტიციო სტრატეგიის მიხედვით. ანგარიშგებაში ასახული სამართლიანი (რეალური) ღირებულება ჩვეულებრივ დაკვირვებად საბაზრო ფასებს წარმოადგენს; ჯგუფი ამჯობინებს ისეთ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რომელთათვისაც საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე დაკვირვებადია. სამართლიანი ღირებულება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოითვლება მიმდინარე დაკვირებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე, შეფასების მეთოდის გამოყენებით. გამოყენებული შეფასების მეთოდი წარმოადგენს მითითებას სხვა მსგავსი ინსტრუმენტების მიმდინარე სამართლიან ღირებულებაზე და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზზე დაკვირვებადი საბაზრო პარამეტრების გამოყენებით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გარიგების ხარჯები დანახარჯის სახით აისახება მოგების, ან ზარალის ანგარიშში. შემდგომ ისინი სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში. მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელთან ერთად, ეს ინსტრუმენტები აისახება როგორც „მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან მიღებული წმინდა შედეგი".

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის აღიარება სტანდარტული ტრანზაქციებისთვის ხდება გარიგების დღეს - იმ დღეს, როცა ჯგუფი აქტივს იყიდის ან გაყიდის. მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება უქმდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა ეწურება ან როდესაც ჯგუფი გაასხვისებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან დასადგენი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ჯგუფი უშუალოდ დებიტორზე გასცემს ფულს, საქონელს ან მომსახურებას ისე, რომ მიზნად არ ისახავს დებიტორული დავალიანებით ვაჭრობას.

სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციის ხარჯები; შემდეგ ისინი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ყოველი საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და როდესაც პოტენციური გაუფასურების ნიშნები ჩანს, ჯგუფი აფასებს თავისი სესხებისა და დებიტორული დავალიანებების ღირებულებას. მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება შემცირდეს სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გამო (გაუფასურებულ სესხებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა N9). თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობა შემცირდება, შესაბამისად შემცირდება გაუფასურებისთვის გამოყოფილი რეზერვი და შემცირებული ოდენობა ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების შემცირების მაქსიმალური ზღვარი უდრის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც იარსებებდა შეფასების დღისთვის, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

სესხების აღიარება ხდება მაშინ, როცა მსესხებლებზე ხდება ძირი თანხის (კაპიტალის) წინასწარი გაცემა. ჯგუფი გააუქმებს სესხების და დებიტორული დავალიანების აღიარებას მაშინ, როდესაც (ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა ან ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს ვადა ამოეწურება, ან (ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს მიღებული ფულადი ნაკადების გადაცემის თაობაზე შეთანხმება, ამავდროულად (i) ჯგუფს ასევე გასხვისებული აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც დაუტოვებია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, თუმცა მართვის უფლებაც არ შეუნარჩუნებია.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შედის ის ფინანსური აქტივები, რომელთა დაკავება (ფლობა) განუსაზღვრელი ვადითაა გამიზნული და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროებიდან ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსებსა თუ აქციების ფასებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე.

თავდაპირველი აღიარებისას, გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ბუღალტრულად აღირიცხება რეალური ღირებულებით. შემდგომ პერიოდშიც ისინი სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ვიდრე მათი განსაზღვრა შეუძლებელი არ გახდება. ანგარიშგებაში ასახული სამართლიანი (რეალური) ღირებულება წარმოადგენს ან დაკვირვებად საბაზრო ფასებს ან იმ ღირებულებას, რომელიც ფასდება ამჟამინდელ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდით. გასაყიდად არსებული აქტივების სამართლიან (რეალურ) ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი პირდაპირ ფასდება სხვა მთლიან შემოსავლად უწყისის მუხლში „გასაყიდად არსებული აქტივის გადაფასების რეზერვი", ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე ან მის გაუფასურებამდე. ამასთან, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც ადრე შეტანილი იყო სხვა მთლიან შემოსავალში, ამჯერად ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში, როგორც „გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივიდან მოგება ან ზარალი". ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი და გაცვლითი სავალუტო კურსის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი იმ მონეტარულ აქტივებზე, რომლებიც გადის გასაყიდად არსებულის კატეგორიაში, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. გასაყიდად არსებულ წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია მოგება–ზარალის უწყისის სხვა საოპერაციო შემოსავლების ნაწილში, როდესაც დგინდება კომპანიის უფლება თანხის მიღებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შესყიდვების და გაყიდვების სტანდარტული ტრანზაქციები აღირიცხება გარიგების შესრულების დღეს. ჯგუფი გააუქმებს გასაყიდად არსებული აქტივების აღიარებას მაშინ, როცა (ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს ვადა ამოეწურება, ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს მიღებული ფულადი ნაკადების გადაცემის თაობაზე შეთანხმება, ამავდროულად (i) ჯგუფს ასევე გადაცემული აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც დაუტოვებია საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, თუმცა მართვის უფლებაც არ შეუნარჩუნებია.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფი გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლის საგანია აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძვლებზე, ამას დაემატება ტრანზაქციის ხარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გაცემასთან. ყველა ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა იმ ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საფუძველზე და რომლებიც წარმოიქმნება იმ დროს, როცა სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივის გადაცემა არ შეესაბამება აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს.

ჯგუფი აუქმებს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა ამოეწურება.

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები შედგება მხოლოდ ჰეჯირებისთვის გამოყენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე უარყოფითი სამართლიანი ღირებულებებისგან, მაგრამ არა როგორც ჰეჯირების შეთანხმება, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39-ის თანახმად ჰეჯირების აღრიცხვის პირობებით მიხედვით.

თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ცვლილება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა დაარეგულირონ დაავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ა) ჯგუფის საქმიანობისა (საოპერაციო) და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც არის ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტა. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ბანკის საქმიანობის ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ასახავს ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ კონვერტირდება.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსები

სავალუტო ტრანზაქციების გადაყვანა საქმიანობის ვალუტაში ხდება ტრანზაქციების დღეს მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისა და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლითი კურსის მიხედვით გადაყვანის შედეგად, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული მუხლები გადაიყვანება ანგარიშგების თარიღის დახურვისას არსებული კურსით. მონეტარულ მუხლებზე დადებითი ან უარყოფითი სავალუტო სხვაობა წარმოადგენს სხვაობას საანგარიშო პერიოდის დასაწყისში საქმიანობის ვალუტაში გამოხატულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც პერიოდის განმავლობაში კორექტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და შენატანების გათვალისწინებით) და

უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი (რეალური) ღირებულება განისაზღვრა.

უცხოური ვალუტით დენომინირებული ისტორიული ხარჯით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება თავდაპირველი აღიარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

გადაანგარიშების დროს წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ სხვაობის გარდა, რომელიც წარმოიქმნება გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტების გადაანგარიშებისას, თუკი ეს სხვაობა არ არის გამოწვეული გაუფასურებით, რა შემთხვევაშიც სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული საკურსო ცვლილებები გადადის მოგების ან ზარალის კატეგორიაში.

საანგარიშო პერიოდის სავალუტო კურსი და ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული მოცემული პერიოდის საშუალო სავალუტო კურსი ჩამოთვლილია 26-ე შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ბანკნოტებსა და მონეტებს, შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე ნაშთებს, როცა შესაძლებელია მათი დისკონტირება ეროვნულ ბანკში, ფულადი ბაზრის სხვა მაღალლიკვიდურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება ადვილად იყოს კონვერტირებული გარკვეულ ფულად თანხაში, ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკით, მათ შორის ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე ნაშთებს, მათ შორის სალაროში არსებულ ბანკნოტებსა და მონეტებს და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს, უგირავნო სახაზინო თამასუქებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს და ბანკებისაგან მისაღებ თანხებს. ეროვნულ ბანკში არსებული სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი არ ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტად მის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

კლიენტებსა და ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები

კლიენტებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება ძირითადად გულისხმობს გაცემულ სესხებსა და ავანსებს. ძალიან მოკლევადიანი (ერთდღიანი) და ვადიანი ანაბრების გარდა, ბანკებისგან მისაღები დებიტორული დავალიანების ჯგუფში ასახული თანხები მოიცავს მიმდინარე ანგარიშების ნაშთებსაც.

ბანკებისგან მისაღები ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება, ასევე კლიენტებისგან მისაღები სესხები და დებიტორული დავალიანება შედის კატეგორიაში "სესხები და დებიტორული დავალიანება" და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. პრემიები და დისკონტები, მათ შორის თავდაპირველი სატრანზაქციო დანახარჯები, შედის შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. სესხების გაუფასურების აღიარება ხდება ცალკე სარეზერვო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნით, ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია, ასახულია ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

სესხებისა და ავანსების გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშო თარიღით ამოწმებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი ან სასესხო პორტფელი გაუფასურდა, რაც გავლენას ახდენს ამ ფინანსური აქტივ(ებ)ის სამომავლო ფულად ნაკადებზე, დაუყოვნებლივ ხდება შესაბამისი ზარალის აღიარება. სესხის ზომის გათვალისწინებით, ასეთი ზარალი ან ინდივიდუალურად გამოითვლება თითოეულ სესხზე, ან ერთობლივად ფასდება სასესხო პორტფელზე. სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი არ აღიარებს ზარალს მომავალში მოსალოდნელი მოვლენებიდან.

- <u>ინდივიდუალურად შეფასებული სესხები და ავანსები</u>

სესხები, რომელთა საბალანსო და გარესაბალანსო ნაწილის ჯამი აღემატება 50 000 დოლარის ექვივალენტს ლარში, ითვლება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან სესხებად და მათი გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად, ბანკის მასშტაბით დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთი სესხების შემთხვევაში ფასდება, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი. ის

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კლიენტის მიერ ჯგუფისადმი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს მსესხებლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება, სესხის პირობების დარღვევა, ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის რესტრუქტურიზაცია, რასაც ჯგუფი სხვაგვარად არ განიხილავდა, მათ შორის მსესხებლის გაკოტრების ნიშნები, გირაოს გაუფასურება ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული სხვა დაკვირვებადი მონაცემები, როგორიცაა აქტივების ჯგუფში მსესხებლების გადახდისუნარიანობის უარყოფითი ცვლილება, ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც კორელირდება ჯგუფის შემადგენლობაში არსებულ აქტივებთან მიმართებაში ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

გაუფასურების რეზერვის დადგენისას გათვალისწინებულია კლიენტზე გაცემული საერთო სესხი და უზრუნველყოფის რეალიზებადი ღირებულება.

თუკი არსებობს სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ზარალის ოდენობა ფასდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (სპეციალური გაუფასურება). თუ სესხს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის დასადგენად წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს გამოკლებული უზრუნველყოფის ამოღებისა და გაყიდვის ხარჯები.

- <u>ერთობლივად შეფასებული სესხები და ავანსები</u>

სესხების გაუფასურება ერთობლივად ფასდება ორ შემთხვევაში:

- ცალკე აღებული (ინდივიდუალური) უმნიშვნელო სესხები, რომლებიც გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ავლენს,
- ცალკე აღებული (ინდივიდუალურად) მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო სესხების ჯგუფი, რომელიც არ ავლენს გაუფასურების ნიშნებს, რათა დაიფაროს ყველა დანაკარგი, რაც უკვე გასწია ბანკმა, მაგრამ რომელიც არ იყო აღმოჩენილი სესხების ინდივიდუალურად განხილვისას.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების გაუფასურების შეფასების მიზნით, სესხები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე, ანუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილება გაუფასურების ნიშნად ითვლება. ეს მახასიათებელი მნიშვნელოვანია ასეთი აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, მსგავსი მახასიათებლების მქონე სესხებზე ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო კრედიტების (ერთიანი თანხის გაუფასურება) და ფინანსური აქტივების ჯგუფში გასული არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი სესხების (პორტფელის გაუფასურება) გაუფასურების ერთობლივი შეფასება ეყრდნობა რისკების მსგავსი მახასიათებლების და დაახლოებით მსგავსი რისკის პროფილის მქონე სასესხო პორტფელების დეფოლტის ისტორიული მაჩვენებლის რაოდენობრივ ანალიზს (მიგრაციის ანალიზი). სტატისტიკური მონაცემების ხარისხობრივი ანალიზის შემდეგ, მენეჯმენტმა დააწესა შესაბამისი განაკვეთები პორტფელის გაუფასურების რეზერვისთვის.

იმ ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადები, რომელთა გაუფასურებაც ჯამურად ფასდება, გამოითვლება ამ ჯგუფში შემავალ აქტივებზე საკონტრაქტო ფულადი ნაკადებისა და ამ ჯგუფში შემავალი აქტივების ანალოგიური საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე აქტივებზე ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული ზარალის გამოცდილება კორექტირდება არსებული დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს იმ მიმდინარე პირობების გავლენა, რომელიც არ იყო გათვალისწინებული იმ პერიოდში, რომელზეც დაფუძნებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება, და გამოირიცხოს ისტორიული პერიოდის ეფექტი, რომელიც მიმდინარე პერიოდში არ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და დაშვებები რეგულარულად გადაისინჯება ჯგუფის მიერ, რათა შეამციროს ნებისმიერი სხვაობა პროგნოზირებულ და რეალურ ზარალს შორის.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღდგება სარეზერვო ანგარიშის კორექტირების მეშვეობით. აღდგენილი თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

როცა სესხი ჩამოიწერება შიდა პოლიტიკის მიხედვით, ის ჩამოიწერება სესხზე შესაძლო დანაკარგებისთვის გამოყოფილი შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. ასეთი სესხები ჩამოიწერება მას

შემდეგ, რაც შესრულდება ყველა აუცილებელი პროცედურა და განისაზღვრება დანაკარგის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს სესხზე შესაძლო დანაკარგისთვის გამოყოფილი რეზერვის ოდენობას მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული სესხები

რესტრუქტურიზებული სესხები, რომლებიც გაუფასურების ნიშნებს ავლებენ, ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება და მათი გაუფასურება ცალ–ცალკე ფასდება. დანაკარგის ოდენობა ფასდება, როგორც განსხვავება რესტრუქტურიზებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (სპეციალური გაუფასურება). ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული რესტრუქტურიზებული სესხების გაუფასურება ჯამურად ფასდება.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფის მიერ ვადაგადაცილებული სესხების ამოსაღებად მოპოვებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივს. ჯგუფი აღიარებს დასაკუთრებულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა მას ექნება სრული და საბოლოო უფლება უზრუნველყოფის რეალიზაციაზე და მისი რეალიზაციიდან მიღებული ზედმეტი თანხის დაკავებაზე.

თავდაპირველი აღიარებისას დასაკუთრებული აქტივები ფასდება საბალანსო ღირებულების და სამართლიანი ღირებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აისახება შენობა-ნაგებობების, სხვა ფინანსური აქტივების და სასაქონლო მატერიალური მარაგების კატეგორიაში სხვა აქტივების შემადგენლობაში, რაც დამოკიდებულია აღნიშნული აქტივების მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიებისთვის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

დასაკუთრებული აქტივების საბალანსო ღირებულება ფასდება ვადაგადაცილებული სესხის ღირებულების საფუძველზე, უზრუნველყოფის რეალიზაციის პროცესში გაწეული ხარჯების ჩათვლით. სამართლიანი ღირებულება, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, წარმოადგენს უზრუნველყოფის სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შესაბამისი სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული აქტივების კატეგორიაში გასული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღით ჯგუფი ამოწმებს, არსებობს თუ არა გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები, იგივე გაუფასურების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის გამოიყენება.

საკუთარ კაპიტალში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც გასაყიდად არსებულის კატეგორიაში გადის, აქტივების გაუფასურების დადგენისას მხედველობაში მიიღება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი (რეალური) ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება მისი შეძენის ღირებულებაზე ქვემოთ. მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი წილობრივ ინსტრუმენტზე მომავალში აღარ აღდგება მოგების ან ზარალის საფუძველზე. თუ მომდევნო პერიოდში გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შეტანილი სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ეს ზრდა ობიექტურად იქნება დაკავშირებული მოგებაში, ან ზარალში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აღდგება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული, ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ ინვესტიციების გაუფასურების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ან უარს ამბობს ამ ვალდებულებების შესრულებაზე.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

ყველა ქონება და აღჭურვილობა მოცემულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ამ აქტივის შეძენას. აქტივის შემადგენელი ნაწილების ცალკე აღიარება ხდება მაშინ, თუ მათ სხვადასხვაგვარი გამოსადეგობის პერიოდი აქვთ და სხვადასხვა ფორმით მოაქვთ სარგებელი საწარმოსთვის.

შემდგომი ხარჯები ან შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების შეფასება საიმედოდ ზუსტია. ყველა სხვა შეკეთების/გამართვის და მოვლის ხარჯები აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როცა მოხდა ამ ხარჯების გაწევა.

მიწა და მშენებარე ობიექტები ცვეთას არ ექვემდებარება. აქტივების სხვა ძირითადი კატეგორიების ცვეთა გამოითვლება ცვეთის თანაბრად დარიცხვის მეთოდით, რითაც მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებამდე მათი სავარაუდო საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირად:

- შენობები 2-3%
- ავეჯი და მოწყობილობა 20-25%
- კომპ. და სხვა მოწყობილობა 20-25%

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ექსპლუატაციის პერიოდი გადაისინჯება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველი ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით.

გასხვისების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულების შედარებით და აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული აქტივები

არამიმდინარე აქტივები, რომელთა ამოღება უფრო მეტად მოსალოდნელია რეალიზაციის, ვიდრე ექსპლუატაციის შედეგად, გასაყიდად არსებული აქტივების კატეგორიას მიეკუთვნება. გასაყიდად არსებული აქტივების სახით კლასიფიკაციამდე, აქტივები გადაფასდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისად. შესაბამისად, აქტივების გადაფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულების და სამართლიანი ღირებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მიხედვით, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის გაზრდის მიზნით, მათ შორის ქონება, რომლის სამომავლო დანიშნულება ჯერჯერობით დაუდგენელია. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილობრივად ჩანაცვლების ღირებულებას აღნიშნული ხარჯის გაწევის მომენტში, მათი აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, და არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისების ან ექსპლუატაციიდან საბოლოდ ამოღების დროს, როცა არ არის მოსალოდნელი მისი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან გასვლასა თუ გასხვისებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში ექსპლუატაციიდან გასვლის ან გასხვისების წელს.

საინვესტიციო ქონებაში გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება არ არის დაკავებული მისი მფლობელის მიერ ან გადაცემულია მეორე მხარისთვის ლიზინგის უფლებით. საინვესტიციო ქონებიდან გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება დაკავებულია მისი მფლობელის მიერ ან დაწყებულია მისი კეთილმოწყობა გაყიდვის მიზნით.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამის შეძენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ამორტიზაცია თანაბარზომიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. პროგრამის ექსპლუატაციის სავარაუდო ვადა ხუთი-რვა წელია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ყოველი საანგარიშო თარიღით. არაფინანსური აქტივების აღდგენითი ღირებულება მათი გაყიდვის ხარჯების გამოქვითვის შემდგომ სამართლიან ღირებულებასა და ექსპლუატაციის ღირებულებას შორის უფრო მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ექსპლუატაციის ღირებულების შეფასებისას, სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადის გაქვითვამდე არსებული დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს. იმ აქტივისთვის, რომელიც დამოუკიდებლად არ წარმოშობს ფულად ნაკადებს, აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულისთვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული აქტივი. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადების რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის თანახმად დაბეგვრა განხორციელდება არა დასაბეგრი მოგების მიღების დროს, არამედ მისი განაწილების დროს. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრით დაწყებულ საგადასახადო პერიოდზე ფინანსური დაწესებულებების (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) გარდა ყველა ორგანიზაციის მიმართ, რის გამოც კანონი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარს.

კორპორატიული საშემოსავლო დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი დაწესდება არა მოგების მიღების დროს, არამედ მოგების განაწილების დროს, ე.ი. მთავარი დასაბეგრი ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, განაწილებული მოგება ნიშნავს აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება ასევე ზოგიერთი სხვა ოპერაციაც, მაგალითად, არა-გაშლილი მკლავის პრინციპით უცხოეთში განხორციელებული ტრანზაქციები, სადაც დაკავშირებული მხარეები ან/და პირები გადასახადებისგან გათავისუფლებულები არიან, ითვლება განაწილებულ მოგებად, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, დასაბეგრი ობიექტი მოიცავს ისეთ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომელიც არ უკავშირდება ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და გადაცილებული ლიმიტის წარმომადგენლობით ხარჯებს.

გადახდილი გადასახადის ანაზღაურება შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის შემთხვევაში, თუ ეს მოგება განაწილდება 2019 წელს ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებული კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ითვლება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, გადახდის ფაქტობრივი თარიღის მიუხედავად, ან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, გათვალისწინებულია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და დასაბეგრ თანხებს შორის დროებითი განსხვავებებისთვის. დროებითი განსხვავებები არ ითვალისწინებს შემდეგს: „გუდვილი", რომელიც არ იქვითება საგადასახადო მიზნებისთვის; აქტივების ან პასივების

თავდაპირველი აღიარება, რაც გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე; ასევე შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და ასოცირებულ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებები, რომელშიც სათავო კომპანიას შეუძლია აკონტროლოს დროებითი განსხვავების შეცვლის ვადები და სავარაუდოა, რომ დროებითი განსხვავება არ შეიცვლება ახლო მომავალში. გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება 2019 წლის 1 იანვრამდე აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი სახით რეალიზაციას ან ანგარიშსწორებას, ანგარიშსწორების დროს მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მომავალში დასაბეგრი მოგების 2019 წლის 1 იანვრამდე მიღების ალბათობა, რომელზეც შეიძლება დროებითი განსხვავებების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და სუბსიდიების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველი ანგარიშგების დროს და მცირდება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზების ალბათობა.

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის 2019 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დროიდან აღარ იარსებებს გადავადებული გადასახადის აქტივები და პასივები.

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული ტრანზაქციაზე გაწეული ხარჯები. შემდგომში ნასესხები თანხები მოცემულია ამორტიზირებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება შემოსავლებსა (გამოკლებული ტრანზაქციის ხარჯები) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში სესხის ვადის/პერიოდის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ამოიწურება, ანუ როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა გაუვა.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება, თუ

- ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება;

- არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად;
- შესაძლებელია თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა.

თუ არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, იმის ალბათობა, რომ მის შესასრულებლად საჭირო გახდება სახსრების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების მთლიანი კატეგორიის გათვალისწინებით.

რეზერვები, რომელთათვისაც სახსრების გადინების დრო ცნობილია, ფასდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, თუ გადინება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში არ მოხდება. ვალდებულების მიმდინარე ღირებულების ზრდა დროის გასვლის გამო აისახება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

საკრედიტო ვალდებულებები

თავისი მიმდინარე საქმიანობის პროცესში ჯგუფი სხვადასხვა საკრედიტო ვალდებულებებს კისრულობს, როგორიცაა აუთვისებელი საკრედიტო ხაზები, აკრედიტივები და ვალდებულებების შესრულების გარანტიები, მათ შორის საკრედიტო დაზღვევის სხვა ფორმები. ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის ისეთი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჯგუფმა გარანტიის მფლობელს უნდა გადაუხადოს გარკვეული თანხა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მან განიცადა რომელიმე დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად დროულად გადახდის ვალდებულების ვერშესრულების გამო. ფინანსური გარანტიის ვალდებულება თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, შესაბამისი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით, ხოლო შემდგომ ფასდება თავდაპირველად აღიარებული თანხის, დარიცხული ცვეთის გამოკლებით, ან გარანტიაზე შესაძლო დანაკარგის რეზერვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიხედვით. ფინანსურ გარანტიებსა და სხვა საკრედიტო ვალდებულებებზე შესაძლო დანაკარგის რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა არსებობს ასეთი დანაკარგის დადგომის დიდი ალბათობა და მისი ოდენობა შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. ეს პროგნოზები განისაზღვრება მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, რომლებიც ეყრდნობა ანალოგიური ტრანზაქციებიდან მიღებულ გამოცდილებასა და წარსულში განცდილი დანაკარგების სტატისტიკას.

კონტრაქტის საფუძველზე ჯგუფი უფლებამოსილია ამოიღოს კლიენტისგან ფინანსური გარანტიის კონტრაქტით გადახდილი თანხა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება სესხების და დებიტორული დავალიანების სახით. გარანტიებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ნებისმიერი ზრდა ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში "სხვა საოპერაციო ხარჯების" სახელწოდებით.

სესხის გაცემის ვალდებულებები არ ექვემდებარება აღიარებას შემდეგი შემთხვევების გარდა:

- სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც ბანკის მიერ ასახულია მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით, აღიარებული ფინანსური ვალდებულებების სახით;
- თუ ბანკს აქვს წარსულში აქტივების გაყიდვის გამოცდილება, რომელიც გამომდინარეობს სესხის გაცემის ვალდებულებებისგან მათი წარმოქმნისთანავე, იგივე კლასის სესხის გაცემის ვალდებულებები ტარდება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები;
- სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება დაიფაროს ნაღდი ფულის სახით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის მეშვეობით;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე უფრო ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებები.

სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს აქციონერებისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც არ დაიფარება გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მანამდე, სანამ ყველა არასუბორდინირებული კრედიტორი არ დაკმაყოფილდება.

სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ სუბორდინირებული სესხის აღიარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. პრემიები და დისკონტები ჩაითვლება შესაბამისი პერიოდების მოგებაში ან ზარალში "წმინდა საპროცენტო შემოსავლის" სახელწოდებით.

სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარი კაპიტალის კატეგორიას მიეკუთვნება. ზრდადი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციებზე ოფციონების გაცემას, აღიარებულია, როგორც საკუთარი კაპიტალის შემცირება, საგადასახადო შედეგების გამოკლებით. სააქციო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის თანხასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის აღიარებულია საემისიო კაპიტალის სახით.

დივიდენდი

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება როგორც საკუთარი კაპიტალიდან გაცემული თანხები იმ პერიოდში, როდესაც ისინი დამტკიცდა ბანკის აქციონერების მიერ.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი (კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების გამოკლებით) ყველა პროცენტის მომტანი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, გარდა მოგებისა და ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში გასული ინსტრუმენტებისა, აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც "საპროცენტო შემოსავალი და "საპროცენტო ხარჯი" ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როცა ისინი წარმოიშობა.

ნასესხები სახსრები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ისეთი აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც არ ტარდება სამართლიანი (რეალური) ღირებულებით და მოითხოვს მნიშვნელოვან დროს მიზნობრივი ექსპლუატაციისთვის მოსამზადებლად, აღნიშნული აქტივის თვითღირებულების ნაწილს წარმოადგენს. ჯგუფი ახდენს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მოხერხდებოდა, ჯგუფს რომ კაპიტალური დანახარჯები არ გაეწია კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღად ითვლება ის დღე, როდესაც (ა) ჯგუფი გასწევს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს ნასესხებ თანხებზე; და (გ) მიიღებს სათანადო ზომებს, რათა მოამზადოს აქტივი მიზნობრივი ექსპლუატაციისთვის ან გაყიდვისთვის.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც კვალიფიციური აქტივის მიზნობრივი ექსპლუატაციისა თუ გაყიდვის მიზნით განხორციელებული ყველა საქმიანობა დასრულდება. პროცენტი ან სხვა შემოსავალი ინვესტიციიდან არ გამოიქვითება კაპიტალიზაციისათვის არსებული ნასესხები სახსრების თანხის გამოსათვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფი მიიღებს სპეციალურ სესხებს კვალიფიციური აქტივის შეძენის მიზნით და გააჩნია საინვესტიციო შემოსავალი ასეთი სპეციალური სესხებით მიღებული ფულადი სახსრების დროებითი ინვესტიციიდან.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც სესხის საერთო მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად მოიაზრება, მათ შორის შესაბამისი ტრანზაქციის დანახარჯები, აისახება როგორც სამომავლო პერიოდის შემოსავალი და ამორტიზირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების სავარაუდო ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება მოხდება იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც მოხდა სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასების მიზნით. ჩამოწერილ სესხებთან დაკავშირებით მიღებული გადახდების აღიარება არ ხდება წმინდა საპროცენტო შემოსავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

როგორც წესი, საკომისიო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების გათვალისწინებით, რაც ფასდება მომსახურების საერთო მოცულობაში ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების წილის მიხედვით.

გადარიცხვების, ფულადი ტრანზაქციებისა და სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო, რომელიც მიღებულია ძირითადი ტრანზაქციის შესრულებიდან, ანგარიშში აღირიცხება ტრანზაქციის დასრულებისთანავე. ანგარიშის მომსახურების, ინტერნეტ ბანკის და სმს მომსახურების საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების კონტრაქტის საფუძველზე, როგორც წესი, დროის პროპორციულად.

სასესხო ვალდებულების საკომისიო იმ სესხებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება, გადავადებულია (შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. სინდიცირებული სესხების საკომისიო აისახება შემოსავლის სახით, თუ სინდიცირების ოპერაცია დასრულდება და ჯგუფი არ შეინარჩუნებს სასესხო პორტფელის ნაწილს, ან შეინარჩუნებს პაკეტის ნაწილს იგივე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც ტრანზაქციის სხვა მონაწილეები.

4. დაშვებები და პროგნოზები

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასა და ფინანსურ შედეგზე გავლენას ახდენს სააღრიცხვო მეთოდები, დაშვებები, პროგნოზები და მენეჯმენტის მოსაზრება, რაც აუცილებლად უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების შედგენის ეტაპზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულო ყველა დაშვება და პროგნოზი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად მაქსიმალური სიზუსტით გაკეთებულ შეფასებას. პროგნოზები და გადაწყვეტილებები ფასდება უწყვეტად და ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინს სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებით და ითვლება მიზანშეწონილად მოცემულ პირობებში. გარკვეულ მუხლებთან დაკავშირებული საბუღალტრო პოლიტიკა და მენეჯმენტის მოსაზრება განსაკუთრებით კრიტიკულია ჯგუფის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობისთვის, მათი მნიშვნელობის გამო. ეს ეხება სესხებზე შესაძლო დანაკარგებისთვის შექმნილ რეზერვებსაც.

რეალურ ზარალსა და სავარაუდო ზარალის შეფასებას შორის 10%-იანი ზრდა ან კლება გამოიწვევს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებზე დამატებითი ან უფრო დაბალი საკომისიოს დარიცხვას 1,838 ათასი ლარის (2016 წელს: 1,926 ათასი ლარი) ოდენობით.

ბანკი იყენებს სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვის სხვადასხვა განაკვეთებს რესტრუქტურიზებული და არარესტრუქტურიზებული სასესხო პორტფელისთვის. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის ეყრდნობა ინდივიდუალური სესხების დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, ვალდებულებების დაფარვებისა და სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გათვალისწინებით.

ბანკის მასშტაბით რესტრუქტურიზებულ სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვის განაკვეთების დადგენის მიზნით, ბანკმა შეაფასა სასესხო პორტფელის ხარისხი, პროკრედიტ ჯგუფში შემავალი ბანკების ისტორიული ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული მიგრაციის ანალიზი ეყრდნობა 2016 წლამდე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და შესაბამისად ასახავს როგორც საშუალო დანაკარგებს სტაბილური ზრდის და ხელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ასევე საშუალო დანაკარგებს გლობალური რეცესიის პერიოდში, პროკრედიტ ჯგუფში შემავალი თითქმის ყველა ბანკის საქმიანობის ქვეყანაში. შესაბამისად, მენეჯმენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ზარალის დასაფარავად მიგრაციის ანალიზის შედეგების გამოყენებას 60%-იანი სანდოობის დონით. არარესტრუქტურიზებული სესხების პორტფელისთვის ბანკმა განსაზღვრა სესხებზე შესაძლო დანაკარგებზე ერთობლივი რეზერვები ისე, რომ მიგრაციის ანალიზი დაეყრდნოს ბანკის, და არა პროკრედიტ ჯგუფის ყველა წევრის, ისტორიული ზარალის გამოცდილებას. ბანკი მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა უფრო მისაღებია, რადგან ასახავს ბანკის კონკრეტული ისტორიული ზარალის გამოცდილებას.

დამატებითი ინფორმაცია სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებთან დაკავშირებით ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ მოცემულია მე-3 და 26-ე შენიშვნაში.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები

ა) ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

მიღებული საბუღალტრო პოლიტიკა შეესაბამება წინა ფინანსური წლის საბუღალტრო პოლიტიკას. არცერთი ახალი ან შესწორებული სტანდარტის ან ინტერპრეტაციის დანერგვამ გამოიწვია ცვლილება საბუღალტრო პოლიტიკაში. ახალი მონაცემები შეტანილია 22-ე შენიშვნაში, ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში - შესწორებები ბასს 7-ში (გამოცემულია 2016 წლის 29 იანვარს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებში).

ბ) სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიურ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები *(შესწორებულია 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიურ პერიოდებში).* ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ სამ კატეგორიად: ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული მოგებაში ან ზარალში (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ეფუძნება ფინანსური აქტივების მართვისთვის გამოყენებულ საწარმოს ბიზნესმოდელს და იმას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას (SPPI). თუ საწარმო სავალო ინსტრუმენტს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობს, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, მხოლოდ უნდა აკმაყოფილებდეს SPPI მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტი შეფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ საწარმო სავალო ინსტრუმენტს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და სავალო ინსტრუმენტის გაყიდვის მიზნით. ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ იგი არ შეიცავს ფულად ნაკადებს და აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნას (მაგ.: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები). ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღარ გამოიყოფა ფინანსური აქტივებიდან, მაგრამ შევა SPPI მდგომარეობის შეფასებაში.
- ინვესტიციები კაპიტალში ყოველთვის აღირიცხება რეალური ღირებულებით. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია უპირობოდ გადაწყვიტოს რეალურ ღირებულებაში ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა, თუ ინსტრუმენტს არ ფლობს ვაჭრობის მიზნებისთვის. თუ წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტი ვაჭრობის მიზნებისთვის არის გათვალისწინებული, რეალურ ღირებულებაში ცვლილებები უნდა აისახოს მოგება-ზარალის უწყისში.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული ბასს 39–ის მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად გადავიდა ფასს 9–ში. ძირითადი ცვლილება ის არის, რომ სუბიექტი ვალდებულია რეალური ღირებულებით განსაზღვრული საკუთარი ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგები ასახოს სხვა საერთო მოგებაში მოგების ან ზარალის საშუალებით.
- ფასს 9 სტანდარტს შემოაქვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" (ECL) მოდელი. არსებობს „სამ საფეხურიანი" მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის კრედიტუნარიანობის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. პრაქტიკაში, ახალი წესები იმას ნიშნავს, რომ სუბიექტებმა უშუალო ზარალი,

რომელიც 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლია, უნდა აღრიცხონ იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველ აღიარებაში, რომელთა კრედიტუნარიანობა გაუფასურებული არ არის (ან დებიტორული დავალიანების მოქმედების ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში). თუ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, გაუფასურება შეფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით, მოქმედების ვადის და არა 12-თვიანი ECL-ს მიხედვით. მოდელი ითვალისწინებს იჯარის და სავაჭრო დებიტორული დავალიანების ოპერაციულ გამარტივებას.

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შესწორდა, აღრიცხვის და რისკების მართვის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სტანდარტი ითვალისწინებს, რომ სუბიექტებს, რომლებსაც შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ, ჰეჯირების აღრიცხვისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ფასს 9-ის სააღრიცხვო მოთხოვნები ან გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება, რადგან ამჟამად სტანდარტი არ ითვალისწინებს მაკროჰეჯირების საკითხების დარეგულირებას.

2017 წელს, ჰოლდინგის მენეჯმენტმა დაიქირავა საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული მომსახურებების ფირმა, რომელიც მას დახმარებას გაუწევს ფასს 9-ის განხორციელებაში, მათ შორის შესაბამისი სისტემების, პროცესებისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავებაში. ჯგუფი ეყრდნობა ჰოლდინგის დონეზე შემუშავებულ ერთგვაროვან პოლიტიკასა და მოდელებს. ამჟამად, ჯგუფი ასრულებს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ დღეს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, რათა შეაფასოს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე სავარაუდო გავლენა ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედების შემდეგ.

ახალი სტანდარტი სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ფინანსური აქტივების შეფასებაზე, მათ შორის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ზრდაზე და ფინანსურ ვალდებულებებზე. ახალი სტანდარტი ასევე ნერგავს ინფორმაციის გამჟღავნების გაზრდილ მოთხოვნებსა და ინფორმაციის მიწოდებაში ცვლილებების შეტანას. ეს სავარაუდოდ შეცვლის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ჯგუფის საჯარო ინფორმაციის ბუნებასა და მოცულობას, განსაკუთრებით, ახალი სტანდარტის მიღების წელს.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტარქტებიდან (გამოქვეყნდა 2014 წლის 28 მაისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი უნდა აღიაროს პროდუქტისა თუ მომსახურების კლიენტისთვის გარიგების ფასად გადაცემის დროს. ნებისმიერი კომპლექსური (შეფუთული) პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც განსხვავებულია, ექვემდებარება ცალკ-ცალკე აღიარებას, და საკონტრაქტო ღირებულებაზე ნებისმიერი ფასდაკლება ან დათმობა უნდა გამოიყოს ცალკე ელემენტებად. როდესაც ანაზღაურება იცვლება ნებისმიერი მიზეზით, საჭიროა მინიმალური თანხების აღიარება, თუ ეს თანხები ანულირების მნიშვნელოვან რისკს არ ატარებს. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები

ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტიდან სარგებელი გამოიყენებოდა. ამ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - ლიზინგი (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. დასაწყისში ყველა იჯარა მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხდება ხანგრძლივი პერიოდით, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას, ბასს 17-ის შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საშემოსავლო დეკლარაციაში საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს. ამ ეტაპზე, ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-მა ჩაანაცვლა ფასს 4, რომელიც ნებას რთავს კომპანიებს სადაზღვევო ხელშეკრულებები აღრიცხონ არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის შედარებით რთული იყო სხვა მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შედარებისა და განსხვავების უზრუნველყოფა. ფასს 17 არის ერთიან პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი, რომლის მიხედვით აღირიცხება ყველა სადაზღვევო ხელშეკრულება, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებები. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებათა ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც აერთიანებს ყველა შესაძლო ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ ისე, რომ შეესაბამებოდეს დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციას; პლუს (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) იმ თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებათა ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი) გამოუმუშავებელ მოგებას. სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ სადაზღვევო დაფარვის პერიოდში და მას შემდეგ, რაც რისკისგან გათავისუფლდებიან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ზარალის მომტანი არის ან გახდება, სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ინტერპრეტაცია განმარტავს თუ როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის (ბასს 21) გამოყენებისას. ინტერპრეტაცია ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სუბიექტი ავანსად იხდის ან იღებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სახელშეკრულებო ფასს. ინტერპრეტაციის მიხედვით, ოპერაციის თარიღი არის ის თარიღი, როდესაც სუბიექტი თავდაპირველად აღიარებს ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ავანსის მრავალჯერადად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია სუბიექტს ავალდებულებს განსაზღვროს ოპერაციის თარიღი ავანსის გადახდის ან მიღების თითოეულ შემთხვევში. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან მიმართებაში (გამოქვეყნდა 2017 წლის 7 ივნისს და ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12 განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები და არა იმას, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ გამოიყენება ბასს 12-ში გათვალისწინებული აღიარების და შეფასების მოთხოვნები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გაურკვეველი რეჟიმის შემთხვევაში. სუბიექტმა უნდა განსაზღვროს, თითოეულ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს ცალკე თუ ერთ ან რამდენიმე სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად განიხილავს, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე. სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს და მიიღებს ყველა იმ დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის შესწავლის და მიღების უფლებაც აქვს. თუ სუბიექტი გადაწყვეტს, რომ საგადასახადო ორგანო გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს არ მიიღებს, გაურკვევლობის შედეგი უნდა აისახოს დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე სავარაუდო ღირებულების ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სუბიექტის აზრით რომელი მეთოდი უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე. სუბიექტი ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებებს ან იმ ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ შეფასებებზე ან გადაწყვეტილებებზე, ასახავს საბუღალტრო აღრიცხვაში ცვლილებების სახით. ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილების ან ახალი ინფორმაციის მაგალითები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილებებისა ან შეფასებების გადაფასება, მოიცავს (და არა მხოლოდ) საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებულ მოკვლევას ან ქმედებებს, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ცვლილებებს ან საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეჟიმის შესწავლის ან ხელახალი შესწავლის უფლების ვადის ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის ან წინააღმდეგობის არარსებობა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩაითვალოს ფაქტებსა და გარემოებებში ან იმ ახალ

ინფორმაციაში ცვლილებად, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილი ახალი განცხადებების მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე:

- ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ამოქმედდება საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭო (IASB) მიერ განსაზღვრული ვადის დაწყებიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 15-ში, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 აპრილს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 2-ში, აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში, სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა - ცვლილებები ბასს 40-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები

ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები შემდეგ მუხლებს მოიცავს:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული სალაროში	49,798	70,626
სებ-ში არსებული ნაშთები სავალდებულო რეზერვების გარდა	11,579	10,749
სებ-ის დეპოზიტების სერტიფიკატი	22,785	38,435
ნოსტრო ანგარიშები სებ-ში გახსნილი ანგარიშების გარდა	55,980	136,120
სულ ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**140,141**	**255,930**

ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. 2017 წელს, Fitch Ratings-მა დაადასტურა საქართველოს მთავრობის მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი "B" და გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი "BB-" დადებითი პროგნოზით (2016 წელს - მოკლევადიანი "B" და გრძელვადიანი "BB-").

ქვემოთ ჩამოთვლილი ფულადი სახსრების ეკვივალენტები მიიჩნევა ნაღდ ფულად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები	140,141	255,930
სხვა ბანკებისგან მისაღები თანხები სამ თვემდე დაფარვის ვადით (შენიშვნა 7)	16,171	38,033
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	**156,312**	**293,963**

საქართველოს ბანკში არსებული ზემოაღნიშნული ნაშთი გამორიცხავს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არის სებ-ის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად გაანგარიშებული უპროცენტო დეპოზიტი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების მიახლოებული (სავარაუდო) რეალური ღირებულება მოცემულია 27-ე შენიშვნაში, ხოლო ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი - 26-ე შენიშვნაში.

7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ OECD* ქვეყნებში	446	607
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ არა OECD ქვეყნებში	15,724	37,426
სულ მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	**16,171**	**38,033**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგები Fitch Ratings–ის შეფასების მიხედვით:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	AA	A	BBB	<BBB	ურეიტინგო	სულ
31 დეკემბერი 2017	446	-	-	15,724	-	16,171
31 დეკემბერი 2016	607	-	-	37,426	-	38,033

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა ერთი დაკავშირებული მხარე ბანკი, რომლის ნაშთი 34,492 ათას ლარს შეადგენს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის არცერთი კონტრაგენტი ბანკის ნაშთი აღემატება საკუთარი კაპიტალის 10%-ს. სხვა ბანკებიდან მისაღები თანხების თითოეული კლასის მიახლოებითი (სავარაუდო) რეალური ღირებულება მოცემულია 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი განხილულია 26-ე შენიშვნაში. დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

* ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

8. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არის განსაზღვრული როგორც მოგების ან ზარალის საფუძველზე რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, მიეკუთვნება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების კატეგორიას.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	4,943	16,809
ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში		
აქციები OECD ქვეყნებში მდებარე კომპანიებში	35	35
აქციები არა-OECD ქვეყნებში მდებარე კომპანიებში	199	199
სულ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში	234	234
სულ გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,177	17,043

კომპანიებში არსებული წილი მოიცავს:

'000 ლარი	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2017	საკუთრების წილი	31 დეკემბერი, 2016
ს/ს კრედიტინფო, საქართველო	16.63%	95	16.63%	95
ს/ს საქართველოს გაერთიანებული კლირინგ ცენტრი	6.25%	54	6.25%	54
ს/ს ამერიკული აკადემია თბილისში	4.85%	50	4.85%	50
S.W.I.F.T.SCRL	0.01%	35	0.01%	35
სულ		234		234

სააქციო კაპიტალში ინვესტიციები ხორციელდება 234 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 234 ათასი). დაფინანსებულ კომპანიებს არ გამოუქვეყნებიათ უახლესი ფინანსური ინფორმაცია თავისი ოპერაციების შესახებ, მათი წილი არ არის კოტირებული და უახლესი სავაჭრო ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მენეჯმენტს არ შეუძლია სარწმუნოდ შეაფასოს წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება.

ცვლილებები გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში:

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	16,809	234	17,043
შესყიდვები დისკონტების გამოკლებით	29,799	-	30,000
დარიცხული პროცენტი	466	-	579
გადახდილი პროცენტი	(466)	-	(579)
გაყიდვები დისკონტების გამოკლებით	(41,665)	-	(41,866)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	4,943	234	5,177

'000 ლარი	საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	აქციები	სულ
ბალანსი 2016 წლის 1 იანვრისთვის	19,753	234	19,987
შესყიდვები დისკონტების გამოკლებით	32,178	-	32,178
დარიცხული პროცენტი	741	-	741
გადახდილი პროცენტი	(868)	-	(868)
გაყიდვები დისკონტების გამოკლებით	(34,995)	-	(34,995)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	16,809	234	17,043

გასაყიდად არსებული არც ერთი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

გამოქვეყნებული რეალური ღირებულებები აქტიურ ბაზარზე მოქმედი დაკვირვებადი საბაზრო ფასებია ან შეფასების ტექნიკით გაანგარიშებული ღირებულებაა, დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით. გამოიყენება შემდეგ დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდი. შეფასებისას გამოყენებული განმსაზღვრელი ფაქტორებია სახელმწიფო ობლიგაციებიდან შემოსავლიანობის მრუდის ცვლადები. გასაყიდად არსებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება მე-2 დონის რეალური ღირებულების იერარქიას ექვემდებარება.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების მოცულობა და დაუფარავი თანხა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი (დაუფარავი სესხების რაოდენობის და სესხის მოცულობის გამოკლებით) 2017 წლის 31 დეკემბერი	მთლიანი თანხა	გაუარესების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელის წილი
საბითუმო და სავაჭრო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	45,113	(1,304)	43,809	4.44%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	156,196	(3,283)	152,914	15.49%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	168,078	(2,059)	166,019	16.81%
საბითუმო და სავაჭრო სესხები სულ	**369,387**	**(6,646)**	**362,741**	**36.74%**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	3,562	(167)	3,395	0.35%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	16,380	(656)	15,724	1.59%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	30,910	(379)	30,532	3.09%
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	50,853	(1,202)	49,651	5.03%
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	14,462	(518)	13,944	1.41%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	55,695	(1,260)	54,435	5.51%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	59,727	(800)	58,927	5.97%
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	129,884	(2,578)	127,306	12.89%
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	4,724	(139)	4,584	0.47%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	13,679	(241)	13,439	1.36%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	902	(10)	892	0.09%
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები სულ	19,306	(390)	18,915	1.92%
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	41,013	(707)	40,307	4.08%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	144,456	(3,342)	141,114	14.29%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	178,539	(2,122)	176,417	17.87%
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები სულ	364,009	(6,171)	357,838	36.24%
ბიზნეს სესხები სულ	933,438	(16,987)	916,452	92.82%
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	31,116	(573)	30,543	3.09%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	34,084	(606)	33,478	3.39%
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები სულ	65,200	(1,179)	64,021	6.48%
საინვესტიციო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	5,179	(153)	5,026	0.51%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	954	(11)	943	0.10%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	490	(5)	485	0.05%
სულ საინვესტიციო სესხები	6,623	(169)	6,454	0.65%
სხვა სესხები	461	(49)	412	0.04%
კერძო სესხები სულ	72,283	(1,397)	70,886	7.18%
სულ	1,005,722	(18,384)	987,337	100.00%

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების სახელშეკრულებო და დაუფარავი თანხა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

'000 ლარი (დაუფარავი სესხების რაოდენობის და სესხის მოცულობის გამოკლებით) 2016 წლის 31 დეკემბერი	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	მთლიანი პორტფელის წილი
საბითუმო და სავაჭრო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	51,672	(2,517)	49,155	5.74%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	159,707	(3,815)	155,892	18.21%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	133,454	(1,884)	131,570	15.37%
საბითუმო და სავაჭრო სესხები სულ	**344,833**	**(8,216)**	**336,617**	**39.31%**
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	4,972	(362)	4,610	0.54%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	15,733	(826)	14,907	1.74%
სესხები 250 000 აშშ დოლარზე ზემოთ	31,884	(689)	31,196	3.64%
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**52,589**	**(1,877)**	**50,712**	**5.92%**
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	16,2446	(505)	15,741	1.83%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	52,154	(798)	51,356	6.00%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	37,712	(484)	37,228	4.35%
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები სულ	**106,113**	**(1,788)**	**104,325**	**12.18%**
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	5,663	(462)	5,200	0.61%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	12,833	(197)	12,637	1.48%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	1,678	(33)	1,645	0.19%
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები სულ	**20,174**	**(692)**	**19,482**	**2.28%**
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	47,473	(1,060)	46,413	5.42%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	125,851	(2,807)	123,044	14.37%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	127,472	(1,722)	125,751	14,69%
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები სულ	**300,796**	**(5,588)**	**295,208**	**34.48%**
ბიზნეს სესხები სულ	**824,504**	**(18,160)**	**806,344**	**94.17%**
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	24,376	(437)	23,939	2.80%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	13,544	(352)	13,192	1.54%

სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	704	(8)	697	0.08%
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები სულ	38,625	(796)	37,828	4.42%
საინვესტიციო სესხები				
სესხი 50 000 აშშ დოლარამდე	8,965	(250)	8,715	1.02%
სესხები 50 000 აშშ დოლარიდან 250 000 დოლარამდე	1,794	(19)	1,774	0.21%
სესხები 250 000 დოლარზე ზემოთ	878	(9)	868	0.10%
სულ საინვესტიციო სესხები	11,637	(279)	11,358	1.33%
სხვა სესხები	721	(26)	695	0.08%
კერძო სესხები სულ	50,982	(1,101)	49,881	5.83%
სულ	875,486	(19,261)	856,225	100.00%

ზემოთ მოცემული სესხების მოცულობის კატეგორიები ასახავს ერთ მსესხებელზე თავდაპირველად გაცემულ თანხებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს მსესხებლები ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფები, რომელთა სასესხო ნაშთი საკუთარი კაპიტალის 10%-ს აღემატება.

კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი

შესაძლო დანაკარგების რეზერვი ფარავს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებთან დაკავშირებულ რისკს. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის განსაკუთრებული რეზერვის გარდა, იმ დებიტორულ დავალიანებაზე, რომელზეც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, შეიქმნა რეზერვები იმ სასესხო პორტფელთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის დასაფარად, რომელიც გაწეულია, მაგრამ იდენტიფიცირებული არ არის. სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგნაირადა არის განაწილებული:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი გაუფასურებული სესხების რეზერვი	5,794	6,983
ინდივიდუალურად უმნიშვნელო გაუფასურებული სესხების რეზერვი	1,247	2,287
გაუფასურების ნიშნების არმქონე სესხების რეზერვი	11,343	9,991
სულ	18,384	19,261

შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შესაძლო გაუფასურების რეზერვის განაწილება სესხების კლასების მიხედვით:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიციები	სხვა	სულ
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2016 წლის 1 იანვარი	11,298	2,301	2,573	1,674	7,906	1,094	949	38	27,834

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

წლის განმავლობაში ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო	9,533	3,109	1,445	1,463	4,804	720	774	79	21,927
გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის შემცირება	(1,094)	(306)	(397)	(132)	(630)	(70)	(38)	-	(2,666)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(11,521)	(3,228)	(1,833)	(2,313)	(6,492)	(949)	(1,406)	(92)	(27,834)
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2016 წლის 31 დეკემბერი	8,216	1,877	1,788	692	5,588	796	279	26	19,261
წლის განმავლობაში ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო	3,911	1,309	2,178	95	2,394	647	71	97	10,701
გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის შემცირება	(536)	(155)	(152)	(43)	(278)	(52)	(5)	-	(1,221)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	(4,945)	(1,828)	(1,235)	(353)	(1,534)	(212)	(175)	(73)	(10,356)
სესხებზე დანაკარგების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბერი	6,646	1,202	2,578	390	6,171	1,179	169	49	18,384

ზემოთ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო განსხვავდება მოგება-ზარალის უწყისში მითითებული თანხისგან 5,790 ლარის ოდენობით (2016 წელს: 8,265), რაც განპირობებულია ადრე ჩამოწერილი აქტივების ამოღებით.

სესხების თითოეული ჯგუფის დეტალური ანალიზი 26-ე შენიშვნაში არის მოცემული.

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიცია	სხვა	სულ
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები									
< 50,000 აშშ დოლარი	42,572	3,124	13,143	4,165	39,595	30,480	4,586	366	138,031
50,000 აშშ დოლარიდან 250,000 აშშ დოლარამდე	148,815	15,440	51,636	13,072	136,139	33,138	954	-	399,193
250,000 აშშ დოლარზე ზემოთ	167,025	30,910	58,711	902	176,990	-	490	-	435,029
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები სულ	**358,412**	**49,474**	**123,490**	**18,139**	**352,724**	**63,618**	**6,030**	**366**	**972,253**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არ-გაუფასურებული სესხები	3,657	510	1,977	481	6,667	283	464	32	14,071

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები									
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	73	64	-	52	31	42	19	14	296
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	205	-	94	25	7	106	31	48	515
- 181 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	196	59	181	-	-	97	15	2	549
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები სულ	**474**	**123**	**275**	**77**	**39**	**245**	**65**	**63**	**1,360**
ინდივიდუალურად გაუფასურებლად მიჩნეული სესხები									
- 31 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	1,044	-	133	-	93	83	-	-	1,353
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,243	-	997	-	848	-	-	-	4,088
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	1,186	448	104	269	935	-	-	-	2,942
- 181 დღიდან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	1,955	119	2,908	175	1,843	801	63	-	7,864
- 365 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	417	179	-	165	861	169	-	-	1,791
ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	**6,845**	**747**	**4,142**	**609**	**4,578**	**1,054**	**63**		**18,038**
გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გამოკლებით	(6,646)	(1,202)	(2,578)	(390)	(6,171)	(1,179)	(169)	(49)	(18,384)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	**362,741**	**49,651**	**127,306**	**18,915**	**357,838**	**64,021**	**6,454**	**412**	**987,337**

9. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

'000 ლარი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	ინვესტიციები	სხვა	სულ
მიმდინარე და არაუფასურებული სესხები									
< 50,000 აშშ დოლარი	46,819	3,988	14,987	4,642	44,695	23,973	8,603	661	148,370

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

50,000 აშშ დოლარიდან 250,000 აშშ დოლარამდე	152,231	13,541	49,616	12,481	120,650	12,676	1,737	-	362,933
250,000 აშშ დოლარზე ზემოთ	131,643	30,135	37,069	1,678	126,466	704	878	-	328,574
მიმდინარე და არგაუფასურებული სესხები სულ	330,693	47,665	101,672	18,801	291,812	37,354	11,218	661	839,876
ვადაგადაცილებული, მაგრამ არ-გაუფასურებული სესხები	3,445	1,668	1,725	165	5,675	287	232	18	13,214
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	253	125	81	59	114	17	50	20	720
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,069	1,107	-	388	81	5	-	-	3,651
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	348	11	15	74	219	17	86	20	790
- 181 დღიდან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	604	46	53	218	145	87	51	-	1,205
კოლექტიურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები სულ	1,205	183	148	351	479	121	188	40	2,715
ინდივიდუალურად გაუფასურებლად მიჩნეული სესხები									
- 31 დღეზე ნაკლებად ვადაგადაცილებული	316	-	1,112	-	764	601	-	-	2,793
- 31 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	2,069	1,107	-	388	81	5	-	-	3,651
- 91 დღიდან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	4,274	1,608	292	354	1,022	199	-	-	7,749
- 181 დღიდან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	1,893	358	1,046	115	176	57	-	-	3,644
- 365 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	937	-	118	165	788	169	-	1	1,845
ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიჩნეული სესხები	9,489	3,073	2,568	857	2,831	862	-	1	19,681
გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გამოკლებით	(8,216)	(1,877)	(1,788)	(692)	(5,588)	(796)	(279)	(26)	(19,261)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სულ	336,617	50,712	104,325	19,482	295,208	37,828	11,358	695	856,225

30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხები კლასიფიცირდება როგორც გაუფასურებული სესხები. 30 დღეზე ნაკლები ან 30 დღით ვადაგადაცილებული სესხები არ-გაუფასურებულ სესხებად ითვლება.

ზემოთ მოყვანილი მოცულობის კატეგორიები ეხება დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებზე თავდაპირველად გაცემულ თანხებს.

სესხის საკრედიტო ხარისხი ყველაზე მეტად კლიენტის საერთო კრედიტუნარიანობის მიხედვით განისაზღვრება. ჯგუფი მსესხებლებისგან უზრუნველყოფას ითხოვს, ვინაიდან ის სესხის დამატებით გარანტიას წარმოადგენს.

რაც შეეხება კლიენტებზე გაცემულ სესხებს, რომლებიც არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება შეფასებული იყო სესხის საწყისი თარიღის მდგომარეობით, საანგარიშო თარიღის მომდევნო ცვლილებების მიხედვით კორექტირების გარეშე. ამ სესხების ამოღების შესაძლებლობა უფრო მეტად დამოკიდებულია მსესხებლების კრედიტუნარიანობაზე, ვიდრე უზრუნველყოფის ღირებულებაზე. შესაბამისად, ჯგუფი არ ახორციელებს უზრუნველყოფის ხელახალ შეფასებას საანგარიშო თარიღის მდგომარეობით. მრავალი სახის გირაოთი უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ანგარიშში აისახება მხოლოდ იმ უზრუნველყოფის მონაცემები, რომელიც ყველაზე რელევანტურია გაუფასურების შეფასებისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შესახებ უზრუნველყოფის სახეების მიხედვით 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	უძრავი ქონება	ნაღდი ფულით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფა არ არსებობს	სულ
საბითუმო და სავაჭრო სესხები	335,133	5,199	5,035	17,437	362,804
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები	42,778	1,906	4,260	707	49,651
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები	109,628	-	9,579	8,099	127,306
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები	17,475	-	818	623	18,915
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები	336,811	5	3,208	17,752	357,775
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები	61,568	-	5	2,447	64,021
საინვესტიციო სესხები	6,081	-	13	359	6,454
სხვა	412	-	-	-	412
სულ	909,886	7,109	22,918	47,424	987,337

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	უძრავი ქონება	ნაღდი ფულით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფა არ არსებობს	სულ

საბითუმო და სავაჭრო სესხები	332,008	3,273	768	568	336,617
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და მეთევზეობის განვითარების მიზნით გაცემული სესხები	48,624	1,731	-	357	50,712
წარმოების განვითარების მიზნით გაცემული სესხები	94,214	3	3,129	6,979	104,325
ტრანსპორტირებასა და შენახვაზე გაცემული სესხები	18,590	-	166	727	19,482
სხვა სამეურნეო საქმიანობაზე გაცემული სესხები	279,640	490	7,065	8,012	295,208
საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხები	34,309	272	-	3,248	37,828
საინვესტიციო სესხები	7,521	-	-	3,837	11,358
სხვა	482	103	-	110	695
სულ	815,387	5,872	11,128	23,838	856,225

ზემოთ მოცემულ ცხრილში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ზედმეტი უზრუნველყოფის შესახებ.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების თითოეული კლასის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკების მართვისა და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების საპროცენტო განაკვეთის ანალიზის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

10. საინვესტიციო ქონება

კონსოლიდირებული

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**1,697**	**673**
გადარიცხვები	6,374	
დამატებები	120	1,065
გასხვისება	(188)	(29)
ცვეთა წლის განმავლობაში	(129)	(14)
ცვეთის მართვა	3	2
გადარიცხვები(დამატებები)ცვეთა	(775)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,102**	**1,697**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	8,044	1,739
დარიცხული ცვეთა	(942)	(42)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,102**	**1,697**

2017 წელს საოპერაციო ლიზინგიდან საიჯარო შემოსავალი იყო 357 ათასი ლარი (2016 წელს: 65 ათასი ლარი).

ცალკე

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
გადარიცხვები	6,374	-
დამატებები	8	-
გასხვისება	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(95)	-
ცვეთის მართვა	-	-
გადარიცხვები(დამატებები)ცვეთა	(775)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,513**	-
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	6,382	-
დარიცხული ცვეთა	(870)	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,513**	-

მენეჯმენტის შეფასებით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას შეესაბამება. აღნიშნულ შეფასებას რეალური ღირებულების იერარქიაში ენიჭება მესამე დონე, რადგან რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები. რეალური ღირებულება დადგინდა ბოლო ტრანზაქციებზე საბაზრო ფასების ან ანალოგიური ქონების გასაყიდი ფასების გათვალისწინებით. გაყიდვების შედარების მეთოდისთვის გამოყენებული დაკვირვებას დაუქვემდებარებელი ძირითადი მონაცემია ანალოგიური ქონების ერთი კვადრატული მეტრის ფასი. ფასები კორექტირებულია განსახილველ აქტივებსა და ანალოგებს შორის სხვაობის საფუძველზე.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	2017	2016
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	1,676	**2,287**
დამატებები	152	84
გასხვისება	(2)	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(435)	(695)
ცვეთის მართვა	2	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,393	**1,676**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,555	9,405
დარიცხული ცვეთა 31 დეკემბრის მდგომარეობით	(8,162)	(7,729)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,393	**1,676**

12. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებთან დაკავშირებული ცვლილებები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი	მიწა და შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მშენებარე აქტივები	ავეჯი და ინვენტარი	საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა აღჭურვილობა	სულ
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	61,884	3,054	593	14,548	24,619	104,698
დარიცხული ცვეთა	(5,409)	(1,389)	-	(6,360)	(15,558)	(28,716)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**56,475**	**1,665**	**593**	**8,188**	**9,061**	**75,982**
გადარიცხვები	607	735	(1,342)	-	-	-
დამატებები	66	63	1,133	2,241	2,402	5,905
გასხვისება - თვითღირებულებით	-	(606)	-	(1,058)	(1,077)	(2,741)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,255)	(477)	-	(1,595)	(2,636)	(5,963)
გასხვისება - დარიცხული ცვეთა	-	425	-	857	1,057	2,339
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**55,893**	**1,805**	**384**	**8,633**	**8,807**	**75,522**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	62,557	3,246	384	15,731	25,944	107,862
დარიცხული ცვეთა	(6,664)	(1,441)	-	(7,098)	(17,137)	(32,340)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**55,893**	**1,805**	**384**	**8,633**	**8,807**	**75,522**
გადარიცხვები	(6,374)	-	-	-	-	(6,374)
დამატებები	44	-	187	532	534	1,297
გასხვისება - თვითღირებულებით	(1,725)	(1,830)	-	(726)	(2,667)	(6,947)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,168)	(412)	-	(1,781)	(2,202)	(5,563)
გასხვისება - დარიცხული ცვეთა	353	891		634	2,564	4,442
გადარიცხვა(დამატებები)ცვეთა	775	-	-	-	-	775
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47,797**	**455**	**571**	**7,292**	**7,037**	**63,152**
შესყიდვის მთლიანი ხარჯი	54,502	1,415	571	15,536	23,813	95,836
დარიცხული ცვეთა	(6,705)	(960)	-	(8,244)	(16,776)	(32,684)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47,797**	**455**	**571**	**7,292**	**7,037**	**63,152**

13. სხვა აქტივები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივებია:

კონსოლიდირებული

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
საკრედიტო ბარათებისა და ონლაინ გადახდის სისტემის მქონე კომპანიებიდან და ფულის გადარიცხვის სააგენტოებიდან მისაღები დებიტორული დავალიანება	1,968	5,255
სხვა	71	414
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**2,039**	**5,669**
არამიმდინარე		
მფლობელობაში დაბრუნებული ქონება	3,863	4,363
სასამართლო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების დასაფარავად წინასწარ გადახდილი თანხები, რეზერვის გამოკლებით	929	1,068
წინასწარი გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის	189	52
მიმდინარე		
წინასწარი გადახდები სხვადასხვა მომსახურებაზე	1,153	2,482
გასაყიდად არსებულ კატეგორიაში გასული აქტივები	1,350	2,582

სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა	708	797
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**8,192**	**11,344**
სულ	**10,232**	**17,013**

ცალკე

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017წ.	31 დეკემბერი 2016წ.
საკრედიტო ბარათებისა და ონლაინ გადახდის სისტემის მქონე კომპანიებიდან და ფულის გადარიცხვის სააგენტოებიდან მისაღები დებიტორული დავალიანება	1,968	5,255
სხვა	71	414
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**2,039**	**5,669**
არამიმდინარე		
მფლობელობაში დაბრუნებული ქონება	313	398
სასამართლო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების დასაფარავად წინასწარ გადახდილი თანხები, რეზერვის გამოკლებით	929	1,068
წინასწარი გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის	189	52
მიმდინარე		
წინასწარი გადახდები სხვადასხვა მომსახურებაზე	792	2,315
გასაყიდად არსებულ კატეგორიაში გასული აქტივები	1,350	2,582
სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა	689	776
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**4,263**	**7,191**
სულ	**6,303**	**12,861**

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ თავდაპირველი აღიარების თარიღით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად არსებული აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან, აღნიშნულ პერიოდში გაწეული სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულების შეფასება კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონე, რადგან რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები. რეალური ღირებულება დადგენილია ბოლო ტრანზაქციებზე საბაზრო ფასების და ანალოგიური ქონების გასაყიდი ფასების გათვალისწინებით.

არც ერთი სხვა ფინანსური აქტივი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების სავარაუდო სამართლიანი ღირებულების შესახებ იხილეთ 27-ე შენიშვნა, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

14. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ მოიცავს ბანკთაშორისო ბაზარზე აღებულ მოკლევადიან სესხებს და სხვა ბანკების მიერ პროკრედიტ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე შენახულ თანხებს.

2017 წელს, პროკრედიტ ბანკი გერმანიამ პროკრედიტ ჯგუფს გამოუყო სახსრები მოკლევადიანი საჭიროებებისთვის.

'000 ლარი	31 დეკმებერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში საქმიანობენ	41,285	0
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში არ საქმიანობენ	7,355	2,857
სულ	**48,639**	**2,857**

სხვა ბანკების მიმართ ვალდებულებების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

15. კლიენტების ანგარიშები

კლიენტების ანგარიშები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს, შემნახველ ანაბრებსა და ვადიან ანაბრებს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კლიენტების ჯგუფები კატეგორიების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
მიმდინარე ანგარიშები	**205,840**	**200,491**
- ფიზიკური პირები	55,638	55,306
- იურიდიული პირები	150,202	145,185
შემნახველი ანგარიშები	**220,504**	**246,026**
- ფიზიკური პირები	139,764	178,352
- იურიდიული პირები	80,740	67,674
ვადიანი ანაბრები	**198,715**	**283,964**
- ფიზიკური პირები	159,001	231,035
- იურიდიული პირები	39,714	52,929
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	**4,000**	**2,094**
სხვა	**629,059**	**732,575**

კატეგორია "იურიდიული პირები" მოიცავს ვალდებულებებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციების მიმართ.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია კლიენტთა ანგარიშების კატეგორიები ეკონომიკური სექტორების მიხედვით:

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ფიზიკური პირები	354,404	464,693
ვაჭრობა და მომსახურება	170,712	168,360

მშენებლობა	19,177	18,600
მთავრობა	4,760	4,760
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	3,160	2,734
სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	7,079	3,403
სამთო მრეწველობა და წიაღისეულების მოპოვება	1,727	1,734
სხვა	68,039	68,291
სულ	**629,059**	**732,575**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა 78 კლიენტი (2016 წელს: 65 კლიენტი), რომელთა ნაშთი 1 000 ათას ლარს აღემატებოდა. აღნიშნული კლიენტების ერთობლივი ნაშთი შეადგენდა 171,171 ათას ლარს (2016 წელს: 174,446 ათას ლარს) ან კლიენტთა საერთო საბანკო ანგარიშების 27%-ს (2016 წელს: 24%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა ანგარიშებში შედის საბალანსო სესხების უზრუნველყოფის სახით არსებული ანაბრები 7,109 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 5,872 ათასი ლარი), აგრეთვე გარანტიებისა და აკრედიტივების ფარგლებში გამოუხმობადი ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით არსებული დეპოზიტები 45,240 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,154 ათასი ლარი). იხილეთ 28-ე შენიშვნა.

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

კლიენტთა ანგარიშების თითოეული კატეგორიის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში.

16. სხვა ნასესხები სახსრები

ვალდებულებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ჯგუფისთვის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული საშუალო და გრძელვადიანი სესხები.

'000 ლარი

ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი , 2017	31 დეკემბერი, 2016
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	ივნისი, 2021	12,921	13,280
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	მაისი, 2021	12,958	13,319
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დეკემბერი, 2026	2,522	2,535
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	ოქტომბერი, 2024	15,281	-
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	აპრილი, 2022	6,196	7,783
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	ივლისი, 2022	26,239	32,261
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	თებერვალი, 2024	6,039	7,288
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	აპრილი, 2024	25,037	29,692
Oesterreichische Entwicklungsbank AG (OeEB)	მარტი, 2018	7,820	24,090

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	აგვისტო, 2022	13,921	17,170
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	მარტი, 2023	28,700	29,498
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	თებერვალი, 2018	40,193	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აგვისტო, 2027	13,065	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აგვისტო, 2027	13,065	-
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	აპრილი, 2018	7,787	8,004
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	მაისი, 2021	25,917	27,134
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	ივნისი, 2021	18,072	18,572
პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA	ივლისი, 2021	26,475	26,961
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანკფურტი ამ მაინი	ივნისი 2021	20,654	26,532
ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სულ		**322,863**	**284,119**
ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით			
საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია (OPIC)	ოქტომბერი, 2017	-	12,259
GREEN FOR GROWTH FUND, SOUTHEAST EUROPE S.A., SICAV-SIF(GGF)	იანვარი, 2019	30,940	-
ევროპის ფონდი სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპისთვის S.A., SICAV-SIF (EFSE)	სექტემბერი, 2017	-	15,771
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KgaA	აპრილი, 2016	-	-
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანკფურტი ამ მაინი	აპრილი, 2019	20,807	21,387
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	აგვისტო, 2021	11,485	14,212
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KgaA	აპრილი, 2017	-	2,674
responsAbility SICAV (Lux) Microfinanz-Fonds	დეკემბერი, 2018	11,633	11,951
Credit Suisse Microfinance Fund Management Group (CSMFMC) (responsAbility Global Microfinance Fund)	დეკემბერი, 2018	6,463	6,640
responsAbility SICAV (Lux) Financial Inclusion Fund	დეკემბერი, 2018	3,878	3,984
responsAbility SICAV (Lux) Microfinance Leaders	დეკემბერი, 2018	3,878	3,984
პროკრედიტ ბანკი AG, ფრანკფურტი ამ მაინი	თებერვალი, 2017	-	10,631
ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		**89,083**	**103,493**
სულ ვალდებულებები		**411,946**	**387,612**

16. სხვა ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

სხვა ნასესხები სახსრების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

17. სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
კრედიტორული დავალიანება	2,081	3,305
სხვა	192	218
ფინანსური ვალდებულებები სულ	**2,273**	**3,523**

განისაზღვრა. შესწორება ძირითადად ეხება გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარების გაუქმებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღიარების გაუქმებასთან დაკავშირებული ეს შეფერხება არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსური ანგარიშგების თავის მომხმარებლებისთვის წარდგენაზე. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება არ შესწორდა ამ თვალსაზრისით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარების გაუქმება 2016 წელს, 2017 წლის ნაცვლად, გამოიწვევდა 2016 წელს სუფთა მოგების ზრდას 2,368 ლარის ოდენობით და 2017 წელს სუფთა მოგების შემცირებას იგივე მოცულობით.

ქვემოთ შესაბამისობაშია მოყვანილი მოსალოდნელი და ფაქტობრივი გადასახადების ხარჯები:

'000 ლარი	2017	2016
მოგება გადასახადის გამოქვითვამდე	**22,802**	**28,048**
გადასახადის თეორიული დარიცხვა კანონით დადგენილი 15%-იანი განაკვეთით	3,420	4,207
იმ პუნქტების საგადასახადო შედეგი, რომელიც დაქვითვას არ ექვემდებარება		
– საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილების შედეგები	(2,891)	-
– სუფთა დაუბეგრავი მოგება	(388)	(430)
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	**141**	**3,777**

ქვემოთ დეტალურადაა მოცემული ამ დროებითი განსხვავებების საგადასახადო შედეგი, რაც 15%-ს შეადგენს (2016 წელს: 15%)

'000 ლარი **გადავადებული გადასახადი:**	31 დეკემბერი, 2017	აისახება მოგება–ზარალში	31 დეკემბერი, 2016	აისახება მოგება–ზარალში	1 იანვარი, 2016
კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	631	(1,812)	2,443	(752)	3,195
სხვა დროებითი განსხვავება	306	(1,154)	1,460	87	1,373
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება სულ	**937**	**(2,967)**	**3,903**	**(665)**	**4,568**

არ აღინიშნება რაიმე მნიშვნელოვანი არაღიარებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადასახადები.

20. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დავყოთ:

'000 ლარი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
სუბორდინირებული ვალი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით			
საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია ("OPIC")	დეკემბერი, 2019	38,701	39,767
სუბორდინირებული სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით			
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	აპრილი, 2025	19,700	20,239
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	აპრილი, 2025	6,566	6,746
ჯამი: პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA		**26,266**	**26,985**
სულ		**64,967**	**66,752**

ამ ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებული კრედიტორების მოთხოვნები სხვა კრედიტორების მოთხოვნებზეა დამოკიდებული. ვადამდელი გადახდის ვალდებულება არ არსებობს. ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ამ კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანება მხოლოდ მას შემდეგ დაიფარება, რაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნები.

სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი მოცემულია 26-ე შენიშვნაში, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ - 29-ე შენიშვნაში.

21. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირი იყო:

'000 ლარი (აქციების რაოდენობის გარდა)	31 დეკემბერი, 2017			31 დეკემბერი, 2016		
აქციონერი	**წილობრივი მონაწილეობა %–ში**	**აქციათა რაოდენობა**	**სააქციო კაპიტალის ოდენობა**	**წილობრივი მონაწილეობა %–ში**	**აქციათა რაოდენობა**	**სააქციო კაპიტალის ოდენობა**
პროკრედიტ ჰოლდინგ AG & Co. KGaA	100%	17,782,963	88,915	100%	17,782,963	88,915
სულ	**100%**	**17,782,963**	**88,915**	**100%**	**17,782,963**	**88,915**

აქციის ნომინალური ღირებულება 5.00 ლარს შეადგენს.

'000 ლარი (აქციების რაოდენობის გარდა)	გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი თანხა	საემისიო კაპიტალი თანხა
31 დეკემბერი, 2015	**17,782,963**	**88,915**	**36,388**
31 დეკემბერი, 2016	**17,782,963**	**88,915**	**36,388**
31 დეკემბერი, 2017	**17,782,963**	**88,915**	**36,388**

დივიდენდი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	79,111	99,568
ფულადი თანხები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	4,046	2,888
გასაყიდად არსებული აქტივები	1,701	2,076
საპროცენტო შემოსავალი სულ	**84,858**	**104,532**

საპროცენტო და მსგავსი ხარჯი		
კლიენტთა ანგარიშები	(13,771)	(17,675)
სხვა ნასესხები სახსრები	(14,555)	(15,236)
სუბორდინირებული ვალი	(3,587)	(3,291)
სხვა ბანკების მიმართ	(218)	(13)
საპროცენტო ხარჯი სულ	**(32,131)**	**(36,215)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**52,727**	**68,317**

2017 წელს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მოიცავდა გაუფასურებულ სესხებზე დისკონტის ამორტიზაციას 1,221 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,666 ათასი ლარი) (შენიშვნა 9).

24. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

'000 ლარი

საკომისიო შემოსავალი	2017	2016
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	4,577	5,596
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	2,260	2,365
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	1,554	1,069
აკრედიტივები და გარანტიები	1,249	1,018
ინტერნეტ ბანკინგის საკომისიო	318	387
SMS მომსახურების საკომისიო	131	260
სხვა საკომისიო შემოსავალი	115	140
საკომისიო შემოსავალი სულ	**10,204**	**10,835**

საკომისიო ხარჯი		
სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო	(3,898)	(3,598)
გადარიცხვები და ფულადი ტრანზაქციები	(760)	(567)
ანგარიშის მომსახურების საკომისიო	(294)	(355)
მომსახურების საკომისიო	(154)	(243)
აკრედიტივები და გარანტიები	(68)	(73)
საკომისიო ანაზღაურება და საკომისიო ხარჯი სულ	**(5,174)**	**(4,836)**
საკომისიო შემოსავალი სულ	**5,030**	**5,999**

პუნქტი "სხვა საკომისიო შემოსავალი" მოიცავს მესამე მხარის, მაგალითად, "ვესტერნ იუნიონის" სახელით შესრულებულ ტრანზაქციებს. "სხვა საკომისიო ხარჯები" ძირითადად საბარათე ბიზნესთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯებია.

25. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

'000 ლარი	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია	5,997	6,521
ოფისის ქირა	2,565	3,266
კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	4,366	3,877
კადრების შერჩევა, მომზადება და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	2,909	2,611
საკონსულტაციო მომსახურება	1,667	1,485
მარკეტინგი, რეკლამა და გასართობი ღონისძიებები	884	1,130
რემონტი და შეკეთება	628	1,064
ტრანსპორტი	858	872
სხვა	5,263	5,909
სულ	**25,137**	**26,735**

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს 181 ათას ლარს (2016 წელს: 239 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტური ფირმის მიერ გაწეულ აუდიტის და სხვა პროფესიულ მომსახურებებზე გადახდილი თანხა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული მთლიანი ხარჯებიდან 2,540 ათასი ლარი თანამშრომლების ტრენინგს და 2017 წელს განხორციელებულ მსგავს საქმიანობას მოხმარდა (2016 წელს: 2,255 ათასი ლარი).

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა

ჯგუფის მთლიანი რისკის პროფილის მართვა – კაპიტალის მართვა

მიზნები

ზოგადად, ჯგუფს უფლება არა აქვს, იმაზე მეტი რისკი იკისროს, ვიდრე შეუძლია. ჯგუფის კაპიტალის მართვა შემდეგ მიზნებს ისახავს:

- იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა უკიდურეს შემთხვევაშიც სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგები დაფაროს
- საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული გარე კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან ბანკის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- ჯგუფის სტაბილურ ზრდასთან დაკავშირებული გეგმების განხორციელების ხელშეწყობა და ბიზნეს სტრატეგიის დაცვა.

პროცესები და პროცედურები

ჯგუფის კაპიტალის მართვას არეგულირებს კაპიტალის მართვის პოლიტიკა და შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შესახებ პოლიტიკა. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ჯგუფი ოთხ კოეფიციენტს მიმართავს. მარეგულირებელი და ბაზელი III/კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულება (CRR) კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, პირველი დონის ჯგუფის კაპიტალიზაციის კოეფიციენტისა და დასაშვები რისკების კოეფიციენტის ყოველთვიურ მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება და ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტი უწევს.

კაპიტალის შიდა და გარე მოთხოვნებთან შესაბამისობა

კაპიტალის მინიმალურ გარე მოთხოვნებს აწესებენ და აკონტროლებენ საქართველოს ადგილობრივი საბანკო საზედამხედველო ორგანოები. კაპიტალის ადეკვატურობა გამოითვლება და ყოველთვიურად ეცნობება ჯგუფის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს. ეს ანგარიშები მოიცავს მუდმივი პროგნოზების გაკეთებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას როგორც არსებულ, ასე მომავალ მოთხოვნებთან (კვარტალურად).

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის კომიტეტის (ბაზელ I) ინსტრუქციების შესაბამისად დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 6.4%-ზე მეტი) *	10.21%	10.29%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 9.6%-ზე მეტი)*	14.55%	16.33%

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბანკი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბაზელის კომიტეტის (ბაზელ II და III) ინსტრუქციების შესაბამისად დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 8.5%-ზე მეტი) *	14.38%	11.19%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 10.5%-ზე მეტი)*	18.28%	15.04%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (პილარ I + პილარ II)	2017

პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 11.52%-ზე მეტი) *	14.38%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (უნდა იყოს 14.52%-ზე მეტი)*	18.28%

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შედარების უზრუნველსაყოფად, 2016 წლის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების რეტროსპექტული გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში ბოლოდროინდელი ცვლილებების გათვალისწინებით.

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	14.38%	14.21%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	18.28%	18.79%

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა პილარი II-ის ბუფერები, რომლებიც 2017 წლის დეკემბრიდან იქნება ხელმისაწვდომი. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის ბუფერების დაწესება, პირველი დონისთვის არის 11.52%, ხოლო მარეგულირებელი კაპიტალისთვის - სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 14.52%. არაჰეჯირებული საკრედიტო რისკი გამოირიცხება პირველი დონისთვის განსაზღვრული სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებიდან.

ამას გარდა, კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ჰოლდინგის მასშტაბით კაპიტალის ადეკვატურობის უნიფიცირებული გაანგარიშების მეთოდით ხორციელდება, ბაზელ III მოთხოვნების მიხედვით, როგორც დადგენილია ევროპის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დირექტივაში და კაპიტალის მოთხოვნების რეგულაციაში (CRR).

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის კოეფიციენტები ბაზელ III/CRR-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესაბამისად:

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (RWA) *	18.4%	16.90%
პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	22.36%	21.87%

'000 ლარი

31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	88,915	88,915
საემისიო შემოსავალი	36,388	36,388
წინა წლის გაუნაწილებელი მოგება	70,830	46,559
პირველი 9 თვის მოგება*	16,020	15,054
სხვა კორექტირების გამოკლებით*	(28)	(56)
მიმდინარე წელს გადახდილი დივიდენდების გამოკლებით	-	-

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდების გამოკლებით*	(20,691)	(21,201)
არამატერიალური აქტივების გამოკლებით	(1,394)	(1,676)
პირველადი კაპიტალი*	**190,040**	**163,983**
ცვლილება გამოწვეული მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდის გამო, რომელიც აღემატება პირველი ცხრა თვის მოგებას		
მოგება პირველი ცხრა თვის განმავლობაში*	-	(15,054)
მომავალი წლისთვის ბიუჯეტირებული დივიდენდები*	-	21,201
კორექტირებული პირველადი კაპიტალი*	**190,040**	**170,130**
სუბორდინირებული სესხები*	40,877	49,950
მეორადი კაპიტალი	**40,877**	**49,950**
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**230,917**	**220,080**

'000 ლარი **31 დეკემბრის მდგომარეობით**	**2017**	**2016**
ბალანსზე რიცხული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	861,972	845,510
რისკის მიხედვით შეწონილი გარე საბალანსო აქტივები*	22,342	19,210
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ღია სავალუტო პოზიციებიდან*	5,754	1,308
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკის შედეგად*	142,825	140,363
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	**1,032,892**	**1,006,391**

ჯგუფი მართავს კაპიტალს ორი მეთოდის კომბინაციით: საკუთარი კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის გამოყენებით, რომელიც უმეტესწილად ჰოლდინგის მიერ არის გაცემული.

რაც შეეხება საკუთრი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების თანაფარდობას (ლევერეჯი), 2011 წელს აღიარებულ და არააღიარებულ კრედიტებზე შემოღებულ იქნა 1 რიგის კაპიტალის ქვედა ზღვარი (1 რიგის ლევერეჯის კოეფიციენტი), რომლის მიხედვითაც ჯგუფის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 5%–ზე ნაკლები. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა 10%-ს აღემატებოდა.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი (ICAAP)

სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობას რისკების შემცველობის მიხედვით აფასებს, ჯგუფის სპეციალური რისკის პროფილის ასახვის მიზნით, მაგალითად, საქმიანობის შედეგად წარმოშობილ პოტენციურ ზარალს ადარებს ჯგუფის დასაშვები რისკების შემცველობასთან.

ჯგუფის რისკის შემცველობის პოტენციალი განისაზღვრება როგორც საკუთარ კაპიტალს (არამატერიალური აქტივების გამოკლებით) დამატებული სუბორდინირებული ვალი, რამაც 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით 261 მილიონი ლარი შეადგინა (2016 წელს: 261 მილიონი ლარი). რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსი (RAtCR) განისაზღვრა რისკის შემცველობის პოტენციალის 60%-ის ოდენობით, ანუ 157 მილიონი ლარი* 2017 წელს (2016 წელს - 157 მილიონი *). რისკის სხვადასხვა კატეგორიაში პოტენციური დანაკარგების გამოსათვლელად გამოყენებული იქნა შემდეგი ცნებები:

- საკრედიტო რისკი (კლიენტები): ისტორიული ზარალის მაჩვენებლები გამოითვლება სასესხო პორტფელის და არასაბალანსო პორტფელის სისტემატურად განახლებული მიგრაციის ანალიზის საფუძველზე, რის მიხედვით შემდგომ გამოითვლება მიმდინარე სასესხო პორტფელზე პოტენციური დანაკარგები;
- კონტრაგენტის რისკი: კონტრაგენტის რისკის გამო პოტენციური დანაკარგები გამოითვლება კონტრაგენტის, ან მისი საქმიანობის ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის ალბათობის საფუძველზე;
- საბაზრო რისკები: ვინაიდან სავალუტო კურსის ისტორიულ მერყეობებზე კეთდება სტატისტიკური ანალიზი, არსებული სავალუტო პოზიციებისთვის ყველაზე მკვეთრი მერყეობის გამოყენებით (99% სანდოობის დონით), საპროცენტო განაკვეთის რისკი გამოითვლება 12-თვიანი საპროცენტო სარგებლის განსაზღვრის მეშვეობით ევრო/აშშ დოლარზე სტანდარტული საპროცენტო განაკვეთის რყევის და ადგილობრივი ვალუტისთვის უფრო მაღალი (ისტორიული) რყევის დონის მიხედვით (ორი პროცენტული ერთეული, ბაზელის საპროცენტო განაკვეთების რყევა);
- საოპერაციო რისკი: ბაზელ II-ის სტანდარტის მეთოდი გამოიყენება შესაბამისი ღირებულების გამოსათვლელად.

საკრედიტო რისკის დასაფარი ეკონომიკური კაპიტალის მოცულობა სტაბილური იყო 2017-2016 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით. ძირითადი პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა 2017 წელს. კონტრაგენტის, საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო რისკის ლიმიტის ათვისება დაბალ დონეზე შენარჩუნდა. საერთო ჯამში, ყველა რისკი, რომელიც რაოდენობრივად შეფასდა ჯგუფის ფარგლებში მოქმედი ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (ICAAP) შესახებ სტანდარტების მიხედვით, ჯგუფის რისკის აღების საერთო პოტენციალის 60%-ზე ნაკლებია. სხვა რისკები შეფასდა როგორიც ჯგუფისთვის არასაკმარისად რელევანტური, ან რელევანტური, მაგრამ რაოდენობრივად დაუდგენელი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების განაწილება რისკის სხვადასხვა კატეგორიებზე, ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტის თანახმად, და ჯგუფის მიერ მათი ათვისების დონე 2017 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით. საოპერაციო რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალი გამოითვლება ბაზელ II-ის სტანდარტული მეთოდით.

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

რისკის ფაქტორი	დეტალური ინფორმაცია რისკზე	ლიმიტი (%) *	ლიმიტი ('000 ლარი)*	ფაქტობრივი ('000 ლარი)*	გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი %)*
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		33.0%	86,249	25,894	9.9%
კონტრაგენტის რისკი	კომერციული ბანკები	5.0%	13,068	3,422	1.3%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	26,136	7,288	2.8%
	სავალუტო რისკი	2.0%	5,227	2,067	0.8%
საოპერაციო რისკი		10.0%	26,136	11,426	4.4%
რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები		**60.0%**	**156,815**	**50,097**	**19.2%**

2016 წლის დეკემბრის ბოლოს, რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების (RAtCR) განაწილება შემდეგია:

რისკის ფაქტორი	დეტალური ინფორმაცია რისკზე	ლიმიტი (%) *	ლიმიტი ('000 ლარი)*	ფაქტობრივი ('000 ლარი)*	გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი %) *
საკრედიტო რისკი (კლიენტები)		33.0%	86,007	23,776	9.1%
კონტრაგენტის რისკი		5.0%	13,031	3,800	1.5%
საბაზრო რისკი	საპროცენტო განაკვეთის რისკი	10.0%	26,063	8,921	3.4%
	სავალუტო რისკი	2.0%	5,213	416	0.2%
საოპერაციო რისკი		10.0%	26,063	11,229	4.3%
რისკის დასაფარავად ხელმისაწვდომი რესურსები		**60.0%**	**156,377**	**48,142**	**18.5%**

ცალკეული რისკების მართვა

2017 წელს ჯგუფმა დამატებით შეიმუშავა ცალკეული რისკების მართვის პოლიტიკა და საშუალებები, რაც ხელს უწყობს ჯგუფის რისკების მართვის შემდგომ გაუმჯობესებას. კერძოდ, შემოღებულ იქნა დამატებითი პროცესები შემდეგი რისკების სამართავად:

- საკრედიტო რისკი
- კონტრაგენტის რისკი
- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საოპერაციო რისკი და
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს რისკის გამომწვევი ფაქტორების ზოგად ცოდნას და უწყვეტ ანალიზს და ჯგუფის შიგნით დისკუსიების წარმართვას მოვლენების შესაძლო განვითარებაზე/შესაძლო სცენარზე და მათ პოტენციურ უარყოფით შედეგებზე. რისკის

მართვის მიზნებში შედის იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა არსებითი რისკი დროულად იქნეს აღმოჩენილი, სრულად გაანალიზებული და სათანადოდ მართული. მაგალითად, არ უნდა მოხდეს პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება მანამ, სანამ ყველა მხარე მათ კარგად არ გაეცნობა და შეძლებს მათ სათანადო მართვას.

ცალკეული რისკისთვის გათვალისწინებული ლიმიტებიდან გადახვევა, რომელთა ფარგლებშიც ჯგუფს მოქცეული აქვს თავისი რისკების სტრატეგია, დასაშვებია მხოლოდ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის თანხმობით, მაგრამ უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მკაცრ ლიმიტებს (მაგ. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ლიმიტებს ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს).

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც იმის საშიშროება, რომ საკრედიტო ტრანზაქციის მხარე ვერ შეძლებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს ჯგუფის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა კლიენტებზე კრედიტების გაცემის შედეგად (კლასიკური საკრედიტო რისკი), შიდასაბანკო განთავსებებიდან გამომდინარე საკრედიტო და ემიტენტის რისკებიდან. საკრედიტო რისკი შემდგომ იყოფა საკრედიტო დეფოლტის რისკად და საკრედიტო პორტფელის რისკად, რისკების მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით. საკრედიტო რისკი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი:

'000 ლარი 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017	2016
შიდა საბანკო დაბანდებები		
ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვების ჩათვლით)	160,326	180,732
შიდა საბანკო დაბანდებები სულ	16,171	174,153
შიდა საბანკო დაბანდებები სულ	176,496	354,885
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,005,722	875,486
გაუარესების რეზერვი	(18,384)	(19,261)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	987,337	856,225
საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები	4,943	16,809
სხვა ფინანსური აქტივები	2,039	5,669
ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივი	11,408	13,321
ვალდებულებების შესრულების გარანტიები	32,035	19,810
სესხის გაცემის ვალდებულებები	32,823	48,147

კლიენტზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკი

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკს ბანკი განსაზღვრავს, როგორც კლიენტის კრედიტთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების პოტენციური შეუსრულებლობის შედეგად მიღებული ზარალის რისკს.

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკის მართვა საკრედიტო საქმიანობის პრინციპების საფუძვლიან განხორციელებას ემყარება, როგორიცაა:

- მსესხებლების გადახდისუნარიანობის ანალიზი
- საკრედიტო რისკის შეფასებების დოკუმენტირება, რათა ანალიზი გასაგები იყოს მესამე მხარეებისთვის
- ჯგუფის კლიენტების ზედმეტი დავალიანების თავიდან აცილება
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის რეგულარული მონიტორინგი
- სესხის დაფარვის მონიტორინგი, შეთანხმებების შესრულება
- ვადაგადაცილების ეფექტური მართვა
- გადაუხდელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ამოღების პროცესის მკაცრად განხორციელება
- ინვესტიციები პერსონალის მომზადებაში
- საგულდაგულოდ შემუშავებული და კარგად დოკუმენტირებული პროცესების განხორციელება
- "ოთხი თვალის პრინციპის განხორციელება"

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო სესხებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის სესხებისთვის დაკრედიტების განსხვავებული პროცესები არსებობს. პროცესები ძირითადად განსხვავდება მოვალეობების განაწილების მიხედვით; კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის, შემოწმებული ფინანსური ანგარიშების თუ დეკლარაციის ფორმების; სესხის გადაწყვეტილების ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე. ნებისმიერ საკრედიტო გადაწყვეტილებას საკრედიტო კომიტეტი იღებს.

ვადაგადაცილებულია სესხები, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო ან/და ძირი თანხის გადახდა დაგვიანებულია. ვადაგადაცილების დადგომის შემთხვევაში, ჯგუფი სესხების გადაუხდელობის მკაცრ კონტროლს იწყებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის ნებისმიერი პოტენციური საფრთხის გამოვლენის მიზნით. სესხების დაბრუნებისა და ამოღების პროცესს სპეციალიზირებული თანამშრომლები აწარმოებენ, რომელთაც, როგორც წესი, გამოცდილება საკრედიტო ან იურიდიულ სფეროში აქვთ.

ბანკი მუდმივ მონიტორინგს უწევს სასესხო პორტფელის ხარისხს. სასესხო პორტფელის ხარისხის საზომია გაუარესებული სესხების პორტფელი ("PAR"), რომელსაც ჯგუფი განმარტავს, როგორც ყველა ისეთ დაუფარავ სესხს, რომლის პროცენტის და/ან კაპიტალის ერთი ან ერთზე მეტი შენატანი 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. ამ მეთოდის

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო პორტფელის კატეგორიები საკრედიტო რისკის შემცირების ძალიან ეფექტური ფაქტორია. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა – მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება - მოითხოვს საკრედიტო საქმიანობის მაღალი დონის სტანდარტიზაციას. საბოლოო ჯამში, ამან გამოიწვია სესხების მაღალი დივერსიფიკაცია გეოგრაფიული არეალისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით. მიუხედავად ამისა, საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება, ანუ შედარებით მსხვილი სესხები, რომელიც აჭარბებს 250 000 აშშ დოლარის ზღვარს, ჯგუფის საქმიანობის დამატებით სფეროს წარმოადგენს მისი საერთო სტრატეგიული მიზნის გათვალისწინებით. ამ კლიენტების უმრავლესობა დინამიურად მზარდი საწარმოებია, რომლებიც ჯგუფთან მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. თუმცა ასეთი ბიზნესების სირთულე მოითხოვს ბიზნესის, დასაფინანსებელი პროექტისა და დაკავშირებული მხარეების ჯეროვან ანალიზს. ფრანტ და ბექ ოფისის ფუნქციები მკაფიოდაა გამიჯნული და დოკუმენტაციისა და უზრუნველყოფის მოთხოვნებიც როგორც წესი, უფრო მკაცრია.

საერთო ჯამში, ჯგუფის საკრედიტო პორტფელი მოიცავს მსესხებელთა ჯგუფზე 348 სესხს 250 000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით (2016 წელს: 318 სესხი).

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურას რეგულარულად გადახედავს საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება, საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილზე შესაძლო რისკების გამოვლენისა (ზოგადი რისკის ფაქტორები) და ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში საკრედიტო რისკების საჭიროებისამებრ შეზღუდვის მიზნით.

ბანკის საკრედიტო პორტფელი დაჯგუფებულია საერთო რისკის ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	საბითუმო რეალიზაცია და ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	საინვესტიციო სესხები	სხვა	სულ
< 50 000 აშშ დოლარი	45,113	3,562	14,462	4,724	41,013	31,116	5,179	461	145,630
50 000 აშშ დოლარიდან 250 000 აშშ დოლარამდე	156,196	16,380	55,695	13,679	144,456	34,083	954	-	421,444
> 250 000 აშშ დოლარი	168,078	30,910	59,727	902	178,539	-	490	-	438,647
სულ	369,387	50,853	129,884	19,306	364,009	65,200	6,623	461	1,005,722

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	საბითუმო რეალიზაცია და ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა	წარმოება	ტრანსპორტირება და შენახვა	სხვა სამეურნეო საქმიანობა	საბინაო მშენებლობა	საინვესტიციო სესხები	სხვა	სულ
< 50 000 აშშ დოლარი	51,672	4,972	16,246	5,663	47,473	24,376	8,965	721	160,087

50 000 აშშ დოლარიდან 250 000 აშშ დოლარამდე	159,707	15,733	52,154	12,833	125,851	13,544	1,794	-	381,616
> 250 000 აშშ დოლარი	133,454	31,884	37,712	1,678	127,472	704	878	-	333,783
სულ	344,833	52,589	106,113	20,174	300,796	38,625	11,637	721	875,486

ჯგუფი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, რომელიც ზღუდავს კონცენტრაციის რისკს სასესხო პორტფელში და ამისათვის მოითხოვს მსხვილი სესხების (რომლებიც მარეგულირებელი კაპიტალის 10%-ს აღემატება) დამტკიცებას ჰოლდინგის საკრედიტო რისკების კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. არც ერთი მსხვილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის მინიმალური კაპიტალის 25%-ს.

შედარებით მსხვილი სესხების ანალიზსა და მონიტორინგს ახორციელებენ როგორც პასუხისმგებელი თანამშრომლები საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის გზით, რაც რისკების დროული აღმოჩენის საშუალებას იძლევა, ასევე საკრედიტო კომიტეტის მიერ ჩატარებული რეგულარული შემოწმებების გზით. დაკავშირებული მხარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება ჩვეულებრივ სესხის გაცემამდე ხდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების მონიტორინგს ბანკის საკრედიტო კომიტეტი და ბიზნეს კლიენტთა მრჩეველი ან საკრედიტო ანალიტიკოსი უზრუნველყოფს. აღნიშნული კრედიტების შემთხვევაში, კომიტეტი აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი.

- 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
- პროცენტის, ან კაპიტალის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა
- დებულებების, ან პირობების დარღვევა
- გაკოტრების საქმის აღძვრა
- კლიენტის საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის არსებობა (მაგ. კლიენტის ფულადი სახსრების დეფიციტი)
- კლიენტის საბაზრო კონიუნქტურის ცვლილება
- ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა

გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მიჩნეული ინდივიდუალური სესხები, ან ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების ჯგუფი შესაძლოა გაუფასურებულების კატეგორიაში მოხდეს, თუ ქვეყანაში ისეთი შემთხვევები შეინიშნება, როგორიცაა პოლიტიკური არეულობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაღმასვლა, სტიქიური უბედურებები ან სხვა გარე ფაქტორები.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების მიზნით დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. მომავალში მისაღებ ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოლოდინები თანხობრივად და დროის თვალსაზრისითაც კონსერვატიული უნდა იყოს, მომავალში შესაძლებელი გაურკვევლობის გათვალისწინებით. ეს კლიენტისა და მისი თავმდებ(ებ)ისგან მისაღებ ნებისმიერ წმინდა სამომავლო გადახდებს ეხება, მათ შორის

გირაოს რეალიზაციიდან ამოსაღებ მოსალოდნელ წმინდა თანხებს. გირაოს ამოღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი პირდაპირი ხარჯების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სხვა მსგავს შემთხვევებში ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და გარე სტანდარტები, როგორიცაა, სასამართლოში საქმის შეტანის დადგენილი საფასური, სააღსრულებო ხარჯი გირაოს ღირებულების პროცენტული წილის სახით და ა.შ. კლიენტისა ან/და თავმდებისგან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია შესაბამისი კლიენტის ან თავმდების გადახდისუნარიანობა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ან თავდების გადახდისუნარიანობის შესაბამისი ფინანსური ანალიზი არ არსებობს, დასაშვებია მხოლოდ უზრუნველყოფის საშუალებებიდან მისაღები ფულადი სახსრების გათვალისწინება. უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციიდან მისაღები თანხა და მოსალოდნელი დრო, რომელიც საჭიროა ამ თანხის ამოღებისთვის, დადგენილი იქნება ანალოგიური უზრუნველყოფის საშუალების იძულებითი წესით ამოღების სფეროში არსებული ბანკის გამოცდილების გათვალისწინებით. თუ ბანკს არ გააჩნია საიმედო ან მსგავსი ხასიათის შიდა მონაცემები, ბანკი გამოიყენებს გარე წყაროებიდან მიღებულ საკმარის და საიმედო ინფორმაციას, რომელიც გირაოსაგან მისაღები სამომავლო ფულადი სახსრების ვადის და ოდენობის დადგენის ვარაუდებს ადასტურებს.

2017-2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების საბალანსო ღირებულების 90%-ზე მეტი მთლიანად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. ბანკმა შეცვალა თავისი მიდგომა სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ბანკმა გამოიყენა ფუნქციების სეგრეგაცია - საოპერაციო განყოფილების პერსონალი, ზოგადად პერსონალი, რომელიც ჩართულია კლიენტების მოძიებასა და კლიენტების გადახდისუნარიანობის შეფასებაში, აღარ მონაწილეობს გირაოს შეფასებაში. გირაოს შეფასებაში სპეციალიზებული საკრედიტო რისკების განყოფილების ბექ-ოფისის პერსონალი პასუხისმგებელია გირაოს შეფასების პროცესზე და გირაოს ღირებულების შეთავაზებაზე. როგორც წესი, ყველა გირაოს შეფასება, ცალკეული საგნის ღირებულების და სესხის ოდენობის მიუხედავად, ხორციელდება პროფესიონალი გარე შემფასებლების მიერ. აქედან გამომდინარე, გირაოს შეფასების პროცესი სრულიად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროცესია. ბანკი კონტრაქტებს უფორმებს პროფესიონალ გარე შემფასებელ კომპანიებს, რომელთა მთავარი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოფაში ჩადებული საგნების სამართლიანი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არარესტრუქტურიზირებული სესხები, რომლებზეც გაუფასურების ინდივიდუალური რეზერვის შექმნა არაა საჭირო, კოლექტიური შეფასების რეზერვებით იფარება. არარესტრუქტურიზირებული სტანდარტული და არასტანდარტული რესტრუქტურიზებული სესხებისთვის სხვადასხვა სარეზერვო განაკვეთი გამოიყენება. ამასთან, სარეზერვო განაკვეთები განსხვავდება სესხის ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვადასხვა ტიპის რესტრუქტურიზირებული სესხების გამიჯვნის ძირითადი ფაქტორებია: ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა,

გადახდის პრობლემის სიმძიმე და რესტრუქტურიზაციის შემდგომი საპროცენტო განაკვეთის ნომინალური ღირებულება.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხებისთვის, რომელთა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება არსებობს, ანუ რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაშია ვადაგადაცილებული (ასევე უმნიშვნელო რესტრუქტურიზებული სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ არის, მაგრამ კვალიფიცირდება, როგორც გაუფასურებული); გაუფასურება განისაზღვრება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

შიდა საბანკო განთავსებებიდან და ემიტენტთან დაკავშირებული რისკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი

რისკების მართვის კონცეპტუალური საფუძველი

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკის მართვის მიზანია ჯგუფისთვის ისეთი დანაკარგების თავიდან აცილება, რომლებსაც იწვევს ფინანსური კონტრაგენტის (მაგ. კომერციული ბანკის), ან ემიტენტის მიერ ჯგუფის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ვერ შესრულება ან შეუსრულებლობა. ამ ტიპის რისკი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ძირითადი რისკი – გაცემული თანხის დაკარგვის რისკი იმის გამო, რომ კონტრაგენტი ვერ ახერხებს ძირი თანხის დროულად და სრულად გადახდას;
- ჩანაცვლების რისკი – იმ თანხის დაკარგვის რისკი, რომელიც უდრის მიმდინარე გარიგების ეკვივალენტური გარიგებით ჩანაცვლებაზე გაწეულ ხარჯს;
- ანგარიშსწორების რისკი – დანაკარგის რისკი, რომელიც გამოწვეულია დაკავშირებული მხარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით;
- ემიტენტის რისკი - ფასიანი ქაღალდების ემიტენტის დეფოლტისა და გადახდისუუნარობის შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობა;
- საბაზრო ფასის რისკი - ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ვარდნით გამოწვეული ზარალის რისკი, რადგან ამ დროს საპროცენტო განაკვეთები იზრდება.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი განსაკუთრებით წარმოიქმნება მაშინ, როცა საჭიროა ჯგუფის მიერ ლიკვიდური აქტივების მარაგის დაბანდება, სავალუტო ოპერაციების შესრულება, ან გარკვეული რისკების პოზიციების ჰეჯირება. ჭარბი ლიკვიდურობის განთავსება ხდება ბანკთაშორისო ბაზარზე მოკლევადიან, ჩვეულებრივ სამ თვემდე ვადის მქონე ინსტრუმენტებში. სავალუტო ოპერაციებიც მოკლე ვადებში, როგორც წესი, ორ დღეში სრულდება. ვადიან კონტრაქტებს, რომლებიც სავალუტო რისკისგან ჯგუფის დასაცავად გამოიყენება, შეძლება ერთ წლამდე ვადა ჰქონდეს. ამას გარდა, იმის გამო, რომ ჯგუფი ცდილობს თავისი საკრედიტო საქმიანობა დააფინანსოს ფიზიკური პირების ანაბრებით, არსებობს ასევე რისკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკებისგან მოითხოვს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშზე

სავალდებულო რეზერვი ჰქონდეთ, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კლიენტების ანაბრების მოცულობაზე, ან სხვა სახსრებზე, რომლებსაც ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იყენებს.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკები იმართება ჯგუფის კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის მიერ (რომელშიც ემიტენტის რისკიც შედის), რომელიც აღწერს კონტრაგენტის/ემიტენტის შერჩევისა და ლიმიტის განსაზღვრის პროცესს, ასევე ჯგუფის სახაზინო პოლიტიკის მიერ, რომელიც მიუთითებს დასაშვებ ოპერაციებს და მოიცავს მათი დამუშავების წესებს. ფაქტიურად, მისაღები კონტრაგენტები არიან მხოლოდ სისტემური მნიშვნელობის მქონე დიდი საერთაშორისო ბანკები, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში საქმიანობისთვის – კარგი რეპუტაციის და ფინანსური მდგომარეობის მქონე ადგილობრივი ბანკები. როგორც წესი, ჯგუფი მინიმალური კაპიტალის 10%-მდე ზღვარს აწესებს ბანკებისთვის, რომლებიც არა OECD ქვეყნებში საქმიანობენ და 25%-მდე ზღვარს - OECD ქვეყნებში მოქმედი ბანკებისთვის, 3-თვიანი მაქსიმალური დარჩენილი ვადით. უფრო მაღალი ლიმიტები და უფრო ხანგრძლივი ვადები უნდა დამტკიცდეს ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) უზრუნველყოფს თითოეული კონტრაგენტის საგულდაგულო ანალიზს, რომელსაც, როგორც წესი, ახორციელებს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება, კომპლაიენსის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის (AML) ქვეგანყოფილებებთან თანამშრომლობით. კონტრაგენტის დამტკიცების შემთხვევაში დგინდება მაქსიმალური სესხის ლიმიტი.

კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის თანახმად, ჯგუფმა არ უნდა შეასრულოს სპეკულაციური კომერციული საქმიანობა. თუმცა, ლიკვიდურობის მართვის მიზნით ჯგუფს უფლება აქვს იყიდოს და მფლობელობაში იქონიოს ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები, სადეპოზიტო სერტიფიკატები). ამასთან დაკავშირებული ემიტენტის რისკი იმართება ჯგუფის სახაზინო პოლიტიკის დებულებებით. სხვა მოთხოვნებთან ერთად, პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ფასიანი ქაღალდები სასურველია გამოშვებული იყოს საქართველოს მთავრობის ან ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში – საერთაშორისო და/ან მულტინაციონალური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ძალიან მაღალი საკრედიტო რეიტინგი აქვთ (საერთაშორისო AA- ან კიდევ უფრო მაღალი რეიტინგი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კონტრაგენტების და ემიტენტების ტიპები, რომლებთანაც ჯგუფი ოპერაციებს ახორციელებს.

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი	2017	%-ში	2016	%-ში
საბანკო ჯგუფები	**16,171**	**9%**	**38,033**	**16%**
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში საქმიანობენ	446	0%	607	0%
ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში არ საქმიანობენ	15,724	9%	37,426	16%
საქართველოს ეროვნული ბანკი	**160,326**	**88%**	**192,598**	**82%**
სავალდებულო რეზერვი	125,962	69%	131,548	56%
სხვა რისკები	34,364	19%	61,050	26%
საქართველოს მთავრობა	**4,943**	**3%**	**4,943**	**2%**
სახაზინო ვალდებულებები	4,943	3%	4,943	2%
კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი სულ	**181,440**	**100%**	**235,573**	**100%**

ვალდებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ძირითადად მოიცავს სავალდებულო რეზერვის შექმნის მოთხოვნას, რომელიც ჯგუფის კონტრაგენტის და ემიტენტის რისკის 68%-ს (2016 წელს: 52%) შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ არსებული რისკები ვალუტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

'000 ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ეროვნული ბანკი	**34,364**	**30,121**	**95,841**	**160,326**
სავალდებულო რეზერვი	-	30,121	95,841	125,962
ნაშთები სებ-ში, სავალდებულო რეზერვების გარდა	11,579	-	-	11,579
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	22,785	-	-	22,785
საქართველოს მთავრობა	**4,943**	**-**	**-**	**4,943**
	39,306	**30,121**	**95,841**	**165,268**

'000 ლარი

2016 წლის 31 დეკემბერი	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ეროვნული ბანკი	**60,743**	**17,985**	**113,870**	**192,598**
სავალდებულო რეზერვი	-	17,919	113,629	131,548
ნაშთები სებ-ში, სავალდებულო რეზერვების გარდა	10,442	66	241	10,749
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი	50,301	-	-	50,301
საქართველოს მთავრობა	**4,943**	**-**	**-**	**4,943**
	65,686	**17,985**	**113,870**	**197,541**

ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა ჯგუფის კონკრეტულ მახასიათებლებს შეესაბამება. სასესხო პორტფელი შეიცავს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე დიდი რაოდენობით გაცემულ მოკლე- და საშუალო ვადიან კრედიტებს. სესხების უმეტესობა არის გრაფიკიანი ვადიანი სესხები, ხოლო დეფოლტის განაკვეთი დაბალია. ამის გამო, ფულადი სახსრების ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და პროგნოზირებადი. ფინანსური ბაზრების ინსტრუმენტების გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. ყველა ეს ფაქტორი

ზღუდავს ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციების შესაძლებლობას და ამართლებს შედარებით მარტივი და სწორხაზოვანი LRM სისტემის გამოყენებას.

ლიკვიდურობის რისკი ვიწრო მნიშვნელობით (გადახდისუუნარობის რისკი) ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ვეღარ შეძლებს მიმდინარე და სამომავლო გადახდის ვალდებულების სრულად ან დროულად შესრულებას. ფართო მნიშვნელობით კი (დაფინანსების რისკი) გულისხმობს საფრთხეს, რომ ვერ მოხდება დამატებითი დაფინანსების მოპოვება, ან მხოლოდ გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით მოხდება დაფინანსება.

ALCO განსაზღვრავს ჯგუფის ლიკვიდურობის სტრატეგიას და ადგენს ლიკვიდურობის რისკის ლიმიტებს. სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ყოველდღიურად მართავს ჯგუფის ლიკვიდურობას. მას ევალება ALCO-ს გადაწყვეტილებების შესრულება. სტრატეგიებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან შესაბამისობას მუდმივად აკონტროლებს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება.

ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გარდა, ამ სფეროში ჯგუფი იყენებს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკისა და სახაზინო პოლიტიკის სტანდარტებს. ორივე პოლიტიკა ჯგუფმა თავდაპირველად 2009 წელს დანერგა. აღნიშნული პოლიტიკა ყოველწლიურად განახლდება და შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილ ჯანსაღი ლიკვიდურობის რისკის მართვის პრინციპებს საბანკო ზედამხედველობის სფეროში - ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია 575/2013 [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება - CRR] და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2013/36/EU [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დირექტივა - CRD IV]. ლიმიტიდან გადახვევა და პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ჰოლდინგის ALCO-ს და ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ლიკვიდურობის რისკს ყოველდღიურად მართავს ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რომლის საშუალებითაც სამომავლო ლიკვიდურობის მდგომარეობის მაქსიმალურად ზუსტი სურათი იქმნება. იგი მოიცავს დაშვებებს ანაბრებისა და სესხების დინამიკის შესახებ და ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლების უკეთ პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

ლიკვიდურობის რისკების შეფასების ძირითადი მეთოდები მოიცავს პროგნოზული ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს, რომელიც აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადების სტრუქტურას ასახავს და მომავალში დაფინანსების საჭიროებას გარკვეული დაშვებების საფუძველზე აფასებს. დაშვებები იწყება სამომავლო ლიკვიდურობის შეფასებით ნორმალურ ფინანსურ გარემოში და თანდათან უფრო მკაცრდება, რათა ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობის ანალიზი მოხდეს უარყოფითი სცენარის მიხედვით (სტრეს-ტესტები). ვადებს შორის განსხვავებების ანალიზზე დაყრდნობით, ლიკვიდურობის რისკის ძირითადი მაჩვენებლები და წინასწარი

გაფრთხილების ინდიკატორები გამოითვლება ყოველდღიურად და ყოველთვიურად და ექვემდებარება საფუძვლიან მონიტორინგს. მოკლევადიანი ლიკვიდურობის მთავარი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის საკმარისი ლიკვიდურობის ინდიკატორი (SLI), რომელიც ადარებს მომდევნო 30 დღის აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობას. ეს მაჩვენებელი 1–ზე მეტი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფს საკმარისი სახსრები აქვს, რომ მომდევნო 30 დღეში მოსალოდნელი ვალდებულებები გაისტუმროს. ამას ემატება წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები, განსაკუთრებით მაღალლიკვიდური აქტივების ინდიკატორი, რომელიც თანაფარდობაში მოჰყავს მაღალლიკვიდურ აქტივებს კლიენტთა დეპოზიტებთან.

ჯგუფი ასევე აანალიზებს თავის ლიკვიდურობის მდგომარეობას უფრო სტრუქტურული თვალთახედვითაც, და ითვალისწინებს უფრო გვიანდელი ვადების ლიკვიდურობის დეფიციტს და პოტენციური ლიკვიდურობის დამატებით წყაროებს. ამის შესაბამისი ძირითადი მაჩვენებელი არის ლიკვიდურობის პოზიცია. ეს ანალიზი ასევე ითვალისწინებს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძლება აითვისოს ოდნავ გვიან, და სხვა აქტივებს, რომელთა ლიკვიდაციას გარკვეული დრო სჭირდება.

ამ წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორების საგულდაგულო მონიტორინგის გარდა, ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს მაღალიკვიდური აქტივების, უარყოფითი მოკლევადიანი ლიკვიდობის დისბალანსის, მეანაბრეების კონცენტრაციის და ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის (როგორც დადგენილია ბაზელ III-ში) შესახებ ანგარიშგების მაჩვენებლებს. თუ რომელიმე საკონტროლო მაჩვენებელი გაიზრდება, სათანადო ზომებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პროკრედიტ ბანკის ALCO-თან და ჰოლდინგის ALCO–სა ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტთან შეთანხმებით.

ჯგუფის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად სტრესულ სიტუაციებშიც კი, ლიკვიდურობის პოტენციური საჭიროებების სხვადასხვა სცენარი დგინდება. ხორციელდება შედეგების ანალიზი და ამის საფუძველზე ჯგუფის ლიკვიდურობის რეზერვის ოდენობა განისაზღვრება ALCO–ს მიერ. ამ სტრეს-ტესტის შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის დამატებითი ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ბანკი ასევე მიზნად ისახავს ფინანსური სახსრების დივერსიფიცირებას. ხორციელდება ანაბრების კონცენტრაციის მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რამდენიმე მსხვილ მეანაბრეზე დამოკიდებულება.

ჯგუფი ასევე ცდილობს მინიმუმდე დაიყვანოს თავისი დამოკიდებულება ბანკთაშორისო ბაზარზე. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ბანკთაშორისი ვალდებულებების მთლიანი თანხა არ უნდა აჭარბებდეს ყველა არსებული საკრედიტო ხაზის 40%-ს და

ერთდღიანი დაფინანსება არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი ვალდებულებების 4%-ს. უფრო მაღალი ლიმიტები უნდა დამტკიცდეს ჰოლდინგის ALCO–ს მიერ.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია არადისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა განსაზღვრულია, როგორც პერიოდი საბალანსო უწყისის თარიღსა და აქტივისა თუ ვალდებულების სახელშეკრულებო ვადას შორის, ან აქტივისა თუ ვალდებულებისთვის ნაწილობრივი გადახდის ვადა ხელშეკრულების მიხედვით.

26. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები							
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	223,072	4,993	9,287	15,597	9,380	3,774	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	16,171	-	-	-	-	-	16,171
აუთვისებელი უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	32,170	52,657	90,447	211,432	545,134	274,730	1,206,570
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	116	125	-	257	5,140	234	5,872
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	37,061	-	-	-	-	37,061
სხვა ფინანსური აქტივები	2,039	-	-	-	-	-	2,039
ფინანსური აქტივები სულ	**273,568**	**94,836**	**99,734**	**227,286**	**559,653**	**278,739**	**1,533,815**
ფინანსური ვალდებულებები							
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	7,355	-	-	-	-	-	7,355
კლიენტთა ანგარიშები	439,252	23,210	43,163	72,493	43,598	17,543	639,258
სხვა ნასესხები სახსრები	4,339	65,293	19,741	70,185	287,735	49,758	497,051
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	36,955	-	-	-	-	36,955
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	43,443	-	-	-	-	-	43,443
სესხის გაცემის ვალდებულებები	32,823	-	-	-	-	-	32,823
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,273	-	-	-	-	-	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	73	514	-	38,628	25,752	64,967
ფინანსური ვალდებულებები სულ	**529,484**	**125,530**	**63,419**	**142,678**	**369,961**	**93,053**	**1,324,125**
ლიკვიდურობის დეფიციტი	**(255,916)**	**(30,694)**	**36,315**	**84,608**	**189,692**	**185,686**	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**(255,916)**	**(286,610)**	**(250,295)**	**(165,687)**	**24,005**	**209,691**	

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 – 3 თვე	3 – 6 თვე	6 – 12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები							
ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	335,330	8,720	11,082	16,671	12,781	2,894	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	38,033	-	-	-	-	-	38,033

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

გამოუყენებელი უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	26,468	-	-	-	-	-	26,468
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	27,251	51,156	81,873	188,297	501,163	212,821	1,062,561
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8,114	209	4,105	245	5,606	234	18,513
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	33,528	-	-	-	-	33,528
სხვა ფინანსური აქტივები	5,669	-	-	-	-	-	5,669
ფინანსური აქტივები სულ	**440,865**	**93,613**	**97,060**	**205,213**	**519,550**	**215,949**	**1,572,250**
ფინანსური ვალდებულებები							
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	2,857	-	-	-	-	-	2,857
კლიენტთა ანგარიშები	473,563	45,965	58,419	87,881	67,371	15,254	748,453
სხვა ნასესხები სახსრები	4,571	31,610	18,152	39,977	303,279	33,512	431,101
ფორვარდული კონტრაქტების შესრულება (ბრუტო)	-	33,353	-	-	-	-	33,353
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	33,131	-	-	-	-	-	33,131
სესხის გაცემის ვალდებულებები	48,147	-	-	-	-	-	48,147
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,523	-	-	-	-	-	3,523
სუბორდინირებული სესხი	-	461	1,537	1,592	49,749	28,846	82,185
ფინანსური ვალდებულებები სულ	**565,792**	**111,389**	**78,108**	**129,450**	**420,399**	**77,612**	**1,382,750**
ლიკვიდურობის დეფიციტი	**(124,927)**	**(17,776)**	**18,952**	**75,763**	**99,151**	**138,337**	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**(124,927)**	**(142,703)**	**(123,751)**	**(47,988)**	**51,163**	**189,500**	

ჯგუფი არ იყენებს ზემოხსენებულ ვადიანობის ანალიზს, რომელიც მოიცავს სამომავლო სახელშეკრულებო პროცენტს ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით. ამის ნაცვლად, ჯგუფი მონიტორინგს უწევს მოსალოდნელ დარჩენილ ვადებს (დარიცხული პროცენტის, გაუფასურების რეზერვის და გადავადებული საკომისიოების გარდა) და ამის შედეგად მიღებულ მოსალოდნელ ლიკვიდურობის დეფიციტს:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 - 12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთი სებ–ში	186,775	-	-	-	-	186,775
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	65,691	-	-	-	-	65,691
გამოუყენებელი გამოუხმობადი და უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
სახაზინო ვალდებულებები	6,995	15,790	-	-	4,760	27,545
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	12,933	35,252	61,886	148,303	741,947	1,000,321
ვალუტის დერივატივები	-	37,061	-	-	-	37,061
სულ აქტივები	**272,394**	**88,103**	**61,886**	**148,303**	**746,707**	**1,317,393**
ვალდებულებები						
მიმდინარე ვალდებულებები ბანკების მიმართ	1,145	-	-	-	-	1,145
მიმდინარე ვალდებულებები კლიენტების მიმართ	46,424	21,102	31,652	42,203	280,652	422,033
პირობითი ვალდებულებები ფინანსური და სხვა გარანტიების ფარგლებში	2,172	-	-	-	-	2,172
გამოუყენებელი გამოუხმობი საკრედიტო ვალდებულებები	3,282	-	-	-	-	3,282

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

ვალდებულებები დაკავშირებული ბანკების მიმართ	-	55,591	12,876	25,752	157,087	251,306
ვალდებულებები გარეშე ბანკების მიმართ	5,150	-	-	-	-	5,150
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	414	10,779	2,733	37,057	147,741	198,724
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	30,529	13,877	20,815	27,754	184,563	277,539
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	64,380	64,380
ვალუტის დერივატივები	-	36,955	-	-	-	36,955
სულ ვალდებულებები	**89,117**	**138,304**	**68,077**	**132,766**	**834,423**	**1,262,687**
მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი	**183,277**	**(50,201)**	**(6,192)**	**15,537**	**(87,716)**	
მოსალოდნელი კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**183,277**	**133,076**	**126,884**	**142,422**	**54,705**	

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 - 12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთი სებ–ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	212,923	-	-	-	-	212,923
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	167,950	-	-	-	-	167,950
გამოუყენებელი გამოუხმობი და უპირობო საკრედიტო ვალდებულებები	26,468	-	-	-	-	26,468
სახაზინო ვექსელები	26,996	19,404	3,901	-	4,760	55,061
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9,218	33,560	54,797	129,576	625,881	853,032
ვალუტის დერივატივები	-	33,528	-	-	-	33,528
სულ აქტივები	**443,555**	**86,492**	**58,698**	**129,576**	**630,641**	**1,348,962**
ვალდებულებები						
მიმდინარე ვალდებულებები ბანკების მიმართ	1,353	-	-	-	-	1,353
მიმდინარე ვალდებულებები კლიენტების მიმართ	49,345	22,430	33,645	44,859	298,316	448,595
პირობითი ვალდებულებები ფინანსური და სხვა გარანტიების ფარგლებში	1,657	-	-	-	-	1,657
გამოუყენებელი გამოუხმობადი საკრედიტო ვალდებულებები	4,815	-	-	-	-	4,815
ვალდებულებები დაკავშირებული ბანკების მიმართ	-	10,587	7,940	-	148,221	166,748
ვალდებულებები გარეშე ბანკების მიმართ	150	-	-	-	-	150
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	3,429	18,622	5,846	33,322	156,153	217,372
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	30,529	13,877	20,816	27,754	184,563	277,539
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	66,170	66,170
ვალუტის დერივატივები	-	33,353	-	-	-	33,353
სულ ვალდებულებები	**91,278**	**98,869**	**68,247**	**105,935**	**853,423**	**1,217,752**
მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი	**352,277**	**(12,377)**	**(9,549)**	**23,641**	**(222,782)**	
მოსალოდნელი კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**352,277**	**339,900**	**330,351**	**353,992**	**131,210**	

მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი რაოდენობრივად ასახავს ლიკვიდურობის საჭიროებას დროის გარკვეულ მონაკვეთში, თუ მას უარყოფითი ღირებულება აქვს, ხოლო

პოტენციურად ჭარბ ლიკვიდურობას, თუ მისი ღირებულება დადებითია. ეს გამოთვლა მოიცავს წინა დროითი მონაკვეთების ჭარბი ლიკვიდურობის დადებით მონაცემებსაც. საოპერაციო დონეზე დეფიციტის ანგარიში ლიკვიდურობის რისკის შესაბამისი ვალუტების მიხედვით ნაწილდება (ლარი, აშშდ და ევრო). აღნიშნულის მიზანია საკმარისი ლიკვიდურობის შენარჩუნება, რათა მომავალი თვის განმავლობაში ყველა მოსალოდნელი ვალდებულებები დაიფაროს. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ ბანკის ხელმისაწვდომი აქტივები ყოველთვის უნდა აჭარბებდეს მის მოსალოდნელ ვალდებულებებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შეესაბამებოდა ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებულ საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებლის ლიმიტს, რომელიც 1–ს შეადგენს.

კლიენტების მიერ თავისი ანაბრების უეცრად გატანის შემთხვევაში, ჯგუფში საკმარისი ფინანსური სახსრების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი აკონტროლებს მაღალლიკვიდური აქტივების თანაფარდობას კლიენტების ანაბრებთან. ეს თანხები მაღალლიკვიდური აქტივების სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად. 2017 წლის ბოლოსთვის მაღალლიკვიდური აქტივების მაჩვენებელი იყო 23% (2016 წელს: 41%), რაც 15%-იან საკონტროლო მაჩვენებელს აღემატება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი ასევე მიმართავს სტრეს-ტესტის გამოთვლებს, რათა უზრუნველყოს ლიკვიდურობა. ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და ALCO–ს მიერ განისაზღვრება ჯგუფის ლიკვიდურობის რეზერვის დონე. ცალკეული სტრეს-ტესტის შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის სარეზერვო ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფის მიზანია დაფინანსებისთვის ძირითადად კლიენტთა ანგარიშები გამოიყენოს.. დაფინანსების ამ წყაროს ემატება ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული დაფინანსება, როგორიცაა GGF, OPIC, CEB, OeEB, responsAbility და EIB, რომლებიც საგანგებოდ გამოჰყოფენ სახსრებს მიზნობრივი ფინანსური პროგრამებისთვის (მაგ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება). დაფინანსების სახსრების კიდევ უფრო მეტად დივერსიფიკაციის მიზნით ჯგუფი ასევე ინარჩუნებს ურთიერთობას სხვა ბანკებთან, განსაკუთრებით მოკლევადიანი ლიკვიდურობის ხაზებისთვის. გარდა ამისა, მოკლე და გრძელვადიანი დაფინანსებით ბანკს პროკრედიტ ჰოლდინგი და პროკრედიტ ბანკი გერმანია უზრუნველყოფს.

კლიენტთა ანგარიშების დივერსიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად ჯგუფმა შემოიღო კონცენტრაციის მაჩვენებელი, რომლის მიზანიცაა იმის უზრუნველყოფა, რომ ათი უმსხვილესი ანაბარი არ აჭარბებდეს მთლიანი ანაბრების 15%-ს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის დაფინანსების წყაროების სავარაუდო განაწილება 2017-2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც ზემოთ

აღინიშნა, კლიენტთა ანგარიშები დაფინანსების აშკარად ყველაზე დიდი წყაროა. დაფინანსების სხვა მთავარი წყაროებია ჰოლდინგის მიერ კონტროლირებული კომპანიების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებები.

%-ში	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
ვალდებულებები ბანკების მიმართ	0.6%	0.2%
კლიენტების ანაბრები	54.3%	61.4%
ვალდებულებები ჰოლდინგის მიერ კონტროლირებული კომპანიების მიმართ	24.2%	16.4%
ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	20.6%	21.7%
სხვა ვალდებულებები	0.4%	0.3%

საერთო ჯამში, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი დაფინანსების წყაროები საკმარისადაა დივერსიფიცირებული, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის სახსრები უმეტესწილად უზრუნველყოფილია დიდი რაოდენობით კლიენტთა ანაბრებით.

დაფინანსების რისკი

ბიზნეს გეგმა, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება, წარმოადგენს ჯგუფისთვის საშუალოვადიანი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრის საფუძველს როგორც კაპიტალის, ისე ვალის დასაფინანსებლად. საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჰოლდინგს აქვს ლიკვიდურობის რეზერვი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საგანგებო შემთხვევაში.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაფინანსების რისკი დაბალია, კლიენტთა ანაბრებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ ჯგუფს კვლავ მიუწვდება ხელი სხვადასხვა საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

საბაზრო ფასის რისკი

ჯგუფის საბაზრო ფასის რისკი განისაზღვრება როგორც სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია დენომინირებული. თუ აქტივები და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია გამოხატული, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მას ემუქრება სავალუტო კურსში პოტენციურად არასახარბიელო ცვლილებების საფრთხე.

რომელიმე ვალუტაში, ან 7.5%-ზე ქვემოთ ყველა ვალუტაში ერთობლივად, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ბანკის ALCO–ს და პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO–ს სათანადო ზომების მიღებასთან ერთად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ჯგუფის მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია არ გადააჭარბოს საზედამხედველო კაპიტალის 10%–ს. გამონაკლისი ლიმიტებში, ან სტრატეგიულ პოზიციებში უნდა დამტკიცდეს პროკრედიტ ჰოლდინგის ALCO–ს ან ზოგადი რისკის მართვის კომიტეტის მიერ.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციები ზემოხსენებულ ლიმიტებს არ აჭარბებდა.

წლის განმავლობაში გამოყენებული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2017	საშუალო კურსი 2016	საანგარიშო თარიღი მიმდინარე კურსი 31 დეკემბერი 2017	საანგარიშო თარიღი მიმდინარე კურსი 31 დეკემბერი 2016
USD 1	2.5059	2.3667	2.5752	2.6468
EUR 1	2.8292	2.6172	3.0884	2.7940

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ფულადი აქტივების და ვალდებულებების განაწილება ძირითად საოპერაციო ვალუტებზე:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	ევრო	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	ადგილობრივი ვალუტა	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	50,755	155,382	1,257	58,710	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	1,482	678	-	14,010	16,171
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	4,943	4,943
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	65,133	726,792	-	195,412	987,337
სხვა ფინანსური აქტივები	830	194	1	1,015	2,039
ფინანსური აქტივები სულ	118,200	883,047	1,257	274,089	1,276,593
ღია ფორვარდული პოზიცია (აქტივები)	33,528	-	-	-	-
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	3	7,196	156	-	7,355
კლიენტთა ანგარიშები	95,599	385,912	1,117	146,430	629,059
სხვა ნასესხები სახსრები	58,488	394,743	-	-	453,231
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,294	14	-	965	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	64,967	-	-	64,967
სულ ფინანსური ვალდებულებები	155,385	852,832	1,273	147,395	1,156,885
ღია ფორვარდული პოზიცია (ვალდებულებები)	-	36,955	-	-	-
წმინდა პოზიცია	(124)	(6,740)	(15)	126,693	119,814
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	5,199	17,576	-	20,668	43,443
სესხის გაცემის ვალდებულებები	7,248	14,031	-	11,543	32,823

25. ფინანსური რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

'000 ლარი 2015 წლის 31 დეკემბერი	ევრო	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	ადგილობრივი ვალუტა	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,850	267,096	2,425	84,107	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	2,179	691	-	35,163	38,033
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	16,809	16,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	27,439	699,835	-	128,951	856,225
სხვა ფინანსური აქტივები	961	694	-	4,014	5,669
ფინანსური აქტივები სულ	64,429	968,316	2,425	269,044	1,304,214
ღია ფორვარდული პოზიცია (აქტივები)	33,528	-	-	-	-
ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	-	2,703	-	154	2,857
კლიენტთა ანგარიშები	93,007	482,660	2,243	154,665	732,575
სხვა ნასესხები სახსრები	2,809	384,803	-	-	387,612
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,266	16	-	1,240	3,522
სუბორდინირებული ვალი	-	66,752	-	-	66,752
ფინანსური ვალდებულებები სულ	98,082	936,934	2,243	156,059	1,193,318
ღია ფორვარდული პოზიცია (ვალდებულებები)	-	33,353	-	-	-
წმინდა პოზიცია	(125)	(1,971)	182	112,985	111,071
ფინანსური და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები და აკრედიტივი	3,459	19,323	-	10,349	33,131
სესხის გაცემის ვალდებულებები	7,109	30,294	-	10,744	48,147

ვალუტის კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული მაქსიმალური სავარაუდო ზარალის დადგენის მიზნით, ხორციელდება შვიდი წლის სიძველის ისტორიული სავალუტო ცვლილებების ანალიზი და ყველაზე მკვეთრი სხვაობა (99% და 95%–იანი სანდოობის დონით - ერთწლიანი ფლობის პერიოდი) მიმდინარე სავალუტო პოზიციების მიმართ გამოიყენება:

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	95% სანდოობა	99% სანდოობა
მაქსიმალური დანაკარგი (რისკს დაქვემდებარებული ღირებულება)	(1,799)	(2,048)
საშუალო დანაკარგი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში	(1,276)	(1,395)

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	95% სანდოობა	99% სანდოობა
მაქსიმალური დანაკარგი (რისკს დაქვემდებარებული ღირებულება)	(361)	(413)
საშუალო დანაკარგი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში	(261)	(285)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებების გამო. სესხების საშუალო ვადა ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე კლიენტთა ანაბრების ვადა, რის გამოც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფს ექმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის

რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ჯგუფის მოკლევადიანი სესხების უმრავლესობა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო გრძელვადიანი სესხები მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით გაიცემა.
იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირებისთვის (ჰეჯირებისთვის) განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია მხოლოდ მყარ ვალუტაში, მაგ. ევროსა და აშშ დოლარში, ჯგუფი იძულებულია მკაცრად აკონტროლოს საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს და მართავს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ძირითადი მაჩვენებლით ფასდება პოტენციური გავლენა ყველა აქტივისა და ვალდებულების ეკონომიკურ ღირებულებაზე. ეს მაჩვენებელი გამოიყენება იმ პოტენციური ზარალის გასაანალიზებლად, რასაც ჯგუფი განიცდის აქტივებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთების ძალიან არასახარბიელო მერყეობის (შოკის) შემთხვევაში. ევროსა და აშშ დოლარისთვის დაშვება არის საპროცენტო განაკვეთის მრუდის პარალელური გადაწევა +/- 200 ბპს-ით. ადგილობრივი ვალუტის შემთხვევაში შოკის განმარტება გამომდინარეობს გასული შვიდი წლის განმავლობაში ისტორიული საპროცენტო განაკვეთის მერყეობიდან. არარეალიზებული, სულ 12 თვის საპროცენტო მოგების ზეგავლენა არ უნდა აჭარბებდეს მისი სავალდებულო კაპიტალის 10%-ს ყველა ვალუტაში. ანგარიშგებისთვის განკუთვნილი სავალდებულო ოდენობა არის 5%, რაც გამაფრთხილებელი ნიშნის ფუნქციას ასრულებს ადრეულ ეტაპზევე. ამასთან, რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი უტარდება ყველა აქტივისა და ვალდებულების ეკონომიკურ ღირებულებაზე პოტენციურს გავლენას (ეკონომიკური ღირებულების გავლენა).

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოლიტიკიდან ყოველგვარი გადახვევა და საპროცენტო განაკვეთის ლიმიტების დარღვევა უნდა დამტკიცდეს პროკრედიტ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციას მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი უწევს. ეს მაჩვენებლებიც ეცნობება პროკრედიტ ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს.

რისკის გადაფასების თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის რისკის მონიტორინგისა და შეზღუდვის გარდა, ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯების მქონე თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადების შესაბამისობაში მოყვანას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო თანხები საბალანსო ღირებულებით, რომელიც კლასიფიცირდება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების, ან ვადის ამოწურვის თარიღის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე დადგება.

'000 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	ერთ თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 -12 თვე	1 -5 წელი	5 წელზე მეტი	უფრო ცენ ტო	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	156,018	15,790	-	-	-	-	94,295	266,103
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	16,171	-	-	-	-	-	-	16,171
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	4,760	-	418	5,177
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	49,871	51,385	83,661	180,296	399,778	214,426	7,921	987,337
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	2,039	2,039
ფინანსური აქტივები სულ	222,060	67,175	83,661	180,296	404,538	214,426	104,672	1,276,827
ვალდებულებები								
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	5,150	-	-	-	-	-	2,204	7,355
კლიენტთა ანგარიშები	234,094	20,428	39,575	67,861	43,097	12,233	211,771	629,059
სხვა ნასესხები სახსრები	33,490	74,819	61,963	34,298	201,138	43,909	3,615	453,231
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	2,273	2,273
სუბორდინირებული ვალი	-	38,628	-	-	-	25,752	587	64,967
სულ ვალდებულებები	272,734	133,875	101,538	102,159	244,235	81,893	220,450	1,156,885
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობიაროობა	(50,674)	(66,699)	(17,877)	78,137	160,303	132,532		

'000 ლარი 2016 წლის 31 დეკემბერი	ერთ თვემდე ვადით	1 - 3 თვე	3 - 6 თვე	6 -1 2 თვე	1 -5 წელი	5 წელზე მეტი	უფრო ცენ ტო	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით)	172,879	19,404	-	-	-	-	195,195	387,478
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	38,033	-	-	-	-	-	-	38,033
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7,964	-	3,901	-	4,760	-	418	17,043
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	22,266	37,374	65,819	156,398	340,711	227,771	5,886	856,225
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	5,669	5,669
ფინანსური აქტივები სულ	241,143	56,778	69,720	156,398	345,471	227,771	207,167	1,304,448
ვალდებულებები								

ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	150	-	-	-	-	-	2,707	2,857
კლიენტთა ანგარიშები	266,894	46,961	55,926	87,940	68,453	18,154	188,246	732,574
სხვა ნასესხები სახსრები	12,212	51,064	71,609	16,707	200,062	32,093	3,866	387,613
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	3,523	3,523
სუბორდინირებული სესხი	-	39,702	-	-	-	26,468	582	66,752
სულ ვალდებულებები	279,256	137,727	127,535	104,647	268,515	76,715	198,924	1,193,319
წმინდა საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარობა	(38,113)	(80,949)	(57,815)	51,751	76,956	151,056		

რაოდენობითი თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები ამჟამად შეზღუდულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი (ეკონომიკურ ღირებულებაზე ზეგავლენა მიმდინარე ღირებულებით), რომელიც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთის შოკით +/- 200 ბპს ევროში/აშშ დოლარში და ყველაზე უარესი ისტორიული სცენარით ადგილობრივ ვალუტაში, არ უნდა აღემატებოდეს სავალდებულო კაპიტალის 15%-ს ყველა ვალუტაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ამ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. კუმულაციური საპროცენტო მოგების ეფექტი 12 თვის განმავლობაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

	ზეგავლენა მოგება–ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)			
	სავარაუდო უარყოფითი შემთხვევის სცენარი		სტრესის სცენარი	
	2%	-2%	5%	-5%
აშშ დოლარი	- 1,233	1,233	- 3,084	3,084
ევრო	405	- 405	1,012	- 1,012
ლარი	2,038	- 2,038	5,096	- 5,096
	3,676	3,676	9,191	9,191

კუმულაციური საპროცენტო მოგების ზეგავლენა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

	ზეგავლენა მოგება–ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)			
	სავარაუდო უარყოფითი შემთხვევის სცენარი		სტრესის სცენარი	
	2%	-2%	5%	-5%
აშშ დოლარი	- 1,680	1,680	- 4,199	4,199
ევრო	759	- 759	1,897	- 1,897
ლარი	2,173	- 2,173	5,431	- 5,431
	4,611	4,611	11,527	11,527

ჯგუფი აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს თავის ფინანსური ინსტრუმენტებზე თითოეულ ძირითად ვალუტაში. ქვემოთ ცხრილში მოცემულია საშუალო საპროცენტო განაკვეთები მენეჯმენტის მიერ განხილულ ანგარიშებზე დაყრდნობით:

26. ფინანსური რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერი % წლიური	ევრო	აშშ დოლარი	ადგილობრივი ვალუტა
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6.59
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	6.57	7.51	10.85
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	1.22	3.08	-
კლიენტთა ანგარიშები	0.65	1.80	2.56
სხვა ნასესხები სახსრები	2.50	3.81	-
სუბორდინირებული სესხი	-	5.92	-

2016 წლის 31 დეკემბერი % წლიური	ევრო	აშშ დოლარი	ადგილობრივი ვალუტა
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	-	6.28
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	7.33	8.34	11.33
ფინანსური ვალდებულებები			
კლიენტთა ანგარიშები	1.36	2.39	3.11
სხვა ნასესხები სახსრები	2.50	3.88	-
სუბორდინირებული სესხი	-	5.54	-

ქვეყნის რისკი

ქვეყნის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მოახერხოს გარკვეულ აქტივებზე უფლების განხორციელება უცხოურ ქვეყანაში (ქონების ჩამორთმევის რისკი), ან რისკი იმისა, რომ უცხო ქვეყანაში მოქმედი კონტრაგენტი ვერ მოახერხებს ვალდებულების შესრულებას ამ უცხო ქვეყანაში არსებული კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური რისკების გამო, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს კრედიტზე (გადაცემის და კონვერტირებადობის რისკი). ჯგუფის საქმიანობიდან და ჯგუფის სამოქმედო ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტავს ქვეყნის რისკს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქვეყნისთვის დამახასიათებელმა მნიშვნელოვანმა გარე მაკროეკონომიკურმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ან მარეგულირებელმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ჯგუფის მოგებაზე, კაპიტალსა თუ ლიკვიდურობაზე. კერძოდ, ის მოიცავს ჯგუფის საქმიანობაში მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ინტერვენციის რისკს ნაციონალიზაციის ან ქონების კონფისკაციის ფორმით, ანდა მნიშვნელოვან საბაზრო თუ მარეგულირებელი ორგანოების ინტერვენციას.

ჯგუფის საქმიანობის სტრატეგია არის ადგილობრივ ბაზარზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომ იგი ჩვეულებრივ არ მონაწილეობს საერთაშორისო ტრანზაქციებში და არ იღებს თავის თავზე ქვეყნის რისკებს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსური რისკის მართვისთვის ჯგუფს

შეიძლება დასჭირდეს საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელება, მაგ. მაღალრეიტინგული საერთაშორისო და მულტინაციონალური ორგანიზაციების ობლიგაციებში ჭარბი ლიკვიდურობის დაბანდების მიზნით.

ფართო მნიშვნელობით ქვეყნის რისკის საკითხები განხილულია ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, კონტრაგენტის/ემიტენტის და საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკასა და მეთოდოლოგიებში. საერთაშორისო რისკებს აკონტროლებენ ჯგუფის და პროკრედიტ ჯგუფის რისკების მართვის თანამშრომლები, ჯგუფს ქვეყნის რისკი მხოლოდ შეზღუდულად ემუქრება

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები და ინფორმაციის გამჟღავნების წესები ითვალისწინებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების დადგენას. სამართლიანი ღირებულება დადგენილია შეფასების და ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით. ჯგუფი სამართლიან (რეალურ) ღირებულებას განსაზღვრავს ქვემოთ მოცემული სამართლიანი (რეალური) ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც აღნიშნული შეფასებების ფორმირებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას ასახავს:

- დონე 1: ანალოგიურ ინსტრუმენტზე აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).

- დონე 2: საწყისი მონაცემები პირველი დონისთვის დადგენილი კოტირებული ფასების გარდა, რომელთა დაკვირვება შესაძლებელია პირდაპირ (მაგ., ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ., კოტირებების საფუძველზე მიღებული ფასი). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: აქტიურ ბაზარზე კოტირებული ანალოგიური ინსტრუმენტების ფასები; არააქტიურ ბაზრებზე კოტირებული ანალოგიური ინსტრუმენტების ფასები, ან სხვა შეფასების მეთოდები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს.

- დონე 3: არადაკვირვებადი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდები მოიცავს არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ საწყის პარამეტრებს და არადაკვირვედად საწყის პარამეტრებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება ანალოგიურ ინსტრუმენტებზე კოტირებული ფასების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების თუ დაშვებების გამოყენება ინსტრუმენტებს შორის არსებული სხვაობის ასახვის მიზნით.

ჯგუფის შეფასებით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულების ფინანსური აქტივების, მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულების ფინანსური პასივების და გასაყიდად

არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხვდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეში, შეფასების მოდელების გამოყენების გამო.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. თუმცა გაურკვევლობის და შეფასების სუბიექტურობის გათვალისწინებით, სამართლიანი (რეალური) ღირებულება არ უნდა განიმარტებოდეს როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი აქტივის ან ვალდებულების გადაცემის ღირებულება.

ჯგუფმა სამართლიანი ღირებულება დაადგინა შეფასების მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია სამართლიანი ღირებულების დადგენა, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. გამოყენებული შეფასების მეთოდი დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელზე.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება უდრის მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე არაკოტირებადი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა სავარაუდო ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელთა მიღება ივარაუდება ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების დისკონტირებით, იგივე საკრედიტო რისკით და დარჩენილი ვადით. თუ დაკვირვებადი საბაზრო განაკვეთები არ არის საკმარისი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელისთვის საწყის მონაცემებად გამოიყენება ჰოლდინგის სახაზინო განაკვეთები. ჰოლდინგის სახაზინო განაკვეთები განისაზღვრება კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დამოკიდებულია ვალუტებსა და დაფარვის ვადებზე, რისკის მარჟის ჩათვლით, რომელიც, თავის მხრივ, თითოეული ბანკისთვის დადგენილი შიდა რისკის რეიტინგზეა დამოკიდებული. ეს შიდა განაკვეთები რეგულარულად უნდა შედარდეს მესამე მხარეების გარიგებების ფასებს.

სადაც შესაძლებელია, სესხებისა და ავანსების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო ოპერაციებს. თუ დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები არ არსებობს, სამართლიანი ღირებულება ფასდება ჯგუფის სამართლიანი ღირებულების საკუთარი მოდელის გამოყენებით, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკა. ბანკებისა და კლიენტების ანაბრების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ტექნიკისა და მსგავსი ვადისა და პირობების ანაბრებზე შეთავაზებული განკვეთების გამოყენებით. მოთხოვნამდე გადახდას დაქვემდებარებული ანაბრების სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც არის საანგარიშგებო თარიღისთვის გადასახდელი თანხა.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების მიმოხილვა ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რაც განისაზღვრება ჯგუფის ბიზნესის შესაბამისად.

'000 ლარი		2017		2016	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 2	140,141	140,141	255,930	255,930
სავალდებულო სარეზერვო ანაბრები სებ-ში	დონე 2	125,962	125,962	131,547	131,547
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	დონე 2	16,171	16,171	38,033	38,033
კლიენტებზე გასაცემი სესხები და ავანსები	დონე 3	987,337	983,815	856,225	860,122
სხვა ფინანსური აქტივები	დონე 3	2,039	2,039	5,669	5,669
ფინანსური აქტივები სულ		**1,271,651**	**1,268,128**	**1,287,406**	**1,291,302**
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	დონე 2	48,639	48,639	2,857	2,857
კლიენტთა ანგარიშები					
მიმდინარე ანგარიშები	დონე 2	205,840	205,840	200,491	200,491
შემნახველი ანგარიშები	დონე 2	220,504	220,504	246,026	246,026
ვადიანი ანგარიშების	დონე 3	198,715	198,683	283,964	286,026
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	დონე 2	4,000	4,000	2,094	2,094
სხვა ნასესხები სახსრები	დონე 3	411,946	400,994	387,612	366,080
სხვა ფინანსური ვალდებულებები	დონე 3	2,273	2,273	3,523	3,523
სუბორდინირებული სესხი	დონე 3	64,967	62,836	66,752	60,723
ფინანსური ვალდებულებები სულ		**1,156,885**	**1,143,768**	**1,193,318**	**1,167,819**

28. პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს კრედიტის გაცემის პირობითი ფინანსური ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულებები ითვალისწინებს საკრედიტო რესურსების გაცემას დამტკიცებული სესხების ან ოვერდრაფტის სახით. ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს თავისი კლიენტების მიერ მესამე მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ფიქსირებული ლიმიტი და მათი ვადა უმეტესწილად ხუთ წლამდე გრძელდება.

საკრედიტო ვალდებულებების, ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გაცემისას ბანკი იყენებს რისკების მართვის იგივე პოლიტიკასა და პროცედურებს, რაც კლიენტებზე კრედიტებისა და ავანსების გაცემის შემთხვევაში.

'000 ლარი 31 დეკემბერი	2017	2016
ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივი	11,408	13,321
ვალდებულებების შესრულების გარანტიები	32,035	19,810
სესხის გაცემის ვალდებულებები		
- ერთი წლის ან ნაკლები დაფარვის თავდაპირველი ვადით	22,484	29,921
- ერთი წელზე მეტი დაფარვის თავდაპირველი ვადით	10,338	18,226
სულ	76,265	81,278

ზემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს პირობითი ვალდებულებებისა და გარანტიების ნომინალურ ძირ თანხებს, ანუ რისკს დაქვემდებარებულ თანხებს, ჯგუფის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულების და კლიენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვალდებულებებისა და გარანტიების მნიშვნელოვან ნაწილს ვადა შეუწყდება მათი ათვისების გარეშე; ამიტომ მთლიანი სახელშეკრულებო თანხები არ წარმოადგენს მომავალი ლიკვიდურობის მოთხოვნებს. თანხისა და გადინების მოცულობის შეფასება არ გამოიყენება. რეზერვები კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და ვალდებულებების შესრულების გარანტიებზე მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

როდესაც ჯგუფი მოიჯარეა, მომავალი მინიმალური იჯარა არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარის პირობებში შემდეგნაირად გადაიხდება:

'000 ლარი	2017	2016
– არა უგვიანეს ერთი წლისა	453	979
– ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	320	320

სულ	773	1,299

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად ხასიათდება ცვლილებებით კანონმდებლობაში, ნორმატიული დოკუმენტების ოფიციალური კომენტარებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ ზედმეტი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის უფლება, თუ იმ წლის ბოლოდან, როცა დარღვევა მოხდა, გასულია სამი წელი.

აღნიშნული გარემოება საქართველოში იწვევს საგადასახადო რისკს, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, მისი ოფიციალური კომენტარებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების არსებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ორგანო თავის ინტერპრეტაციას წარმატებით გაიტანს.

სასამართლო პროცესები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფის წინააღმდეგ შეიძლება აიძრას სასამართლო საქმე ან სარჩელი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმეებისა ან სარჩელებისგან გამომდინარე საბოლოო პასუხისმგებლობა არ მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მისი სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის უშუალო და ერთადერთი დედობილი კომპანიაა ს.ს. პროკრედიტ ჰოლდინგი AG & Co. KGaA, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

მხარეები დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა კავშირის შინაარს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. მენეჯმენტის ძირითადი პერსონალი მოიცავს ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორებსა და მათ ახლო ოჯახის წევრებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2017 წლის 31 დეკემბერი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი მიმდინარე ნაშთები აქვს:

'000 ლარი	კონტრაქტით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი	2017	2016
აქტივები			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ			
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	-0.45%-1.35 %	34,569	31,189
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ			
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	0.0%	554	533
კლიენტის ანგარიშები			
- ძირითადი მენეჯმენტი	0.0%-4.5%	309	260
სხვა ნასესხები თანხები			
– დედობილი კომპანია	1.22%-4.7%	170,452	109,944
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	1.22%-4.35%	82,745	58,550
სუბორდინირებული სესხი			
- დედობილი კომპანია	7.9%	26,266	26,985

2016-2015 წლების 31 დეკემბრის მოგება-ზარალის უწყისში შეტანილია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამომდინარე შემდეგი თანხები:

'000 ლარი	2017	2016
საპროცენტო ხარჯი		
– დედობილი კომპანია	7,856	6,167
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,184	1,534
- ძირითადი მენეჯმენტი	-	10
საკომისიო ხარჯი		
– დედობილი კომპანია	-	1,951
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	16	11
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
– დედობილი კომპანია		
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	612	431
- ძირითადი მენეჯმენტი		
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2,107	1,713
– დედობილი კომპანია	2,743	2,758
- საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	7,856	6,167

ტრანზაქციები, რომლის შედეგად შეიქმნა შემდეგი ნაშთები, განხორციელებულია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და მათზე იგივე პირობები ვრცელდება, რაც მსგავსი ტიპის იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან ან სხვა თანამშრომლებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე. ტრანზაქციები დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ დეფოლტის ჩვეულებრივ რისკთან და არ მოიცავდა სხვა არასასურველ მახასიათებლებს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181037344
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.08.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	86843137676018

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ. თბილისი.

მე, ნანა მოსია, ანჟელა მანიას შემცვლელი პირი, ქ. თბილიში სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ვადასტურებ მთარგმნელის **სოფიო თამაზაშვილის (დაბადებული 09.11.1977, ქ. თბილისში, მცხოვრები თბილისში, ნავთლუღის დასახლება, ზანდუკელის VII შესახვევი, 82/1, პირადი №01013002621, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, 14.05.2013, დიპლომი გაცემული თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001 წლის 26 ივნისს 0067801, რეგისტრაციის №114)** ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - ერთ ეგზემპლარზე ოთხმოცდათოთხმეტი ხელმოწერისტვის 188 (ას ოთხმოცდარვა) ლარი; თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა. ასევე დღგ 33.84, თანახმად საქართველოს სკ-ის 169-ე მუხლის და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა.

Georgia, city of Tbilisi

I, Nana Mosia, acting notary substituting Anzhela Mania, whose Notary Bureau is located at the address: in the vicinity of the Republic Hospital, certify the authenticity of the signature of translator **Sophio Tamazashvili (born on 09/11/1977, in Tbilisi, residing at the address: 82/1 Zandukeli VII alley, Navtlughi Settlement, Tbilisi, personal number: 01013002621, issued by the Ministry of Justice on 27.01.2014, Diploma issued on 21.05.2004, by Tbilisi D. Aghmashenebeli University, registration N 1081, Diploma AV 0002549).** The translator is warned about her responsibility for the accuracy of the translation and she guarantees the accuracy of the translation.

Paid notary fee is pursuant to the Article 31 of decree # 507 of the Government of Georgia, dated 29.12.2011 "On notary act execution and the amount stipulated for the Notary Chamber of Georgia, the terms and the order of payment"- 188 Gel for one (1 sample of 94 signatures) counterpart under the deciosn stipulated above, VAT-33.84, Gel according to the article 169 of the Tax Code of Georgia, and 2(two) GEL for E-registration pursuant to the article 39 in compliance with above-mentioned resolution.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი
Substitute for Notary

/ნანა მოსია/
/Nana Mosia/

ნოტარიუსი საქართველო GEORGIA. NOTARY ANZHELA MANIA ნოტარიუს მანია ანჟელა 62001034560